ლიტერატურული ალმანახი

აპრილი 2024

ხოჩნაძეული

№ 1(16)



ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები

ბერიკა ჩხეიძეს – 90

დედა!

არ ჩამოხვიდე ზღვაზე
ზღვა ძალიან ღელავს
შენთვის არ შეიძლება აქ ცურაობა
ზღვა ძალიან ღელავს
შენც ძალიან ღელავ
არ ჩამოხვიდე იცოდე ზღვაზე
ზღვა უდარდელია
ის ტყუილა ღელავს
ის ქარისგან ღელავს
შენ კი უთუოდ დაიხრჩვები
ღელვისგან ზღვაში
მე თოლია ვარ და ქართან ერთად მლაშე
ტალღებს ვეთამაშები
ქარი ქრის თავისთვის
ზღვისთვისაც სულერთია თოლიის ბედი
შენ კი დაიხრჩვები ღელვისგან ზღვაში.
თოლიასაც არა აქვს თავის დარდი
არც ქარში აქვს ბინა
არც ზღვაში აქვს ბინა
არც ხმელეთზე
დედა!
ნუ ჩამოხვალ...
აქ ყველაფერი ისედაც ღელავს
და შენ უთუოდ
დაიხრჩვები ღელვისგან
ზღვაში.

ისედაც=თავისთვის=უდედოდ=უმიწოდ=უსახლოდ=

1960 წლის აგვისტო. ვაკა

ლიტერატურული ალმანახი №16

„ხორნაბუჯი“

აპრილი | დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამოცემა | 2024 წელი

სარჩევი

თემურ ჩალაბაშვილის ხსოვნა
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II 2
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი 2
რევაზ მიშველაძე 3
ედუარდ უგულავა 3
ნანა ჭიჭინაძე 4
მარინა ცხვედიაშვილი 5
მზია ხეთაგური 5
ჯუბა ღებელი 6
გაგა გომართელი 7
მირანდა ერისთავი 7
მარინა შანიძე 7
ბექა ხუციშვილი 8
ნათია ჯიქურიშვილი 8
ვერიკო პარწიკანაშვილი 8
დალი ყარაულაშვილი 8
ზურაბ ლაოშვილი 9
ზურაბ მამულაშვილი 9
თენგო ავსაჯანიშვილი 9
თემურ ჩალაბაშვილის ლექსები 10

იუბილე
ნაირა გორაშვილი - 80 13

პოეზია
თამაზ წიკლაური 18
ლაშა ბაბილუა 20
ნინო ქინქლაძე-ჭიღიტაშვილი 23
მარი ჩაკვეტაძე 25

პროზა
ნინო ჭელიძე
მწყემსი ქალი მარიშკა 26

პოეზია
თენგიზ პაპაშვილი 28
მანანა თარაშვილი 31
მაია დიაკონიძე 33

ახალი სახელები
გიორგი პაპუაშვილი 34
ლალი მეხრიშვილი 35

გახსენება
თენგიზ მორჩიაული 37
პაატა სულთანიშვილი 39

პროზა
გიგი ხორნაული
სვანი 40

პოეზია
თინა გახელაძე 49
მამუკა ოჩიაური 51
ნინო ფრუიძე 52
ზურაბ მამულაშვილი 53
ქეთევან გოდერძიშვილი 55

პუბლიცისტიკა
ქეთევან ჯერვალიძე 56
ქეთევან გოდერძიშვილი - ენათმეცნიერი და პოეტი 56
ჯემალ მეხრიშვილი 57
მესიანურად თანამედროვე 57

თარგმანი
ჟან ბატისტ რასინი 58
ვიქტორ ჰიუგო 58
ჟერარ დე ნერვალი 59
ანრი-ფრედერიკ ამიელი 59
ჟან ამღუში 59

ხსოვნა
მარიკა პოპიაშვილი
გულანთებული მამულიშვილი - თენგიზ არჩვაძე 60
ნანა ჭიჭინაძე
მედეა ამირანაშვილის ბოლო ბენეფისი
თბილისის ოპერის თეატრში 61
ნანა ჭიჭინაძე
გამოთხოვება ვაჟა აზარაშვილთან 62

ალმანახის გამოცემაში ხელშეწყობისათვის მადლობას მოვახსენებთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ნუგზარ პაპიაშვილს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორს ქალბატონ დოდო ხუნაშვილს.

რედაქტორ-გამომცემელი:
გიორგი ნატროშვილი

ალმანახის ქუდის ავტორი:
სერგო ქართველიშვილი

გარეკანი გაფორმებულია:
თემურ პოპიაშვილის და ვაჟა ჩერქეზიშვილის ფოტოებით

მობ: 591 04 66 96, 598 851 815 **Email: gionatro0@gmail.com** **ISSN 2346-922X**

თემურ ჩალაბაშვილის ხსოვნა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II

დღეს ვემშვიდობებით ბატონ თემურ ჩალაბაშვილს, – ჩვენი დროის გამორჩეულ პოეტსა და დიდ ადამიანს. იგი გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან გაიცნო ფართო საზოგადოებამ, როგორც თავისი თაობის ერთ-ერთი რჩეული. მისი პიროვნება იყო და არის მაგალითი სისუფთავისა, უბრალოებისა, მეგობრობისა, სიკეთისა და სიყვარულისა. შევთხოვთ უფალს, სავანესა მართალთასა დააწესოს მისი უკვდავი სული, ხოლო ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და გულშემატკივართ მომადლოს მშვიდობა სულისა და ბატონი თემურისათვის ლოცვის ძალა.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი

თემურ ჩალაბაშვილი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე თემურ ბეჟანის ძე ჩალაბაშვილი.

ზეციური საქართველოს მკვიდრთ შეუერთდა კიდევ ერთი დიდებული შემოქმედი, რომელსაც არასდროს არ უღალატია იმ დიადი ცნებებისთვის, რომლებიც ილია ჭავჭავაძემ – ილია მართალმა სამოქმედო ორიენტირებად დაუტოვა შთამომავალთ – მამული, ენა, სარწმუნოება.

თემურ ჩალაბაშვილი დაიბადა 1951 წლის 12 ნოემბერს სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ანაგაში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1976 წელს დაასრულა.

თემურ ჩალაბაშვილმა საინტერესო ცხოვრებისეული გზა განვლო. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბის მუშად, საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის წამყვან რედაქტორად, გამომცემლობა „მერანის“ განყოფილების გამგედ, თსუ ჟურნალისტიკის სამეცნიერო ლაბორატორიის მეცნიერ-მუშაკად, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ, საქართველოს მწერალთა კავშირის ბოლო ყრილობაზე კი თანათავმჯდომარედ აირჩიეს. ამ თანამდებობაზე იგი სიცოცხლის ბოლომდე იღვწოდა და თანამოძმეთ სათნოების, კეთილშობილების, მოყვასის უანგარო სიყვარულის უებრო მაგალითებს აძლევდა.

თემურ ჩალაბაშვილის სამწერლო კურთხევა 1971 წელს შედგა, როდესაც სრულიად ჭაბუკმა ჟურნალ „დროშაში“ გამოაქვეყნა მისი პირველი ლექსები.

მას შემდეგ თემურ ჩალაბაშვილის ნაწარმოებები – ლექსები, ნოველები, ლიტერატურული წერილები, ჩანახატები, მოგონებები სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ

სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

თემურ ჩალაბაშვილის პოეტური კრებულები „ᲫᲖᲔ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲙᲕᲐᲛᲚᲨᲘ“, „წვა შეგიძლია“, „პოეტის ასი ლექსი“, „ᲐᲢᲘᲠᲔᲗ ᲬᲕᲘᲛᲔᲑᲘ“, „საუბარი გულთან“, „ᲯᲐᲛᲡᲐ ᲣᲯᲐᲛᲝᲡᲐ“ შეიყვარა და გაითავისა ქართველმა მკითხველმა, შეიყვარა თუნდაც იმიტომ, რომ ამ კრებულების ლირიკული გმირი ერთი უბრალო ღამის მეხრე თუ გუთნისდედაა, ლამის ყველასა და ყველაფრისადმი რწმენადაკარგული და გულგატეხილი, ერთადერთ იმედად რომ ის ხარები დარჩენია, საუკუნეების უღრანებიდან რქებზე სანთელდანთებულნი რომ მოისწრაფვიან ჩვენკენ და გვაფრთხილებენ, თუკი არსებობა გწადიათ, მაცხოვარის მადლსა და მირონს არ უღალატოთო... დიახ, რაზეც არ უნდა ეწერა თემურ ჩალაბაშვილს, დედის დაშაშრულ ხელებსა თუ შუშანიკ დედოფლის დილეგში შეღწეულ ათინათზე, ჰამლეტ გონაშვილის ხმის მინანქრებსა თუ მარიკა ჩიქოვანის იგავმიუწვდომელ სიყვარულის ნიჭზე, ყველგან და ყოველთვის სიმართლისა და სამართლიანობის ზარებს არისხებდა. მას ხომ ქუჩაში მოკლული ბებერი ძაღლის დატირება შეეძლო, რადგან ეს საზარელი აქტი მისთვის კაცთა ერთგულების დასჯას წააგავდა. ის პოეტი იყო, გაზაფხულივით რომ ივსებოდა შემოდგომის სევდიანი ფერადებით, თოლიას წააგავდა, დაღლილსა და გათანგულ თოლიას, ზღვის უკიდეგანობაში გამომწყვდეულს, მას ხომ პაპის დაკოჟრილი და ნაჯაფარი ხელისგული საქართველოს რუკას აგონებდა, დაჩეხილსა და დამცრობილ რუკას...

თემურ ჩალაბაშვილის ლექსი, შუშანიკ დედოფალს რომ მიუძღვნა, ოქრომკედით ამოიქარგა მეწამულ ხავერდზე და ახლა მეტეხის ტაძარში საქართველოსთვის წამებული დედოფლის საფლავს ამშვენებს. პოეტის ლექსზე „ჩემო საქართველოვ, მართლმადიდებელო!“ შექმნილ ჰიმნს საქართველოს სულიერმა მწყემსმა ილია მეორემ მართლმადიდებლობის სიმღერას უწოდა, ხოლო ლექსი „სანთელი“ თავად იქცა რელიგიურ სიწმინდედ...

თემურ ჩალაბაშვილის კალამს ეკუთვნოდა არაერთი ნოველა და პუბლიცისტური სტატია; იგი მრავალი წიგნის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი იყო.

თემურ ჩალაბაშვილის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია აზერბაიჯანულ, სომხურ, ოსურ, რუსულ ენებზე.

პოეტის მრავალწლიანი შემოქმედებითი თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა. მინიჭებული ჰქონდა დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, ლევან გოთუას სახელობის, „საგურამოს“ და „მუზას“ პრემიები, დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის, ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდებები, არჩეული იყო თბილისის საპატიო მოქალაქედ...

ნოემბერში დაბადებულს ᲯᲐᲛᲡᲐ ᲣᲯᲐᲛᲝᲡᲐ მიმინოსავით დააცხრა თავს დეკემბრის ალეწილი ქარები და თან გაიყოლა სული მისი – თეთრი მოცხარი...

ქართველ მწერლებს, მისი პოეზიის თაყვანისმცემლებს ისღა დაგვრჩენია, რომ დიდხანს, ძალიან დიდხანს გვახსოვდეს სამშობლოს მსახურებაში ბოლომდე ჩაფერფლილი შემოქმედი და მამულიშვილი.

რევაზ მიშველაძე

ᲑᲝᲚᲝᲗᲥᲛᲐ

კარგახანს უბინაო თბილისელი იყო და სხვისი ბინების საშოვნელად დარბოდა, თვით ერთობ მოკრძალებულად ეცვა და სხვას აცმევდა, თვითონ შიოდა და სხვის სარჩოზე ზრუნავდა. მისი მოსავლელი და საპატრონო იყო მთელი საქართველო.

ჩემი სტუდენტი გახლდათ. ყოველთვის მოკრძალებული და ჩუმი ახალგაზრდა მწერალთა წრის სხდომებს არ აცდენდა.

მეხუთე კურსზე იყო, ჩემი დაჟინებით, საღამო რომ გავუმართეთ უნივერსიტეტში. წინა დღით მკითხა, თუ შეიძლება ჩემს მეგობრებს დავუძახებო. რა თქმა უნდა-მეთქი. მახსოვს, 93-ე აუდიტორიაში იყო შეხვედრა. ამ „პატარა ბიჭმა“ იცით ვინ მოიყვანა? ჰამლეტ გონაშვილი, თენგიზ არჩვაძე, გივი ბერიკაშვილი, შოთა ჩანტლაძე, გურამ საღარაძე (მოჭიდავე), ომარ კელაპტრიშვილი, ზაურ ბოლქვაძე, ანზორ ერქომაიშვილი... შენ, ქიზიყიდან გუშინ ჩამოსულმა ბიჭმა სად მოასწარი ამ „გრანდებთან“ დამეგობრება-მეთქი? რა ვიცი, ასე მოხდაო, დაიმორცხვა.

ადამიანებთან ურთიერთობის რაღაც საოცარი თილისმა-ანდამატი ჰქონდა. ყველგან შინაური იყო, ყველას გულის მესაიდუმლე. რისი ამპარტავნება, რომელი ყელის მოღერება, პოეტი თუ იყო აღარც ახსოვდა. ათჯერ რომ შეეხვეწებოდი, ახალი ლექსები მომეცი დასაბეჭდად-მეთქი, მეთერთმეტეჯერ ახალუხის ჯიბიდან დაჭმუჭნულ ქაღალდს გამომიწვდიდა, ბოდიში, გადაწერა ვერ მოვასწარიო.

ჩვენ გემის ანძას შეხიზნულ ბელურებს ვგავართო, თავის თავზე და თავისი თაობის პოეტებზე წერდა.

ასეც დავარქვი წინასიტყვას მისი პირველი წიგნისა. სამწუხაროდ, ამ ბოლოთქმას ვერ მოესწრო.

ცრემლით სავსე ჩემი თვალები და მის საშველად ამაოდ გაწვდილი ჩემი ხელებია ბოლო სიტყვა თემურ ჩალაბაშვილს.

ედუარდ უგულავა

ᲘᲧᲝᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲗᲛᲐ...

ჯერ ისევ თბილია მისი სამარის მიწა, ჯერ კიდევ სრულად ვერ გაუაზრებიათ მეგობრებსა და ახლობლებს მისი გარდაცვალება. ყველას თავისად ეგულებოდა, ყველას თავისი ჩალაბა ჰყავდა.

სამშობლოსავით იცხოვრა... სამშობლოსავით უჭირდა... სამშობლოსავით დარდობდა...

ვცხოვრობ უფლის განაჩენით,
მწამს ღმერთი და სულიწმინდა.
სხვა ჯანდაბას დანარჩენი,
ქვეყნის გადარჩენა მინდა...

სხვა მადლი ჰქონდა... სხვებისგან საკუთარი მანერებით გამოირჩეოდა: ლექსს დაწერდა და თავისი იყო... იმღერებდა და თავისი იყო... იცეკვებდა და თავისი იყო... იუმორიც თავისებური და ორიგინალური ჰქონდა.

ნანა ჭიჭინაძე

თემურ ჩალაბაშვილი ჩვენი დროის გაშორჩეული პოეტი იყო, არის და იქნება...

30 დეკემბერს სიონის ეკლესიასთან ზღვა ხალხმა მოიყარა თავი, რიგი ვისაც უნახავს მოსკოვში სტალინის მავზოლეუმთან, ასეთივე რიგი იდგა სიონში, რომ შესულიყავი და სამძიმარი გეთქვა ჭირისუფლებთან. ოჯახის წევრებთან ერთად მას ჭირისუფლობდნენ მისი კოლეგები: მაყვალა გონაშვილი, მარინა ცხვედიაშვილი, მიმოზა ცანავა, მზია ხეთაგური, ციცო ერისთავი და სხვები, როდესაც გამოასვენეს ისე ხმამაღლა ვტიროდი, რომ ხალხი მეკითხებოდა შენი ვინ იყოო? ჩემთვის და სრულიად საქართველოსთვის ის ილია ჭავჭავაძე იყო და საქართველოს ჭირისუფალი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი თვალით დავინახე მისი გამოსვენება, გინდ დაიჯერეთ გინდ არა, ის ჩემთვის დღესაც ცოცხალია თავისი მომხიბვლელი ხმით, ჟესტით და მანერით. ჩვენი მეგობრობა დიდი ხნის წინ დაიწყო, ათი წლის განმავლობაში თითქმის ყოველდღე ვსაუბრობდი მასთან ტელეფობზე – 599888807; ერთხელ მაგთიკომის კომპანიიდან დამირეკეს და მკითხეს: საათობით რომ საუბრობთ ამ ნომერზე გვაინტერესებს ვინ არის თქვენი და ვის ესაუბრებითო, თითქმის ყველა ოპერატორი მიცნობდა, რადგან ყოველთვე ოცდაათ ლარს სასაუბროდ ვრიცხავდი. პირადად მე დიდი სიხარულით ვუპასუხე: პოეტ თემურ ჩალაბაშვილს ვესაუბრები და მის ლექსებს ზეპირად ვკითხულობ და მასაც დიდად ესიამოვნება და მეც, რომ ჩემი დილა მისი ლექსებით იწყება...

პირადად მე მწიგნობართა ასოციაციის თანადგომით და დიდი ძალისხმევით არა ერთი პროექტი განვახორციელე, როგორც დედაქალაქში, ასევე დედოფლისწყაროში; ბატონ თემურის ყოველთვის ვეპატიჟებოდით და ისიც გვესწრებოდა.

2015 წელს, საქართველოს მაშტაბით მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად გამოვავლინეთ გარდამავალ პერიოდში საუკეთესო სკოლის დირექტორები, მათ შორის ღირსების ორდენოსანი ორი დირექტორი, სოფელ ხორნაბუჯის საჯაროს სკოლის დირეტორი სვეტლანა შალვაშვილი და დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის დირექტორი – ნანა მერაბიშვილი. დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში მოვიწვიეთ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პედაგოგის დოდო დიასამიძის ჯგუფის სტუდენტები; დოდო მასწავლებელმა სიუპრიზი მოგვიწყო და ფოლკლორული ანსამბლი რუსთავიც მოიწვია; ამავე შეხვედრაზე მოვიწვიეთ ბატონი თემურ ჩალაბაშვილი, რომელიც ზაალ ბოტკოველთან ერთად გვესტუმრა და დიდად გაგვახარა, სკოლის ორივე დირექტორი დააჯილდოვა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიით. მთელი დარბაზი ტაშის გრიალით შეხვდა უდიდეს შემოქმედს, საზოგადო მოღვაწესა და პოეტს.

2017 წელს მწიგნობართა ასოციაციის თაოსნობით ნომინაციაში – „წარმატებული ოჯახი წარმატებული ქვეყნის საწინდარია“ გამოვლენილ წყვილების: ამირან არაბულის და ეთერ თათარაიძის, მანანა და ჯემალ ბაღაშვილების,

მახსენდება: მივდივართ ქუჩაში, ჩვენ წინ უცნობი მიაბიჯებს, დროდადრო ჩერდება და აცეცებს თვალებს. დახმარება ხომ არ შეგვიძლიაო, ჰკითხა თემურმა.

კაცს ვეძებო, თქვა უცნობმა. აბა, წინასწარ გეტყვი, ვერ იპოვიო, გაეცინა თემურს, – კაცი ასე იოლი საპოვნელიაო?!. დადიოდა თბილისის ქუჩებში და ქალაქს ალამაზებდა... მეგობრებს ამხნევებდა და გვერდში ედგა. ადამიანი უყვარდა. ახარებდა სიკეთის კეთება...

საკუთარი თავისთვის არ შეეძლო, თორემ სხვის გამო, ქვეყანას შეძრავდა, ფეხზე დააყენებდა და ვიდრე არ დაეხმარებოდა, არ მოისვენებდა.

სამშობლოზე ფიქრი არ შორდებოდა გულსდანაბევრჯერმიკარებულს, ბოლოს მაინც გულმა უმტყუნა, ვეღარ გაუძლო ამდენ დარდსა და მღელვარებას...

ხოლო მანამდე უკურნებელმა სენმა დაღეჭა, სისხლი შეუსვა და ხორცი შეუჭამა, მაგრამ ვერ დასძლია, მაინც ამაყი და ლამაზი იყო. გარდაცვალების შიშმა ვერ დაიბრიყვა, ემზადებოდა უფალთან შესახვედრად, არაერთხელ მიიღო ზიარება... ეს იყო მხოლოდ, არ უნდოდა ყველას ენახა მისუსტებული და ენერგია გამოცლილი, არ ეგონოთ, უმწეო ვარო... ლექსითაც იხუმრა:

კითხვის ნიშანს დავემსგავსე,
ადრე ვგავდი ძახილისას.
სიკვდილი რა ფეხებს მომჭამს –
გემოს ვიგრძნობ სხვა ხილისას...

შვილებისა და შვილიშვილების ცქერით ხარობდა. ხუმრობდა ხოლმე, – შვილი მიზეზია და შვილიშვილი – მიზანიო.

ხშირად იგონებდა გარდაცვლილ მეგობრებს: თენგიზ არჩვაძეს, თემურ წიკლაურს, ჰამლეტ გონაშვილს, ზურაბ ქაფიანიძეს... იტყოდა, – ისინი იქ დამხვდებიან, ადგილს მომიმზადებენ, არ მეშინია იმქვეყნად წასვლისო... ან რისი უნდა შინებოდა ამდენი სიკეთის მქმნელს, ღვთის მოშიშსა და კაცთმოყვარე შემოქმედს. სწამდა უფლისა და თუ ვინმე დაეჭვდებოდა ღვთის არსებობაში, ეტყოდა, – არსებობით ჩვენ ვარსებობთ, უფალი – სუფევსო.

სიონის საკათედრო ტაძრიდან გამოასვენეს პოეტი ჩოხოსნებმა. ფერწასული და მხრებდაშვებული ეთხოვებოდა ძვირფას მეუღლეს ქალბატონი გეტა, ქალი, რომელმაც ვაჟკაცურად ზიდა პოეტის ცოლის უმძიმესი ტვირთი. წამით არ მიუტოვებია, ყურადღება არ მოუკლია ბოჰემური ცხოვრების ტალღებში გადაშვებული შემოქმედისთვის. კარგად იცოდა თემურმა მეუღლის ფასი:

გამომაფხიზლებს როდემდე ნეტა,
ხმა ტელეფონის – გეტა ვარ, გეტა!
თან ვბრაზობ, თანაც ოცნებით ვთბები –
თან სიჯაბუკის მესხმება ფრთები.
დიდხანს ბუზღუნი „ნერვების წყვეტა,“
ოღონდ მესმოდეს – გეტა ვარ, გეტა!

იქ არ დაღვრილა ყალბი ცრემლი და არც ხალხის სახეზე აღბეჭდილი მწუხარება იყო მოჩვენებითი... ეს იმ დღეს არავის სჭირდებოდა... ყველაფერი ნაღდი იყო. ეთხოვებოდნენ საყვარელ პოეტსა და მეგობარს... აცილებდნენ თემურ ჩალაბაშვილს... ეს ის ცრემლები აცილებდნენ, რაც ოდესმე თავად დაუღვრია... ეს ის სითბო უბრუნდებოდა, რაც ოდესმე თავად გაუცია... იცოდა ხალხმა... იცოდა და გრძნობდა, ვისაც ეთხოვებოდა...

გივი ღვინიაშვილის და რეგინა ჯანაშვილის და სხვების დაჯილდოვების ცერემონილი დედოფლისწყაროში გაიმართა, სადაც მოწვეულები იყვნენ თბილისის ოპერის სოლისტები: გიორგი წამალაშვილი, მანონი ყუბანეიშვილი, ანსამბლი „კესანე“, გია ბაღაშვილი და სხვები, ასევე თემურ ჩალაბაშვილი, რომელიც „კესანეს“ მელოდიების ფონზე სცენაზე ავიდა და მოხდენილად იცეკვა.

ამავე წლის 2 აგვისტოს დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასიციაციამ ჩვენს ოფისში მოვუწყვეთ ბატონ თემურის თავისი ახლად გამოცემული წიგნის – „ატირეთ წვიმები“, პრეზენტაცია. ასევე, სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ჯემალ ყოჩიაშვილის დაკრძალვაზე ვახუშტი ქიზიყურაშვილთან და ვაჟა მამაიაშვილთან ერთად ისიც ჩამობრძანდა. ჭირი იყო თუ ლხინი იგი ყოველთვის ჩვენთან იყო.

21-ე საუკუნის პირველი ოცწლეულის ხელოვანებს შორის (პოეტები) ხუთეულში ბატონი თემურიც დასახელდა, იგი იმდენად თავმდაბალი იყო, ტელეფონზე დამირეკა და მითხრა: ნანა, მაგ ხუთეულში თუ არ ვიქნები, მე არ მეწყინება, ვინმეს გული არ ატკინო, სხვა დაასახელეო. მე გაოცებულმა ვუპასუხე 50 პოეტიდან თქვენმა ხუთეულმა ყველაზე მეტი ხმები მოიპოვა მეთქი, ეს პოეტები გახლდნენ:რეზო ამაშუკელი, დათო მაღრაძე, ტარიელ ხალხელაური, მზია ხეთაგური და თემურ ჩალაბაშვილი. 20 დეკემბერს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა დაჯილდოების ცერემონია. დედოფლისწყაროელმა ახალგაზრდა პოეტმა მარიამ ტოხიშვილმა მხატვრულად წაიკითხა თემურის ლექსები: „ამას ჯობია“, ილია მეორისადმი მიძღვნილი ლექსი – „ჩემო საქართველოვ მართლმადიდებელო!“ და „სანთელი“. შემდეგ მოვიხმეთ ბატონი თემური, მე რაღა წავიკითხოო? იკითხა. თქვენ „საუბარი პაპასთან“ წაიკითხეთ-მეთქი, ვუთხარი.

„...და პაპის ხელებს დავყურებ კრძალვით,
ვით საქართველოს პირვანდელ რუკას...“

დარბაზიდან ერთი მსმენელი კითხულობს: ბატონმა თემურიმ სად ნახა რომის პაპის ხელებიო? მე ვუპასუხე: თქვენ რომ ბაბუას ეძახით, ჩვენ პაპებს ვამბობთ. მამა-პაპა და არა მამა-ბაბუა. ეს რომ თემურის ვუთხარი, გულიანად გაიცინა.

ძალიან ბევრი მოგონება მაქვს ბატონ თემურიზე და ჩემს წერილს მისივე ლექსით დავასრულებ, რომელიც ძალიან უყვარდა:

უსიყვარულობა კმარა

რომ არ მოვეფეროთ დიდხანს,
მზესაც მოაკლდება სითბო,
მკვდარი ქართველები გვიყვარს,
მათ არც უცოცხლიათ თითქოს,
ძმობას გაჯერებულს ფიცით
განა ვინარჩუნებთ დიდხანს,
შეძულება, გიყვარდეს, ვიცით
ვპასუხობთ, ვინც არას გვკითხავს.
ზოგჯერ სიავით და შულლით
ერთურთს ვეურჩებით, ვურცხვობთ,
ხშირად ერთმანეთი გვძულს და
უფრო ვეფერებით უცხოს.
არა, ქართველებო, არა,
ერთურთს შევეხიდოთ უფრო,
უსიყვარულობა კმარა.
ჩვენში თუ უფალი უფლობს.
რამდენი უცხოელი ერი
ჩვენ ჯიშ-წარმოშობას ნატრობს,
მუდამ შინა გვყავდა მტერი,
გარეთ დავეძებდით პატრონს.

ახლაც ჩამესმის მისი სათნო ხმა...

აქვე გთავაზობთ პოეტის გარდაცვალების შემდეგ თემურისადმი მიძღვნილ ლექსებს:

მარინა ცხვედიაშვილი

ბიჭო, ანაგურელო,
რაშო ფაფარაშლილო,
საქართველოს მოუკვდი,
თემურ ჩალაბაშვილო.
როგორ მოგიგურგურო,
გზა რომ გაგიიოლო,
შეწყვეტილო „ურმულო“,
დაშრეტილო იორო.
ქართულ ლექსის ლაზათო,
პოეზიის ბულბულო,
აბა ვით არ დამზაფროს
ბედმა მჭლემ და უგულომ.
ვიცი ჰამლეტს შეხვდები
ფიროსმანას დუქანთან,
ამ სურათის შემყურეს,
სული გამიგულქვავდა.
რჩეულ კაცთა კრებული
გხვდება ხელებგაშლილი,
საქართველოს მოუკვდა
თემურ ჩალაბაშვილი!

მზია ხეთაგური

შენ რომ გხედავ...

თემურ ჩალაბაშვილს

შენ რომ გხედავ, აღარაფრის შიში არ მაქვს,
ქუჩის მტვერსაც ქარი უცებ მოგვის...
ამ მტკივან გულს ვარსკვლავებით მომიხატავ,
ვით გრძნეული მღვდელთმსახური, – მოგვი!
შენ რომ გხედავ, მონატრებულ საქართველოს
ძველებურად აყვავებულს ვხედავ!
ვიდრე შენ ხარ, რაღამ უნდა დამაბნელოს-
ვინ დაჯაბნის ჩალაბაანთ მხედარს!
შენ რომ გხედავ, მაჩაბელი მახსენდება

და ჰამლეტი – შექსპი-რისე-ული!
დედა-ენის სისუფთავე ცას ედება
შავი მავრის უქათქათეს სულით!
შენ რომ გხედავ, ფიროსმანის სევდას ვხედავ,
სანთლის ალით დამარცხებულ წარღვნას!
მაგ თვალებით გაიბრწყინა ცაში მზემ და
უკუღმართ დღეს ატრიალებ წაღმა!
შენ რომ გხედავ, გულში ჩუმად ვუალერსებ
ბავშვობაში წამღერებულ მოტივს...
მირონი სდის შენს ოცნებებს და შენს ლექსებს,
შენ გხედავ და... საქართველო მოდის!

ᲯᲣᲑᲐ ᲝᲔᲑᲔᲚᲘ

ᲘᲡᲔᲕ ᲩᲐᲚᲝᲑᲐᲡ

შენით მიყვარდა „ვორონცოვი“, ჩალაბაშვილო,
შენც მომატყუე ქალდანივით, – „მერე დავლიოთ,
რომ ჩამოხვალო“, – როგორ მინდა ახლა მანდ ვიყო,
წამოგაყენო კუბოდან და „გადაგასმიო“!..

მერე შენს გეტას ვუთხრა, რომ არ დაგილევია,
თუმცა ამ დროში ფხიზლად ყოფნაც რარიგ ძნელია...
წახვალ, დაგხვდება შენი ღმერთი, შენი ელია,
სხვებიც გელიან, პარნასელო, სხვებიც გელიან!..

სხვა რაღა გინდათ პოეზიის ანდებს, მოცარტებს,
ყანწებს გამოცლით, ოლიმპოს მთას შეატორტმანებთ,
ცოტა ზედაშე დაგვიტოვეთ ოღონდ, ცოტა ჩვენც,
რომ სისხლისფერი შევურიოთ ლექსის ოქტავებს!..

ნაბახუსევზე დადგებოდი ხელში ჭიქით და
გალაკტიონის ხიდს უცქერდი მშრალი ხიდიდან,
გეუბნებოდი – ცოტა უნდა ლუკმაც მიირთვა,
გადაჰკრავდი და... რისი ლუკმა, რისი ჩიხირთმა!..

ჩაისუნთქავდი ღრმად ჰაერს და დაღლილ თვალებით,
მოატარებდი მზერას ზეცას შენამთვრალები,
არ ვემალებით, იცი სიკვდილს, ლექსის კაცები,
რა კაცები ვართ, თუ მოვა და დავემალებით?!.

არჩვაძესავით ხომ გაჰყევი სიკვდილს ჩალაბ, შენც,
ალბათ ნახავდი ფიროსმანს და ვანო მაჩაბელს,
ნიკოს უთხარი, რომ აუგე ოქროს სასახლე
და მთაწმინდაზე უსხეულოდ დაასაფლავე!..

გშვენის ლექსები, როგორც ვენახს ყურძნის მტევნები,
ნეტავ ვიცოდე, მაგ კუბოში როგორ ეტევი,
„გაგაქროლებენ საიქიოს ზანტი ეტლები“,
არ მემეტები, ცივ მიწისთვის არ მემეტები!..

გშვენის ლექსები, ეგ სიკვდილიც გშვენის, ძმობილო,
ნეტავ ეგ შენი ცივი კუბო გამათბობინა,
რაა სიკვდილი, როცა ხორცში სული ცოდვილობს?..
გარდაცვალება პოეტისთვის მხოლოდ ჰობია!..

ᲩᲐᲚᲝᲑᲐ ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲖᲔ

ჩემო ძმობილო, ხომ გაუძელ ზამთრის ცივ ღამეს,
ხომ არ შეგცივდა, თუმცა მიწა თოვლქვეშ თბილია,
როგორ გეძინა, თავს როგორ გრძნობ, მითხარი რამე,
უშენოდ, ნეტავ, როგორ გაძლო შენმა თბილისმა?!.

მახათას მთაზე ქარი იცის, ძლიერი ქარი,
რაღაცნაირი შენც შესძინე ხიბლი პანთეონს,
შენი მთაწმინდაც და წმინდა მთაც მახათა არის,
ჰოდა, იქროლონ ქარებმა და ღამეც გათელონ!..

დილა გათენდა, მეგობარო, გულით გილოცავ,
შენი მეორედ დაბადების პირველ ახალ წელს,
მანდ ხომ თბილად ხარ, წუხელ ღამით ისე ციოდა,
ღვინო და ლექსი ასდიოდა ორთქლად საწნახელს!..

გულით გილოცავ, მეგობარო, ცრემლით გილოცავ,
პირველ ახალ წელს და უმრავ კიდევ ახალ ლექსს!..

ᲝᲠᲛᲝᲧᲘ ᲓᲦᲔ ᲣᲩᲐᲚᲝᲑᲝᲓ

ეს ორმოცი დღე, ჩემო თემურ ისე გავიდა,
ვითარც „უფალო, შეგვიწყალენ“! – თქმული ორმოცჯერ,
დღეს საბოლოოდ წახვალ უკვე შენი სახლიდან,
შეუერთდები სამოთხეში ღვთიურ ფოლორცებს!..

შენ უკვე იცი სად, როგორ და როდის რა არის,
უსმენ „ჩაკრულოს“ – კოსმოსისთვის შექმნილ არიას,
ნეტავ სითბოა, თუ ცივია მანდაც ზამთარი,
შოთა, ნიკალა, შუშანიკი როგორ არიან?!.

ან ტიციანი როგორ არის, ან მაჩაბელი,
თამარ მეფესაც იქნებ სადმე თვალი შეავლო,
გადაეცი რომ მათ საფლავებს ყველა ქართველი,
ეძებს უამბოდ, უხმოდ, უნდოდ, უამყველაფროდ!..

ნეტავ როგორ ჩანს დედამიწა შენგან, ზემოდან,
ანდა ახლოდან რა ფერი აქვთ ციურ-ვარსკვლავებს,
ღმერთი რას ფიქრობს, რას გვიპირებს, ალბათ გეტყოდა,
მოვა აღდგომა და კიდევ ერთ ბატკანს დაკლავენ!..

შენც, შეწირული პოეზიას ლექსის კაცი ხარ,
სიმღერ-სიმღერით, ცეკვა-ცეკვით, სტრიქონ-სტრიქონად,
ორიათასი წელიწადი ქრისტეს ჯვარცმიდან,
ისე გავიდა, ვით იყო და არა იყო რა!..

ეს ორმოცი დღეც ჩაათავე ჩემო ძმობილო,
აფეთქდებიან სადაცაა ხეზე კვირტები,
მიივლ-მოივლი საზვერეებს, შესვამ ბოთლ ღვინოს
და სამუდამოდ მამის სახლში დაემკვიდრები!..

გაგა გომართელი

ჩემს თემურ ჩალაბაშვილს

ჩემო მამილო თალხისფერი მოსავს მახათას
გახადა შენმა განშორებამ ზეცას შორეთი
მარადისობის ცივ ფრესკებსაც ისე დახატავ
როგორც ლექსებით მოგიხატავს ხვედრი პოეტის
ჩემო მამილო ახლა თეთრი გმოსავს ფილონი
მზე არ ატყვია ყრუ ამინდებს სუსხის ვასალებს
და უშენობით მონაწვიმი სანაპირონი
გახევებულან თითქოს სუნთქვა გამოაცალეს
ჩემო მამილო ფიქრისთევით ღამითთარეშავ
განცდების გრდემლვით ნაჯანყარო ღვინისწვერებავ
შენს საგულეში იმდგმურებდი ოდეს კაეშანს
სწორედ ეს იყო პოეტური ბედნიერება
ჩემო მამილო ცრემლთქორებმა სული გალოკეს
ჟამის ბასრობა მძიმე ფურცელს მაინც გადაშლის
ემახსოვრება მაგრამ ლექსის ყველა მგალობელს
რომ არარსებობს ცრუ განცდა და კაცი თამაში
უმი სივრცეა მოთარეშე მთაზე მახათას
ასე ყოფილა დროს სიცოცხლე მიაქვს ალაფად
მარადისობის ცივ ფრესკებსაც შენებრ დახატავ
ჩემო მამილო და ყველასთვის უფრო ჩალაბა

გზა ნინოწმინდისაკენ

თემურ ჩალაბაშვილს

სოფელ განძაში, სომეხი პოეტის ვაჰან ტერიანის იუბილეზე მივდიოდით. უჩვეულოდ ჩუმად იყო. თითქმის ხმა არ ამოუღია. ფარავნის ტბასთან რომ ჩავიარეთ, იმ პოეტს რა ვუთხარი სამშობლოზე კარგად იყოსო. ბავშვივით თვალცრემლიანი სახით მითხრა.

კორდებს ქოჩორს უწეწავდნენ ქორები
დინჯი სიო ღრუბლის ჩეროს სდევნიდა
გაჰყურებდა გზას ქართველი პოეტი
და ფიქრები ასდიოდა თხემიდან
ადარდებდა საქართველო ბედკრული
დაგლეჯილი ასე ცხადად, აშკარად
მკერდზე ეწვნენ მინდვრები დაბებკული
ცრემლი ლესდა მისი გულის ვაშკარანს
უღიმღამო მზე დასდევდა გადაბმულ
ლურჯი მთების უსასრულო ქარავანს
სისხლის გემო გადაჰკრავდა ნაკადულს
და ძაძებით შესუდრულ ტბა ფარავანს
მაგრამ რწმენას რა გამოლევს ქართველში
ტყვიის ნაცვლად იმედი გვაქვს ლულაში
გაეღიმა პოეტს ლექსით დაგეშილს
რქაწითელით გადაცვარულ ულვაშში
ასე, ასე ჩემო ლექსის დარაჯო
ასე ჩემო სიტყვატკბილო მამილო
საქართველო დაღონდება არასდროს
სანამ სულში პოეზია ყვავილობს

ექსპრომტი ჩემს მამობილს

ღვინოში პურის ყუას ჩავალბობ,
ცრემლი დამსკდება გულის საყვლეფად,
ქართული ლექსი ცაში ჩალაბობს
პოეტის ბედის ამოსაყეფად...

მირანდა ერისთავი

თემურ ჩალაბაშვილის ხსოვნას

კაცმა ფერხული დროსთან ჩააბა
და მისი ლექსიც (მ)წამს, გასაყდარდა,
დღეს მივაცილებთ პოეტ ჩალაბას –
მიწის და ზეცის გზაგასაყართან...
იცხოვრა კაცად, ძმად და პოეტად
სანამ ცას სულზე მოიზომებდა,
მერე კი როცა გულებს მოედო –
გაფრინდა ცათა ჰორიზონტებთან...

...
რომ გაასვენეს ფეხდაფეხ გაჰყვა
ღმერთი, ხალხი და ტაძარი ერთად,
პოეტი ცაში წავიდა რახან –
მისგან სამყარო დაცარიელდა.

...
დღეს ეს ჰაერი სულს რომ მიხუთავს,
შენს პროცესიას დუმილად მისდევს,
შენ გელოდება შენი მახათა
და მერე ლექსის იესო ქრისტე...

მარინა შანიძე

თემურ ჩალაბაშვილს

იცხოვრე მხოლოდ ალალკაცურად,
არ იყავ სხვათა ნირის განმსჯელი,
სამშობლო გწვავდა მამა-პაპურად
და ფიქრი იყო შენი სასჯელი!

დღეს უკვე შორს ხარ და გზას გინათებს,
მარადიული სხივის ნათელი,
აქ დანანების ცრემლი გინატრებს,
კიდევ რამდენი დაგრჩა სათქმელი?!

შენი სპეტაკი სულის საამოდ,
იწვის, იღვრება „თაფლის სანთელი“,
სწორედ შენია, სამარადჟამოდ,
კაცურკაცობის ნაღდი სახელი!

ᲑᲔᲥᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲕᲣᲫᲦᲕᲜᲘ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲩᲐᲚᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲡ

დედა მარიამ, პოეტში გული,
ტყუპისცალია თან ორეული,
პოეტის გული სამძიმარია,
პანაშვიდივით დარდმორეული.

პოეტის გულში, წყენა, შუღლია,
მცირეოდენი იცის ავდარი,
პოეტის გული დამარხულია,
მაგრამ, მიწიდან მკვდრეთით აღმდგარი.

ძნელად ითვისებს აზრთა გენიას,
გული, რომელიც სულ შენზე დარდობს,
პოეტის გული წმინდა ბერია,
სიცოცხლეზე მეტს სიკვდილს რომ ნატრობს.

ვეღარ გაუძლო მელანქოლიას,
ვენიდან სევდას თბილ სისხლად უშვებს,
პოეტის გული ლამპიონია,
სიბნელეში რომ ანათებს ქუჩებს.

მთებს მიტოვებულს მძიმედ თოვლიანს,
მგზავრი უკითხავს იგავ-არაკებს,
პოეტის გული ამბიონია,
სადაც პოეტი ლექსებს ქადაგებს.

ცხოვრების გზებზე ყველგან მტერია,
ვერ გავექეცი დამხვდნენ მდევრები,
პოეტის გული მონასტერია,
სადაც ანთებენ სანთლებს ლექსები.

და გევედრები დედა მარიამ,
წუთისოფელზეც რაღა ვთქვა ბოლოს,
პოეტის გული ნასახლარია,
მასში ღარიბი პოეტი ცხოვრობს.

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲯᲘᲥᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

�პᲝᲔᲢ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲩᲐᲚᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ!

გაელვებაა ზოგჯერ სიცოცხლე
და ჩატეული წამში კადრებად,
ყოფის სასრული ჩვენ რომ ვიცოდეთ,
გული ჯავრისგან შემოგვაკვდება.
გასულერთდება ყველა ტკივილი,
თუ გადასატანს ერთხელ გაუძლებ
და სულში გამჯდარ იმ სიმძიმილით
ფერად ოცნებებს წესსაც აუგებ.

მხრების ჩამოყრა სცოდნია იმედს,
სიზმარში ფრენა ხდება წყალობა,
შეეკედლები, ალბათ, იმ დღეებს,
როცა ჯერ კიდევ არ იყო კვდომა.
არა, სასრულის ცოდნა მსჯავრია
და ეს არავინ უნდა იცოდეს,
სიკვდილსაც უნდა შეხვდე თვალღია
ყოფის წყურვილთან ენთო სიცოცხლედ.

ᲕᲔᲠᲘᲯᲝ ᲞᲐᲠᲬᲘᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

* * *

(ექსპრომტი ეძღვნება თემურ ჩალაბაშვილს)

ვწერ, მაგრამ რას ვწერ არ ვიცი,
ცად-არწივები კვდებიან,
აბჯარ-ასხმული ვეფხვები,
საწუთროს ეომებიან!
როგორ გადმოვცე, არ ვიცი,
გლოვა-გოდება მთებისა,
დრო, ყველას როდი უდგება,
სიკვდილზე გამარჯვებისა!
...ნუ მეჯიბრები სიკვდილო,
შენ ჩემთან, არვინ მოგიშვებს,
იმდენი დამრჩა სათქმელი,
კარგა-ხანს მოცდა მოგიწევს!
ვწერ და რასა ვწერ, არ ვიცი,
ან, იქნებ, გულიც ცდებისა,
ციდან მოისმის ზარივით,
გლოვა-გოდება მთებისა!
სიცოცხლით გაუმაძღარი,
ცაში არწივი კვდებისა,
უკვდავებასთან, სიკვდილი
ყოველთვის დამარცხდებისა!

ᲓᲐᲚᲘ ᲧᲐᲠᲐᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

თემურ

შენც გაუდექი იმ ქვეყნის ბილიკს,
გადააბიჯე სიცოცხლის საზღვარს,
აქეთ დატოვე სიკეთის წილი,
შენც შეგიმკობენ ვარდებით საფლავს.
შესვავენ ღვინოს შენი ხსოვნისას,
და ერთ სტროფ ლექსსაც იტყვიან შენსას,
პოეტს სული აქვს თითქოს ბროლისა,
ნაღდმა პოეტმა არ იცის კვნესა...
ალბათ ღიმილით გაუდექ შარას,
აქეთ ხომ გულის ნაწილიც დაგრჩა,

ცის გზას დაადექ, არ იყო ჩარა...
სული მიჰყვება ღრუბლების ფარჩას...
გალაქტიკების მოივლი ყანას,
და შენი სული აირჩევს ვარსკვლავს,
ამ ყოფის ხსოვნას წაიღებ თანა,
ხომ იცი პოეტს სიკვდილი არ კლავს.
ხორცია მძიმე, სული კი ისე,
თურმე სულ რაღაც გრამებს იწონის,
თავად სიკვდილსაც მოუგრეხს კისერს,
ნაღდი პოეტის ერთი სტრიქონი.

ზურაბ ლაოშვილი

* * *

სამზეო რომ დატოვე,
დღემდე არ მჯერა ურჩად,
შენ რომ წახვედი, ჩემთვის
უმალ დაობლდა ქუჩა.

დავდივარ ამ ქუჩებში
ამაოდ გეძებ, ვიცი,
ლონდონის ბაღში ჩავრჩით,
ჩვენ აქ მოგეცით ფიცი.

ამოვასკდებით ქუჩას
ვარანცოვიდან ზევით,
ვერა გპოულობთ, თუმცა
ვბრაზობთ ხელების ქნევით.

გული შენს ალაგს ეძებს,
ვეღარა ვსტუმრობთ გეტას,
რამდენჯერ შენს კარებთან
გული აღმოთქვამს ნეტას.

სამზეო რომ დატოვე,
დღემდე არ მჯერა ურჩად,
შენ რომ წახვედი, ჩემთვის
დაობლდა ყველა ქუჩა.

ზურაბ მამულაშვილი

თემურ ჩალაბაშვილს

ვეღარ შევხვდებით „ლონდონის“ ბაღში,
ვერ გავიხსენებთ გარდასულ დღეებს
და, როგორც ორი ჭაღარა ბავშვი,
ვემახსოვრებით ფოთლოვან ხეებს.
სკამი?...ის სკამი ისევ იქა დგას,
სადაც ვჯდებოდით სამუსაიფოდ,
სკამსაც საოცრად ფერი ეცვალა
შენი ამბავი როცა გაიგო.
მაინც რა მოხდა, ბიჭო, რა იყო,
ეგ გული სენმა როგორ დაიპყრო,
მაგ გულით იყო ყველა შენი ძმა,
მაგ გულით ყველა შენი და იყო,
აგისრულდება, რაც გინატრია,
თემურ, ახალ წელს ისევ ითოვებს,
საოცარია, მაგრამ ფაქტია,
ისე დაგკარგე, როგორც გიპოვნე.
ტკივილებს თავი ვეღარ გაართვი,
დიდო მგოსანო, დიდო ქართველო,
შენ მარტო თბილისს კი არ დააკლდი,
გული ატკინე მთელ საქართველოს.

თენგო ავსაჯანიშვილი

გარდაიცვალა ჩემი უფროსი მეგობარი, პოეტი, თბილისის კოლორიტი, კაცი, რომელიც ღირსეულად იყო თბილისის საპატიო მოქალაქეც, თემურ ჩალაბაშვილი. სამწუხაროდ თემოსთან გადაღებული ერთობლივი ფოტო ვერ ვნახე ჩემთან, ალბათ იმის გამო, რომ იაფფასიანი ტელეფონი მქონდა, რომელიც ფოტოებს არ იღებდა. ეს ტელეფონიც 2 წლის წინ დაბადების დღეზე მაჩუქეს მეგობრებმა. იყო დრო სულ ერთად ვქეიფობდით და სუფრის პოეზიის საღამოები გვქონდა... მე ჯუბა ღებელს და ჩალაბას.

ჩემთანაც დამრჩალან ღამე სოფელში, მახსოვს, რომ მესტუმრნენ სახლში რემონტი მქონდა და ოთახში მხოლოდ ერთი ორკაციანი საწოლი იდგა, იმ საწოლზე გვეძინა ერთად სამივეს. ძალიან მიყვარდა თემო, ეს ჩემი სიყვარული ლექსით გამოვხატე, ამ წინებზე ჯუბა იყო საავადმყოფოში თემოს სანახავად მისული და ჯუბამ გადასცა ეს ლექსი. თემოს ძალიან გახარებია.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს ჩალაბას, ამ მართლაც სანთელივით კაცს, სანთელივით რომ ლოცვაში ჩადნა...

თემურ ჩალაბაშვილს

ახლაც დაეძებ ნიკო ფიროსმანს,
დადიხარ როგორც ბერი სალოსი,
ღვინო-არაყიც ვეღარ განკურნავს,
შენ სიყვარულით ისე გალოთდი

და რაც დრო გადის, უფრო თეთრდები,
კელაპტარივით ცრემლად ჩამოდნი,
როცა წაკითხვას იწყებ ლექსების,
მგონია უფალს მისდევ გალობით.

მაგ თვალებიდან გადმონაყარი
გულს მიწვავს ცრემლის ცხელი კურცხალი,
ხარ საქართველოს ლხინის მაყარი
და საქართველოს ჭირისუფალი...

ბოლოსთვის კი ისევ ცხონებული პოეტის ლექსებს გთავაზობთ, თემომ რამოდენიმე წლის წინ თავისი ხელით დაწერილი ლექსები გადმომცა ალმანახ „ხორნაბუჯისთვის“, რომელიც იმ ნომერში დაიბეჭდა. მისი ლექსების ეს მცირე ციკლი კი სწორედ მისი ამ ხელნაწერებით გვინდა დავიწყოთ მკითხველისა და დიდი პოეტის მოყვარული საზოგადოების თვალისა და გულის სასიამოვნოდ:

თემურ ჩალაბაშვილის ლექსები

თბილისში ვცხოვრობ და
თბილისურ ადამიანებს
მ. ჭელიძეს

ეს ერთადერთი ხანა,
სისხლის ტრემლიანი ვიკვნესე.
უსაშინელოდ სიცოცხლეს,
ალბათ შეხალისებ.
სუფლა ვინ მიმაშორინა,
სად წასულიან ჩემები
უქონივლილი საშინელოვ,
ირეკენა ან ჩემები.
გვინდოდა ეს ვერაფერი
ლეონიძეს ის ლექსი ვეცოდინა
ერთად სუფალი მარადისობა-
ლაბირინთული საშინელი...

* * *

თენგიზ ონიანს

რაც ან ვიცოდეთ ან ვსცოდეთ,
უფლისაკენ მივმართეთ,
ულაზეს ისეთია
ლეონიდ ტოლოის მეტყველია.
ლერონ სიმერე ვინ ვიცოდა,
ლეონიან ლოიმის მუხლებით
ტაბუდული მარადის კი ნია,
~~საქართველოს~~ ლეონიძეს
ეს ზეცაურ ილეთ მოლიბინ,
ლეონიან ვი ვაშორინ
ენ იმეკონილ ირეოვრე-
ენსოეენ საშინელოს...
ითიენ სანიოვლეს
ვინაირი კასეენ
ლეონ ოლი ითენეს
ენ მაშინეს ან ენ
ხვა ენსი ლა ხვა ინეენ
ტრემლეს თვალი მონია,
ეენ იყვ, ~~ტ~~ ტრინეენ
სუფალიულის მონ ხან.
ნეტარ ენლიენ ითენ
ლეონიან ლოიმის მუხლებით
ენ ტაბუდული ვინ
ლეონიძეს ეენ ენ...

ქიტა სესიაშვილს
ეკურნალებლი

ეხოვრობ, ითენ ითენეი,
ქართველის ტანენ ნიალი ხან,
ენ ილოიდ ენ ენ ენ
~~ეენ~~
ეენ ენ ენ ენ ...
...ენ ენ ენ ენ ენ
ენ ენ ენ ~~ენ~~ ენ ენ ენ,
ენ ენ ~~ენ~~ ენ ენ ენ ...

ზეინაბ ჭავჭავაძის –
საფლავის ეპიტაფია

ვინ ფიქრობდა ენ ენ ენ,
ვინ ფიქრობდა ენ ენ,
საქართველოს ენ ენ ენ
ენ ენ ენ ...

თელაველ მიწერილი წერილი
70 წლისადმი ვასაძლოშვილს

ძველებრძელი ძმაო მოგვლევს,
სოფლიდან სახლში ვვარე,
ვნუგეშინ ლექსად ამამიღე
რომ ვერ მოვვარე...
სიკვდილიდან გადარჩენილხარ,
ღმერთ ვერ გადაგიყლაპავს
აქ, თბილისში, ყველა ლიბერალი,
მაინ უხელფეხ ოლოვს.
ძმა ხარ მაგალითი ძმად ლიბერალებს,
მე რა უნდა გაგიკეთო,
ვინ ოდესმე მოიყოლა ასეთი ხარ,
ვინ ოდესმე ეილოვ ასეთ.
ჩვენ გიდგა წყალი ფეხზე,
მეგობარ ძმაო ვიყო...
ნიადაგ გიფიქრია,
სულ ეგეთი მოგვრეულ იყო...
II ს.. ალბერტ შვაიცერ - ~~[illegible]~~ გიფიქრია,
ლექსი მოგიტანია მეთ.
ჩემთან მიყვარ, შენ ყოფნაზე,
ეს ლექსი მეთ...

ლიბერალ ნიკოლაძეს
ვასო ფეტენია მარსელისგან

სახელად ლეონის უხმობენ
ჩოტოვაძეა გვარად
თუმცა ეუფლია იმენელია
ნიკოლაძეს ეწოდებოდა ფეხად.
ის სოფელში ლეკ იყო
ნაფლეთად წყალობას უკვლის
ზედაზეს ვსვამდით, ვლიბერალობდით
და მაღლეს ვიმეორებდით ხუკონის..
ქონიერული ეფის სიტყვე,
ლიდი სასმისებში ლესხმა
იქვე მაშინ ვანახი,
ლა ლეონის თავზე ლესხმა.
თითქოს ეუფლუნა წვეთებლენ
ეესეს მოვაინდა თავსხმა.
სანი ნიკოლაძეს ხმენ იყო,
ნინა ლაპარაკობს ანი,
ნიკოლაძეს ჩასასლეტულია -
ეს იმენელია ეფი...

ნინა ლეონიძეს

ჯერ ვერ ვერ ვერ გვიანია ის ანი,
ჯერ ვერ ვერ ვერ გვიანია ვინაც.
ალბათ ჭეშ ანი -
ალბათ ინ ვინაც...

ლიბერალ ხიბერეულიძეს
ხსოვნა

ნიადაგ ლიბერალებო შენ სიკვდილი
მუდამ ანანებენ
თუმცა ეს ან მოკვდი -
ლაბერი ლა გზა ეაანიე.
ლიტერა უყვარდა! ვინ ლაბარდის
ხმალი ხალითა.
შენ ნაცვალ მარადის ჩაეფერეთ -
შენიანი ეაფალთან.
ნიადაგ შენია მიწა,
ნიადაგ შენია ძალიანი ცოცხალ.
იმენენ ~~[illegible]~~ ~~[illegible]~~ ~~[illegible]~~ ~~[illegible]~~
ძველ ნაწილთან მიცოცხალ.
ჯერ ლიბერალებო შენ სიკვდილი
მუდამ ანანებენ
ალ ეს ან მოკვდი -
ლაბერი ლა გზა ეაანიე...

ნინა ლეონიძეს

ჯერ ვერ ვერ ვერ გვიანია ის ანი,
ჯერ ვერ ვერ ვერ გვიანია ვინაც.
ალბათ ჭეშ ანი -
ალბათ ინ ვინაც...

ეუფლიანოვი

ჯერ ვერ ეფერ ეფერ ეფერ ეფერ
ეფერ ანი ანი ალბანია ეფერ
ვინ - ინ ალბანია - ინ ეფერ,
ვინ ეფერ - ინ ინ ალბანია.

სანთელი

ნიკო ფიროსმანაშვილს

შენ ციური ხარ, უფლის ხმობილი,
ო, პაწაწინა თაფლის სანთელო.
გყოლია მრევლი ხელაპყრობილი,
შენ შეგინახავს ეს საქართველო.
ჩამოგიქროლებს სული ტაძართა
და ეგ სიწმინდე გასაკვირია:
ბევრჯერ მომხდურმა ცრემლი წაგართვა,
ბევრჯერ დაღვრილხარ და გიტირია...
...შენ სანთელი ხარ, სუსტი, უბრალო,
მაგრამ რამდენი კვნესა გიგრძვნია.
შენ, საქართველოს ჭირისუფალო,
ბედნიერი ხარ, წვა შეგიძლია...

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲒᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲡ

შენ წამოიწყე – „დაიგვიანეს“
და შუბლზე გაჩნდნენ ოშკის ბზარები,
იქნებ, ე, მაგ ყელს ერთად ხატავდნენ
ბექა და ბეშქენ ოპიზარები.
კრთოდნენ შენი ხმის მინანქარები,
როგორც ჩანჩქერი კლდიდან ვარდნილი
და არწივული შენი თვალებით
მეხატებოდა წინ ავთანდილი...
...მღეროდი, რაღაც სულ სხვა თილისმით,
თითქოს სიმღერით ტაძარს ხატავდი,
თავზე გეხურა ზეცა თბილისის,
რომლის მიწაზეც ამოთავთავდი.
დაიგვიანეს, მაგრამ სალამურს
ყური მოჰკრეს და აღარ დარდობენ
და ის პატარა მწყემსი ბიჭები
კახეთის მთებში დანავარდობენ.
...შენ წამოიწყე – „დაიგვიანეს“
და შუბლზე გაჩნდნენ ოშკის ბზარები,
ეგებ, ე, მაგ ყელს ერთად ხატავდნენ
ბექა და ბეშქენ ოპიზარები.

ᲭᲘᲠᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ

შეუფანცქალდა გული პაწიას,
დაეცა მიწას ახალმოთოვლილს.
ატირდა მუხა, ტოტი დასწია
და მიაფარა მკვდარ ჩიტს ფოთოლი...

ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚ ᲚᲣᲙᲐᲡ – ᲨᲔᲡᲐᲒᲝᲜᲔᲑᲚᲐᲓ

(სადაბადებისდღეო საჩუქარი)

მინდა მორჩილ იყო
მარად უფლის ნების
და არ დაიზარო
შენმა გახარებამ:
ხშირ-ხშირად იკითხო
წმინდა სეხნიების –
ლუკას ლექსები და
„ლუკას სახარება“!

ᲛᲐᲛᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ

შეგამკობდა რუსთაველი,
საადი,
უმწეოა ჩემი აპლოდისმენტი,
ვინ დაგარქვა შენ უბრალოდ
საათი,
შენ, ვინც მამის მაჯისცემას ისმენდი...

ᲐᲕᲢᲝᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

ვცოცხლობ, იმედს არ ვკარგავ,
დედამიწა ბრუნავს.
მოვკვდე, როცა
დავკარგავ –
გაოცების უნარს.
სადაც ვამბობ
არ ვქარგავ,
ფეხით ვთელავ
სუ ნარს.
მოვკვდე, როცა
დავკარგავ –
სიყვარულის უნარს.
სულ ჭენებით –
გავთანგავ,
ჩემგან ნახედნ
ქურანს.
მოვკვდე, როცა
დავკარგავ
კაცად ყოფნის უნარს...

ᲩᲔᲛᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲕ, ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲝ!

ილია II-ს

მუდამ სიყვარულის
განმადიდებელო,
ჩემო საქართველოვ,
მართლმადიდებელო,
ოშკო და ხახულო,
ცრემლით ნაფერებო,
ძუძუს მოწყვეტილო,
ძმებო, ქართველებო,
ზეცად აზიდულო
ჯვარო და სამებავ,
გვეყო ჩვენთა შვილთა
უღმერთო წამება...
მუდამ სათნოების
განმადიდებელო,
აღსდექ, საქართველოვ,
მართლმადიდებელო!
ო, წმინდა გიორგის
ხატებავ ნათელო,
სანთლად დანთებულო
მომავლის ქართველო!..
...ესე, სიყვარულის
განმადიდებელო –
ჩემო საქართველოვ,
მართლმადიდებელო!..

ო, დედოფალო!

გარეთ ქარია, ხორშაკნი ჰქრიან,
ევლება სენაკს ნათლისღებანი.
ო, დედოფალო, სხეული გტკივა
თუ ცოდვის შვილთა შეცოდებანი?!.

ვიწრო სენაკში შუქად კიაფობ,
ამაყობ კიდეც გულის წიაღში.
ფეხმორთხმით ზის და მოსთქვამს იაკობ:
–ტანჯვას მოგაწევს ხვალ პიტიახში!

ო, დედოფალო, უარჰყავ რწმენა! –
კვლავ ჩაგქირქილებს მარტვილს სატანა...
და წუთით თითქოს დაგეხშო სმენა –
უბრძანებ სხეულს მეტის ატანას.

ო, დედოფალო, იცვალენ მხარი,
თორო დაწყლულდენ წყლულზე წყლულები,
დასთმე სასახლე და შლეგი ქმარი,
ვითა ბრჭყვიალა სამკაულები...

გარეთ ქარია... ხორშაკნი ჰქრიან,
ევლება სენაკს ნათლისღებანი...
ო, დედოფალო, სხეული გტკივა
თუ ცოდვის შვილთა შეცოდებანი?!

პოეტის დედას

რად გამიმეტე ასე, დედილო,
ვით განიზრახე ჩემი ღალატი?
სირცხვილით ვის გსურს გააგებინო,
რომ შვილს ჩააცვი მგოსნის ხალათი?
შენ ცისფერ ეტლებს მიმეც მსახურად,
მიფრთხობენ სიზმრებს შლეგა ქარები,
მე თავზე ეკლის ჯიღა მახურავს
და შეშლილს მიგავს ხშირად თვალები.
რად გამიმეტე ასე, დედილო,
ჩემგან რა წყენა მოგაგონდება?
ჩემს ტვინში ახლაც ლექსი ნებივრობს
და, იცი, ტანჯვა მიახლოვდება.
რად გამიმეტე ასე, დედილო,
მოგეცა ჩემთვის ნიჭი მეგუთნის.
იცი თუ არა, დედავ, დედილო,
რომ თავი ჩემი მე არ მეკუთვნის,
რომ ლექსს დავყავარ უმისამართოდ,
ავკვრივარ ქალაქს მზერადაღლილი,
რომ ეს ცხოვრება მე ვერ გამართობს
და მომკლავს საღღაც ქუჩის ძაღლივით.
რად გამიმეტე ასე, დედილო,
ვით განიზრახე ჩემი ღალატი,
სირცხვილით ვის გსურს გააგებინო,
რომ შვილს ჩამაცვი მგოსნის ხალათი.

მე, გიორგი და ნია (შვილიშვილები)

ნაირა გორაშვილი - 80

წუთია წუთისოფელი,
დახამხამება თვალისა!..
იოსებ ბაიაშვილი

ჩემი თავგადასავალი

ფოტოსურათი, რომელსაც ხედავთ, 2024 წლის 26 იანვარსაა გადაღებული – ჩემი დაბადების 80 წლისთავზე. გამორჩეული მღელვარებით ველოდი ამ თარიღს: თან მიხაროდა, თან რაღაც გაურკვეველი შიში დამეუფლა ბოლო თვეებში... სიკვდილის შიში! ასეც ამიცხადდა, სწორედ ოცდაექვსში, გამთენიისას ჩემი ახლობელი, ჩემი ბიძაშვილის უმცროსი ვაჟი, ალიკა გარდაიცვალა, 46 წლის მთასავით ახალგაზრდამ, სამი ულამაზესი შვილის მამამ, თვალის დახამხამებაში, მოულოდნელად დაასრულა სიცოცხლე... ასეთი უეცარი ტკივილით დარჩა ეს საიუბილეო დაბადების დღე ჩემს მეხსიერებაში. ჭირი და ლხინი ძმები არიანო და ჩემმა შვილებმა და შვილიშვილებმა მეორე დღეს მაინც მომილოცეს სახლში, ოჯახურ გარემოში და არა რესტორანში, როგორც ეს დაგეგმილი გვქონდა. ამ სურათზე ეს საღამოა აღბეჭდილი.

***

და რადგან სათაურად „ჩემი თავგადასავალი“ ავირჩიე, მართებული იქნება, საწყისს დავუბრუნდე:

დაბადება: 1944 წლის 26 იანვარს, როდესაც მიწას მუხლამდე თოვლი ფარავდა, მე, სრულიად მოულოდნელად, შვიდთვიანი, პაწაწინა, სულ რაღაც ორიოდე კილო და უსუსური, ქვეყანას პირველ შვილად და პირველ შვილიშვილად მოვევლინე წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვებაში (ყოფილი უზუნდარა). 17 წლისა ჯერ არ იყო დედაჩემი – ბაბულია მოსულიშვილი, რომელიც სწავლას მოსწყვიტეს და გარიგებით გაათხოვეს, რადგან შეიძლება, ომში წაეყვანათ, როგორც ტექნიკუმის სტუდენტი. მამაჩემი – გიორგი (გოგია) კი 23 წლის კოლმეურნე-მძღოლი გახლდათ. 3 შვილი გაგვზარდეს, სამივეს უმაღლესი განათლება მოგვცეს და დაგვაოჯახეს. ნეტავ ბევრს ჰქონდეს დღეს ისეთი ჰარმონიული ოჯახი, როგორც მათ ჰქონდათ! პაპაჩემმა, სანდრომ, რომელსაც, რატომღაც, ზედმეტსახელად ჯიჯია ერქვა და ასეც დარჩა ადამიანების მეხსიერებაში, სასწრაფოდ ხოჭიჭი გამოთალა, რადგან აკვნის არტახებს ვერ ვწვდებოდი, მაგრამ ჩემი სიპატარავის გამო, იქაც ვერ ჩამაწვინეს. მაშინ მუყაოს მოზრდილ კოლოფში მატყლი ჩამიფინეს, ზემოდანაც მატყლი დამაფარეს და ღუმელთან მიმიჩინეს ადგილი... ასე გავიდა ორი თვე, ვიდრე მუცლადყოფნის 9 თვე არ შემისრულდა და, მერე კი, იცოცხლე, ამისრულდა ბებიაჩემი მანანას დალოცვა: „დათვი მჭლე და შენ მსუქანიო!“, ყოველი დაბანისას რომ დამძახოდა. ჰოდა, მას მერე მოვდივარ, აგერ 80 წელია... მადლობა უფალს, რომ ფეხზე ვდგავარ, მაქვს შრომის უნარი, ვაზროვნებ ჯანსაღად და შემიძლია, ვიზრუნო ჩემს ახლობლებზე.

მოსწავლეობა: 1951 წელს შევედი სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლაში და დაიწყო ახალი სამყაროს შეცნობის ხანა. გავიგე, რომ ხუთოსნობა კარგია და მიზანიც გამიჩნდა. პირველი კლასიდან მეორეში ფრიადებით გადავედი. უბედნიერესი ვიყავ, ხელში ქების სიგელი მეჭირა, შიგნით ჩარიკრიკებული ხუთიანებით... წყალწყალაანთ დაღმართზე თავქვე მივქროდი, მერე ჩემი მამა-ბიძების – ოთხი ძმის – გოგიას, შალიკოს, ვასილას და თენგიზას სახელზე დარგული დიდრონი კაკლის ხეების ჩრდილში მივრბოდი და ჯიჯიაანთ აღმართის დასაწყისში ხის ჭიშკარში რომ შევქანდი, ეზოში მჯდარ პაპას, რომელიც წინსწრებით პომიდვრებისთვის სარებს ამზადებდა, ისე მივეჭერ, კინაღამ ტაბურეტადან გადავაგდე, თან ქების სიგელს ვაფრიალებდი და გავყვიროდი: პაპი, პაპი, ფრიადოსანი ვარ... პაპამ ხელში ამიტაცა და კოცნა დამიწყო. ხმაურზე სათონიდან ბებიაჩემი ფაციაური (ფაციაშვილი იყო და ასე ეძახდნენ) გამოვიდა, ხელები გაშალა, ჩაიმუხლა და გულში ჩამიხუტა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, დღემდე რომ მომდევს და მთელი ცხოვრება ჩემი მასტიმულირებელი რომ გახდა. ამიტომ ვიყავ სანაქებო ოქტომბრელი, პიონერი, კომკავშირელი. არ დამიწყოთ ახლა რაღაცეები... სწორედ ამ საფეხურებმა მასწავლა დისციპლინა, პასუხისმგებლობა, გამიჩინა მიზანი, გამხადა მიზანსწრაფული და მომცა სხვა მრავალი სასიკეთო თვისება. ცოტა სიმღერა შემეძლო, ცოტა – ცეკვა, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიური ვიყავ, ჰოდა, ასეთად დავრჩი მთელი ცხოვრება... სკოლა ოთხებზე და ხუთებზე დავამთავრე და ნაბიჯი ჩემი ოცნებისკენ გადავდგი – პედაგოგობა მინდოდა, კონკრეტულად ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობა.

წარჩინებულ მოსწავლეთა დაფიდან

განათლება: ჩავაბარე გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 5 წელი ჯგუფხელი ვიყავი. თავს არ ვზოგავდი, თავი გამომეჩინა. აქტიურად ვმონაწილეობდი ინსტიტუტებს შორის გამართულ სამეცნიერო კონფერენციებში ბათუმში, ქუთაისში, ცხინვალში, თელავში. მეხუთე კურსზე რეფერატისთვის – „მასწავლებელთა უფლებები და ორგანიზაცია „სპარტაკის“ საქმიანობა“, მომენიჭა საქართველოს კომკავშირის მეორე ხარისხის პრემია. ნაშრომი ითარგმნა რუსულ ენაზე და გაიგზავნა მოსკოვში კომკავშირის საკავშირო კონფერენციაზე, სადაც პირველი ხარისხის პრემია, 300 მანეთი დავიმსახურე. ფაკულტეტებს შორის გამართულ მხირულთა და საზრიანთა კლუბების კონკურსში, ფაკულტეტის მოცეკვავე გოგონებთან ერთად გორის თეატრის სცენაზე ვცეკვავდი „ხორუმს“ და „ფერხულს“. როდესაც ცეკვის დასასრულს ქუდებს ვიხდიდით და ვამჟღავნებდით, რომ გოგონები ვიყავით, დარბაზი დიდი ოვაციებით გვხვდებოდა... ეს მაშინ მოდაში იყო. ჩემი ბედნიერი წლები... უამრავი თბილი და ტკბილი მოგონებით! 1986 წელს, უკვე ორი შვილის დედამ და არცთუ პატარა ოჯახის დიასახლისმა, დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სრული კურსი. ჩვენ პირველი გამოშვება ვიყავით დაუსწრებლების. ამ განყოფილებამ, რატომღაც, მხოლოდ სამი წელი იფუნქციონირა, მერე დაიხურა. უნივერსიტეტი მაინც სხვა განზომილება გამოდგა: დავით გამეზარდაშვილი, გალაკტიონის ძმისშვილი და მემკვიდრე ნოდარ ტაბიძე, გოგლას შვილიშვილი ნიკო ლეონიძე, დალი ჩიკვილაძე, ვანო მჭედლიშვილი, სანდრო მამასახლისი... რა თაობა იყო, რამდენი რამ ვისწავლე, გავიგე! დაუვიწყარი იყო

და დღემდე მეამაყება ჩვენი დეკანის, პროფესორ ნოდარ ტაბიძის მიერ სადიპლომო ნამუშევრის ფრიადზე შეფასებისას წარმოთქმული ფრაზა: „ყოჩაღ, ქიზიყელო, შენ წერა-კითხვა მართლაც გცოდნიაო“... ეს უმაღლესი შეფასება იყო მისგან. ამით დამთავრდა ჩემი სწავლა-განათლება, თუმცა, შიგადაშიგ იყო მივლინებები და კვალიფიკაციის ამაღლება რესპუბლიკური პრესის რედაქციებში, თბილისისა და ბიჭვინთის ჟურნალისტთა სახლებში.

***

ჩემი შრომითი გზა 1961 წლის 14 სექტემბერს სოფელ გამარჯვების საკოლმეურნეო საბავშვო ბაღში დაიწყო – მუსიკის მასწავლებლად დავინიშნე. მას მერე, რაც პირველ წელს უმაღლესში მოსახვედრად 0,25 ქულა დამაკლდა, განათლების კანონმდებლობით, ორწლიანი შრომითი სტაჟის დაგროვება იყო სავალდებულო. „ეს საწყალი კურდღელი“, „კომში, კომში-კომარა“, „ჩიტო-ჩიტო ნაცარა“, „რა კარგია შემოდგომა“... და ასე, სიმღერ-სიმღერით ჩათავდა ორი წელი. გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, განაწილებით, რომელიც ასევე სავალდებულო იყო, მარნეულის რაიონის სოფელ არაფლოს აზერბაიჯანულ საშუალო სკოლაში ამოვყავ თავი ქართული ენის მასწავლებლად. 3 წელი ვასწავლიდი... მე კი ვასწავლიდი, მაგრამ ვის უნდოდა?! არაადეკვატური პროგრამით ქართული ენის სწავლება მეხუთე კლასიდან იწყებოდა, (რუსულის – მეორედან, საქმის წარმოებაც რუსულად იყო, მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორია საქართველოსი იყო, ეროვნებით კი აზერბაიჯანელები იყვნენ), გაკვეთილები, ძირითადად, მე-5-მე-6 უტარდებოდათ. სიმღერა და ფიზიკურზრდაც კი ქართულზე წინ იდგა. უკვე დაღლილ ბავშვებს არც აინტერესებდათ და არც არავინ ავალდებულებდა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სწავლას. პედაგოგებმაც აქა-იქ თუ იცოდნენ საყველპურო ქართული, რადგან მათ უმრავლესობას უმაღლესი განათლება აზერბაიჯანული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ბაქოში ჰქონდათ მიღებული. სამი წელი ჯერ რაიონის განათლების განყოფილებას, შემდეგ განათლების სამინისტროს ვწერდი წერილებს და მოვითხოვდი, გადაეხედათ პროგრამისთვის და მეტი ყურადღება მიექციათ არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლებისთვის, მაგრამ დარჩა ჩემი ხმა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. მერე კი ყველამ ვნახეთ, რა შედეგებიც გამოიღო ჩვენმა გულგრილობამ... დაგვაკარგვინა ტერიტორიები და ერთიანი ეროვნული სულისკვეთება. მე კი, მაშინ, 23 წლის ასაკშიც და ახლაც – 80 წლისა, ვფიქრობ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებთათვის სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, უნდა იყოს ქართული ენის, კულტურის, ისტორიისა და მრწამსის საფუძვლიანი ცოდნა.

1971 წლის იანვარში ოჯახი შევქმენ გიორგი (გოგი) პოპიაშვილთან და დავმკვიდრდი დედოფლისწყაროში. სკოლაში საათები ვერ ვიშოვე და, ჩემდაბედად, გაზეთ „ახალი შირაქის“ რედაქციაში გამოჩნდა ლიტმუშაკის ადგილი. იმ სულგანათლებულმა გოდერძი ტოკლიკიშვილმა თითქმის ორი თვე მამუშავა გამოსაცდელი ვადით და როდესაც დარწმუნდა, რომ წერა-კითხვა შემეძლო, შტატში ჩამსვა. ასე დაიწყო ჩემი 52-წლიანი თანაცხოვრება გაზეთ „შირაქთან“, რომელიც ჩემს სახლად და ოჯახად იქცა. არაჩვეულებრივი კოლექტივი დამხვდა, მათი დიდი უმრავლესობა აღარ არის. მათ გახსენებაზე სითბო და სიყვარული მეღვრება გულში და მენატრებიან. ამ მონატრებას სათავეში ისევ ერუდირებულსა და პატიოსან კაცს, გოდერძი ტოკლიკიშვილს ჩავუყენებ, ჩვენი „დიდი ენციკლოპედია“ შოთა ბიკაშვილი, ჩემი უთბილესი და უტკბილესი თინა ფავლენიშვილი, კლარა ოზაშვილი, ლეილა ჯინაშვილი, მაყვალა ალუღიშვილი, ანზორ ჯალიაშვილი, სულ მუდამ ხუმრობის ხასიათზე მყოფი უშანგი წყარუაშვილი... გაანათლოს უფალმა მათი სულები. მხოლოდ მე და რენი ჭრელაშვილი დავრჩით იმ ძველი მოგონებებით. აქ, ამ ადამიანების გვერდით ვისწავლე ხალხისა და საქმის ერთგულება, გატანა და დაფასება, გუნდურობის ძალა, გავიცანი ძალიან ბევრი ადამიანი. წელი წელს მისდევდა, შემეძინა ჯერ ვაჟი – ზურაბი, მერე ქალიშვილი – მაგდა. ვეცადე, კარგი შვილები აღმეზარდა. ზურაბი – იურისტია, მაგდა – ჟურნალისტი. ორივე დაოჯახებულია: ზურაბს და ნატალის ერთი ვაჟი ჰყავთ, პაპის მოსახელე, გიორგი, მაგდას და ირაკლი მელაშვილს – ქალიშვილი, ნია მელაშვილი. მათთვის ვცოცხლობ და ვსუნთქავ... ისინი თბილისში ცხოვრობენ და ახლა მე გიორგის საოჯახო მასწავლებელი ბებია ვარ, რაც მაბედნიერებს!

სტუდენტობისას

***

რედაქციაში ჩემი მუშაობის 20 წლისთავისთვის საბჭოთა კავშირი დაშლილი, ჩვენს ქვეყანაში კი თითქმის ყვე-

რედაქციაში

ლაფერი დანგრეული და მოშლილი იყო: არსად ელექტროენერგია, არსად ბუნებრივი აირი, არსად წყალი, საწარმოებისა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების უმრავლესობა უპერსპექტივოდ გაჩერებული, გაძარცვული და მიწასთან გასწორებული... სამაგიეროდ ვიყავით თავისუფლები. ეს თავისუფლება პირველ ხანებში ეროვნულ სიამაყეს, პატრიოტიზმსა და თვითმყოფადობასთან ასოცირდებოდა, მერე, თანდათან, ეს მუხტი მინელდა, მინავლდა და... მასების უმრავლესობამ ზნეობრივ და ფიზიკურ თავისუფლებად აქცია. ახლა ეს გამოიხატება ჩაცმაში, ურთიერთობებში, უზრდელობაში, აღვირახსნილობაში, მკვლელობებში, ნარკომანიის მომძლავრებაში და მრავალ სხვა, არცთუ სასურველ ქმედებებში. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლები ადამიანების მეხსიერებაში დარჩა მტკივნეულ მოგონებებად – სიცივესთან, შიმშილთან, ხვალინდელი დღის შიშთან, რომელსაც სხვადასხვა დაჯგუფების განუკითხავი თარეში იწვევდა... უჭირდა ყველას. გაგვიჭირდა ჩვენც – გაზეთ „შირაქის“ რედაქციას. იცოდნენ პრესის ძალა და პირველებს სწორედ ჩვენ აგვიჭედეს კარები. პოლიტიკური პარტიები და გაერთიანებები ცდილობდნენ, დაემორჩილებინათ რედაქცია. ამ პირველ აჭედვას შეეწირა ერთ-ერთი წესიერი და პატიოსანი კაცი, რედაქტორი გოდერძი ტოკლიკიშვილი. ის გაათავისუფლეს, რამაც მისი ცხოვრება თავდაყირა ამოატრიალა და უამრავი ტკივილი მიაყენა უსამართლოდ. დიდი ბჭობისა და შეხლა-შემოხლის შემდეგ „მრგვალმა მაგიდამ“ არჩევანი ახალგაზრდა ჟურნალისტზე, ცირა ქისტაურზე, შეაჩერა. ცირამ ის-ის იყო, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და, ყოველგვარი შრომითი გამოცდილების გარეშე დანიშნეს რედაქტორად. კარგი ჟურნალისტი იყო, განათლებულიც, მაგრამ სწორედ გამოუცდელობის გამო, ათ თვეზე მეტი ვერ გაუძლო მან პარტიების შემოტევებს, ორგანიზაციის ფინანსურ გაჭირვებას და დატოვა სამსახური. ისევ გაიმართა კონკურსი, ისევ ბევრი იმსჯელეს და ითათბირეს და ხმათა უმრავლესობით (9-დან 6 ხმა) მე, თქვენს მონა-მორჩილს, მერგო ბედად, 1991 წლიდან მეზიდნა რედაქტორის ის მძიმე ტვირთი, რომელიც რამდენიმე ათეულ წელს გაგრძელდა. ახლა, როდესაც ვფიქრობ იმ წლებზე, ერთი დიდი კოშმარი მგონია... იმის მოყოლას, თუ როგორ მოვედით დღემდე, მთელი ეს ჟურნალი არ ეყოფა, ამიტომ ვეცდები (თუ მოვახერხე), მოკლედ, ეპიზოდებად მოვყვე, რათა შეგიქმნათ წარმოდგენა, რაც გადავიტანეთ: ელექტროენერგიის ხანგრძლივი წყვეტილობის გამო სულ ნათურას ვიყავით მიჩერებულნი. დენი მოვიდოდა თუ არა, დღე-ღამის ნებისმიერ დროს გავრბოდით, პირველ რიგში, სტამბაში ლინოტიპების (სტრიქონების ჩამოსასხმელი დანადგარი) ჩასართავად, რადგან მის გაცხელებას თითქმის 2 საათი სჭირდებოდა. მერე „დამპალოდან“ „კამიშოვკიდან“ და „მაზოვკიდან“ სტამბის მუშების მანქანით მოგროვებას იწყებდა ჩემი მეუღლე გოგი პოპიაშვილი, რომლის თანადგომის გარეშე მე უძლური ვიქნებოდი, შემენარჩუნებინა გაზეთი. ხშირად ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს ღამე გაყინულ საამქროში, ერთმანეთზე მიდგმულ სკამებზე ეძინათ. სტამბის მუშებიც, ჩვენთან ერთად, თავს არ ზოგავდნენ. ამისთვის დიდი მადლობა მათ. არცთუ იშვიათად, შევუდგებოდით თუ არა მუშაობას, დენი ისევ ჩაქრებოდა და 20 წუთში ისევ იყინებოდა ლინოტიპი. ბეჭდვაც გვიჭირდა უდენობის გამო, ამიტომ, ჩემმა მეუღლემ, რომელიც სპეციალობით ინჟინერი გახლდათ, საბეჭდი ელექტრომანქანები ხელით მართვაზე გადააწყო და ჩემი ვაჟის – ზურაბის დახმარებით ბეჭდავდნენ რის ვაი-ვაგლახით გამზადებულ გაზეთს. მერე ნაცნობ-მეგობრების დახმარებით 35-კილოვატიანი გენერატორი ვიშოვეთ და ცოტა ამოვისუნთქეთ. ჭირდა საგაზეთო ქაღალდის შოვნაც. გაძნელდა სათადარიგო ნაწილების მოძიება სტამბისთვის, დედაქალაქიდან ხელოსნების ჩამოყვანა; ერთხანობას, იძულებული გავხდი, ხელით საკრეფი ასოები სასტამბო ნაგვიდან ამოგვეკრიფა და იმით გვემუშავა, ზოგი ასო დიდი იყო, ზოგი – პატარა, ერთი სიტყვით, წარმოუდგენლად ვწვალობდით... მერე კომპიუტერებიც შემოვიდა და სტამბის მძიმე ტექნიკა ჩაანაცვლა. ეს სიახლე ჩვენთვის მიუწვდომელი იყო, მათი საყიდელი არც ფული გვქონდა და არც სპეციალისტები გვყავდა. დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც 2-3 წლის ბავშვებმაც კი იციან კომპიუტერის მოხმარება, ეს ძნელი წარმოსადგენია! ამ დროს გამოჩნდა სწორედ ჩვენს მხსნელად არბოშიკელი ახალგაზრდა, ოთარ კიკილაშვილი, რომელმაც თბილისში კომპიუტერული ცენტრი გახსნა. მას გვერდში ედგნენ თავისი ერთგული დები – ლია და მაიკო. თავად შემოგვთავაზა და დაგვარწმუნა, თბილისში გვეკეთებინა და გვებეჭდა გაზეთი. შევთანხმდით. ორშაბათიდან პარასკევამდე საგაზეთო მასალებს მოვიპოვებდით, ვამზადებდით, შაბათ დილით, ადრე, სამარშრუტო ტაქსით მივდიოდით თბილისში, ვაკეთებდით, ვბეჭდავდით და 700-800 გაზეთი, რომელიც საკმაოდ მძიმე იყო, საზოგადოებრივი ტრანსპორტით კვირა საღამოს ჩამოგვქონდა. საფოსტო მომსახურება, 90-იანი წლებიდანვე, წარსულს ჩაბარდა და გაზეთი მკითხველამდე ჩვენ, რედაქციის თანამშრომლებს, მიგვქონდა. ჩემთვის არ არსებობდა გამოსასვლელი, დასვენების დღე... ასე გაგრძელდა 15 წელი, ვიდრე 2012 წლის დასასრულს, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების, ლევან ბაღაშვილის და ნიკოლოზ შანშიაშვილის ხელშეწყობითა და ჩვენი დიდი ძალისხმევით, არ გამოვეყავით დაქვემდებარებიდან ეკონომიკის სამინისტროს და გაზეთი არ გახდა მუნიციპალიტეტის ორგანო. სწორედ ამან გახადა შესაძლებელი, რედაქციის დაფინანსება ოფიციალურად შესულიყო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, გამიჯნულიყო შპს-ის დირექტორისა და რედაქტორის შტატები და ფუნქციები, რომელსაც მთელი

21 წლის მანძილზე, ერთი მწირი ხელფასის პირობებში, ვასრულებდი. მე დავრჩი გაზეთის რედაქტორად, ხოლო შპს-ის დირექტორად დაინიშნა რედაქციის წიაღში აღზრდილი და უკვე გამოცდილი ჟურნალისტი ინგა შიოლაშვილი.

რადგან ფინანსებს შევეხეთ, მინდა, გავიხსენო, თუ როგორ დავდიოდით მანამდე კარდაკარ, სოფელ-სოფელ, ორგანიზაციიდან ორგანიზაციაში რედაქციის საჭიროებისთვის საარსებო ფინანსები რომ მოგვეზიდა ხელმომწერთა თუ რეკლამის მსურველთა გაზრდის საშუალებით. სამი დღე ველოდე რუსთავში მეტალურგიული ქარხნის დირექტორს, გურამ ქაშაკაშვილს, რომ დამერწმუნებინა, რაიონში კირქვის მოპოვების სანაცვლოდ 2-3 ვაგონი კირქვის ღირებულება მაინც ჩაერიცხა ჩვენთვის, რათა გაზეთის ბეჭდვის ნისია დამეფარა. კიდევ ერთხელ მადლობა ოთარ კიკილაშვილს, შეღავათიან ფასებში, ხან ნისიად, ხანაც უფასოდ რომ გვიბეჭდავდა გაზეთს. პრეფექტიდან მოყოლებული, რაიონის რამდენი ხელმძღვანელი გამოვიცვალეთ, ხვეწნა-მუდარით, ხან ცრემლებითაც კი იძულებულს რომ ვხდიდით, წასულიყვნენ „დარღვევაზე“ და მინიმალური დაფინანსება მაინც მოეცათ, რათა გაზეთი არ დახურულიყო. არც ის დამავიწყდება, როგორ ვიჯექი დილიდან ღამის 9 საათამდე სიცივესა და სიბნელეში, შემოდგომის იმ ჟინჟღლიან და ბურუსიან დღეს მაშინდელი ფინანსთა მინისტრის მისაღების წინ, დერეფანში, როცა ყველა თანამშრომელი წავიდა და მხოლოდ დარაჯი დარჩა, იმ იმედით, რომ შეიძლება, მინისტრი მოსულიყო. ჩაბნელებულ დერეფანში ფარნის შუქზე ჩემი დანახვით გაოცებულმა მინისტრმა კაბინეტში შემიყვანა, ლამპა აანთო (1996 წელი იწურებოდა) და გულდასმით მომისმინა. წინ დავუწყე საბუთები, რომელიც ამტკიცებდა ჩვენს უფლებას სტამბა-რედაქციის შენობაში ჩვენ მიერ დაკავებულ ფართზე, რადგან მთელი შენობა, რომელიც 1980 წელს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტმა ააშენა, სტამბის ბალანსზე იყო; ჩვენ ხომ – სტამბაც და რედაქციაც, მაშინ ამ კომიტეტის შემადგენლობაში ვიყავით! მე ვითხოვდი, ეს ფართი უსასყიდლოდ გადმოსცემოდა რედაქციას, რაშიც არ მეთანხმებოდა მაშინდელი ქონების მართვის რაიონული სამსახური, რომელმაც სტამბის მთლიანი შენობა საპრივატიზაციო ნუსხაში შეიტანა და ყოველგვარი იმედი გადამიწურა, მებრძოლა. მაგრამ, ამაოდ დაშვრნენ, მე მოვიპოვე ფართის გადმოცემის უფლება. სწორედ საკუთარი ფართის ქონამ გადაგვარჩინა. არაერთხელ იყო მცდელობა ჩვენი ფართის პრივატიზირებისა, მაგრამ ამაოდ! ფართის გადმოცემის ჩვენს სამართლიან მოთხოვნას ამყარებდა მაშინდელი მაჟორიტარი დეპუტატის, გაზეთის საიმედო მეგობრისა და გულშემატკივრის ბეჟან (ბაჩუკი) გონაშვილისა და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის (რომელიც იმ ძნელბედობის ჟამს სულ ჩვენ გვერდით იყო და მხარს გვიჭერდა), აკაკი სიხარულიძის რეკომენდაციები. არაერთხელ მოგვიწია ჩვენი ფინანსური რესურსების დაცვისთვის თუ რედაქციის ქონებაზე მონადირე პროვოკატორების წინააღმდეგ სასამართლო დავების მოგება, რაც დიდ ძალისხმევად დაგვიჯდა. არანაირი სამუშაო პირობები არ გვქონდა. ხან შეშის, ხან დიზელის საწვავის მეშვეობით ოდნავ ვათბობდით ერთ გაჭვარტლულ ოთახს, სანთლისა და ლამპის შუქზე ვმუშაობდით, მაგრამ ერთი წუთით არ დაგვიზოგავს თავი, შეგვენარჩუნებინა გაზეთი, რომელიც რაიონის ცხოვრების მატიანეა. მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს თანამშრომლებს, რომლებიც გვერდში მედგნენ და ძალას მაძლევდნენ იმ დროს ამ ბრძოლაში: ანა ბენაშვილს, მანანა ყატაშვილს, ნანა ლაპიაშვილს, ინგა შიოლაშვილს, ლალი მეხრიშვილს, ნათელა ბოსტაშვილს, ნიაზი ჯანაშვილს, მზია ქენქაძეს. მინდა გითხრათ, რომ დრომ მოიტანა ის სირთულეები და ჩვენ არ დავნებდით. ჩვენი ერთსულოვნებითა და პასუხისმგებლობით მოვიგეთ ომი, რომელიც დრომ შემოგვთავაზა. ჩვენ ამაყები ვართ, რომ დღეს გაზეთი ყოველკვირეულია, რვაგვერდიანია და გარე გვერდები ფერადია. ამაში ჩვენი, ძველი თანამშრომლების, დიდი დამსახურებაცაა, მყარი საძირკველი რომ დავახვედრეთ. მადლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რომ აფასებს და ზრუნავს გაზეთზე, როგორც ფინანსურად, ასევე მორალურად. წარმატებებს ვუსურვებ რედაქციის ახლადშემომატებულ თანამშრომლებს – ილია მარტყოფლიშვილს, ჟუჟუნა ყანჩაშვილს, ელზა ხარაშვილს, ხათუნა ბენაშვილს. ვისურვებდი, დიდხანს ეარსებოს „შირაქს“, როგორც ბეჭდვურ ორგანოს.

52 წელი გავატარე რედაქციაში. ბევრი იმედგაცრუებაც მახსოვს, ბევრი სიკეთე, მხარში დგომა და ერთგულებაც, ბევრი დარდსა და ფიქრში გათენებული ღამეც და ბევრი სიამით გასახსენებელი დღეც. აბა, როგორ დამავიწყდება 1997 წლის 9 ოქტომბერი – გაზეთ „შირაქის“ 60 წლის იუბილე და მე-9 000 ნომრის გამოშვება. რვაგვერდიანი,

„შირაქელები“

ფერადი გაზეთი გამოვუშვით, მთელი ისტორია შიგ იყო ჩადებული, მთელი გაზეთი გადაჭედილი იყო მოლოცვებით. ვისი მოლოცვა არ მივიღეთ: რაიონის ხელმძღვანელობის, თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ნოდარ ტაბიძის, ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის, აკაკი სიხარულიძის, ფედერაციის რეგიონული სამსახურის უფროსის გივი ჭელიძის, პოეტ შოთა ნიშნიანიძის, მწერლების ლევან სანიკიძისა და რევაზ მიშველაძის, „ქალთა გაზეთის“, ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ სახელით, გიორგი ნატროშვილის, გაზეთ „ალიას“ სახელით მაგდა პოპიაშვილის, სიღნაღის რაიონის გამგებლის, გაზეთ „მერანის“ მთავარი რედაქტორის ვაჟა ცაბუტაშვილის, ყოფილი რედაქტორების – გოდერძი ტოკლიკიშვილის, ვლადიმერ მჭედლიშვილის, ერთგული მკითხველებისა და ავტორების: ამირან ბიღიაშვილის, ცისანა მჭედლიშვილის, ჯუმბერ უთრუთაშვილის, მარინე ჭუმბურიძის, მანანა ყატაშვილისა და სხვათა. გვიხაროდა და ვამაყობდით მათი შეფასებებით. ოთხმოცკაციანი ვახშამი გავმართეთ, ცოცხლად უკრავდა დედოფლისწყაროს ვოკალურ-ინსტრუენტული ანსამბლი, მზია ალადაშვილის ნამღერმა დაატყვევა დედაქალაქიდან ჩამოსული სტუმრები... ბედნიერები ვიყავით! მეორე იუბილე 2022 წლის 8 ნოემბერს, გაზეთის 85 წლისთავზე გადავიხადეთ. ამ დღეს ვალმოხდილი დავემშვიდობე ჩემს „შირაქს“. მადლობა ამ დღისთვის მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ ჯანიაშვილს და მის მოადგილეს, მალხაზ მერაბიშვილს. უღრმესი მადლობა კულტურის სამსახურს და ცარო მარტიაშვილს ორივე იუბილის გალამაზებისთვის, ეშხისა და ლაზათის მიცემისთვის. რა წამოვიღე 52-წლიანი შრომის საფასურად? „ღირსების მედალი“, „საუკუნის ლეგენდის“, „ქალის ეტალონის“, „საუკეთესო ხელმძღვანელი ქალის“, „მეცენატის“, „წლის საუკეთესო ჟურნალისტის“, „წარმატებული დედოფლისწყაროელის“ ტიტულები, მრავალი სიგელი და მადლობა... მე კმაყოფილი ვარ, დამიფასდა შრომა და თავდადება! მე გავუძელი წუთისოფლის ამღვრეულ მორევს, გავცურე, გავედი ბოლოში და... მიხარია!!!

***

– რას აფასებთ ადამიანშიო, მეკითხებით? – შრომისმოყვარეობას, ერთგულებას, მიზანსწრაფულობას, სიყვარულისა და მადლიერების გრძნობას.

– რას ვერ ვიტან? – ამპარტავნებასა და უმადურობას.

– რისი მეშინია? – დედამიწაზე გამეფებული სისასტიკისა და უღმერთობისა. სიკვდილის, რადგან ერთადერთია, რაც იცი, რომ აუცილებლად მოხდება. და როგორც ესენინი იტყოდა: „არახალია ქვეყნად სიკვდილი, მაგრამ სიცოცხლეც ერთობ ძველია!“ ცხოვრება ხომ სიცოცხლისა და სიკვდილის მუდმივი ჭიდილია მას მერე, რაც გააცნობიერებ სიკვდილის არსებობას.

– რისი არ მეშინია? – უკან მოხედვის.

– ვისი მშურს? – პოეტების, რადგან ვერასდროს შევძელ ერთი სტროფის დაწერაც კი, რათა მოკლედ, ხატოვნად და გულში ჩამწვდომად გადმომეცა ჩემი ხედვა და გრძნობები. უზომოდ მიყვარს პოეზია და კარგი დეკლამატორი.

– რას ვუანდერძებ ჩემს შვილებს, ახლობლებსა და ნაცნობ-მეგობრებს? – ნაბოკოვის ერთ ფრაზას: „წარმომისახე! მე არ ვიარსებებ, თუ შენ არ წარმომისახავ!“

– ვისი მადლობელი ვარ? – მშობლების, რომ მომცეს სიცოცხლე და უფლის, რომ დღემდე მომიყვანა.

– რას ვიტყვი დასკვნის სახით? – რომ წუთია წუთისოფელი, დახამხამება თვალისა, თუმცა, თანადროულობა ასაკით არ განისაზღვრება.

ნუ ჩამითვლით კადნიერებაში, თუ სიტყვა ძალიან გამიგრძელდა, მაგრამ სათქმელი და გასახსენებელიც კიდევ ბევრი დამრჩა.



თამაზ წიკლაური

პრელუდია

რაც ლექსად სათქმელს მივენდე
და სიტყვის კონა ვიშვილდე,
ვაი, გაფრენილ იმედებს,
ვაი, დაკარგულ სიმშვიდეს.
რაც სიყრმეს გავცდი, ჯერ კიდევ
რაც ჩემს ხსოვნაში თბილია.
უფსკრულსაც კბილით ვეკიდე
ხანჯლის პირებზეც მივლია.
ვწოლილვარ ცეცხლის ლოგინში,
ქვეშ ნაღვერდალი მგებია,
უკეთეს დღის მოლოდინში
უარეს გამთენებია.
რა ჭირს არ გადავეკიდე,
რაც ყურით არ გამეგონა,
შურით მგესლავდნენ, მე კიდევ
მტერიც მოყვასი მეგონა.

სულ მარტო დავრჩი მას მერე
არცვინ ავსილა ნანითა,
აუ, რამდენჯერ დამსერეს
ენით ლაქარდიანითა.
არც ბედს ვყვედრიდი არაფერს
ჩემსკენ რისხვით რომ მობრუნდა.
ხან არწივს ვგავდი ანაფრენს,
ხან ირემს ვგავდი ქორბუდას.
ხან ვეფხვი ვიყავ ბრწკლიანი,
სიკვდილიც კვალში დამდევდა...
როგორც გზა ნარ-ეკლიანი,
არც შიში არ მადარდებდა.
ფრთას მახეთქებდა გრიგალი
ნამგზავრს უსაჭო ნავითა,
ჩემად რომ ვთვლიდი ის ქალიც
ადგა და სხვასთან წავიდა.
ეს სული ნარბევ-ნაგვემი
ჰაუ, რარიგად მტკიოდა,
სიტყვით ვერ აღწერს ბაგენი
რა ქარი შამამკიოდა.
მე კი ულექსოდ ვერ ვძლებდი,
ლექსს ვთვლიდი ყოვლის შემძლედა.
ზოგჯერ სიკვდილს თუ ვეძებდი,
ზოგჯერ სიკვდილიც მეძებდა.
სოფლის უკუღმა ტრიალი
წაღმა არ მიბრუნდებოდა,
თუმცაღა გული ტიალი
ლექსის კოცონზე დნებოდა.
სული დაღლილი ლოცვებით
ვათრიე ძალისძალათი.
გავაფოლადე ოცნებით
და ლექსის ქარბორბალათი.
სათქმელი სათქმელს დავწიე,
ლექსებს შევწირე ყველა დღე,
ჯოჯოხეთს გამოვაღწიე
და ლექსით მოველ თქვენამდე.

* * *

ვერც დღევანდელი დღე ვერ მიშველის
ნარბევს ნაგვემი სულის ობლობით,
ჩემს წინ სიცხადე დგას ტანშიშველი
ცბიერი ბედის შეუნდობლობით.
ჯავრს გავურბივარ, მაგრამ იგია
აზრის სრულყოფის, სიბრძნის სათავე,
ვერც ბროლის კოშკი ვერ ამიგია
ეკლიანი გზაც ვერ მოვათავე.
ხვალ ჭმუნვის კედლებს გამოვეხსნები
და მღვრიე სულის ქაოსს მწვალებელს,
შეიფარებენ ჯვარცმის ლექსები
პოეტს მოგვსა და შეუწყნარებელს.

* * *

მგოსნის მისიას ვამართლებ,
სივრცედ არ მყოფნის ერთი ცა,
თუ გინდა გამასამართლეთ –
ეშმაც მე ვარ და ღმერთიცა.
ჩემს სიჭაბუკეს ვიგონებ
ვარდების ღღეთა ვარდობას,
მითაც ვერ გამოვიგლოვებ
იმ წლების დარდიმანდობას.
ბოლომდე მიმდევს ეს სენი
ლექსით მივტირი ბავშვობას,
ამიტომ ვერ დავეხსენი
ღვინოს და ლოთიბაშობას.
ძვირფასო, გთხოვ ნუ დამძრახავ
ლამაზი სულის წიაღში,
ხან თუ ბახუსის გზად მნახავ,
ხან ლექსის აგონიაში.
„ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი“,
ხან თვალთ ცრემლებიც მომდისა,
თვით მიკვირს როგორ გავძელი
ცოცხალმა აქამომდისა.
ვიმკი ლექსების მოსამკალს
და სულში ვიტევ სამყაროს.
ლექსში ვერც ჟამმა მო-ცა-მკლა,
ვერც დრომ ვერ დამასაპყაროს.
მგოსნის მისიას ვამართლებ,
სივრცედ არ მყოფნის ერთი ცა,
თუ გინდა გამასამართლეთ –
ეშმაც მე ვარ და ღმერთიცა.

* * *

აგერ, ქარაფზე იმ ქორის
კლანჭებს კლდეები ლესავენ,
გულში სდუღს სისხლი იქორის
ფარსმანის მონათესავე.
დროს გაჰყვა ციხის ტკივილი
და ფუძის ბორგვა სალისა,
როგორც გვრგვინვა და ყივილი
მტრების წინ გორგასალისა.
ზარი ზარავდა დავისა
ბნელ ეპოქათა უკუნეთს,
ხმა დიდი მოურავისა
აქ ღღესაც ექოდ გუგუნებს.
თვალთაგან ვერ დასანახი
ჟამი ხსნის ჟამის კარებსა,
ფარავს ხავსი და ბალახი
ნაისრალ-ნატყვიარებსა.
დუმს ციხე კლდეზე ნაგები
ქვეყნის მტერ-დუშმნის მძლევარი,
მომხდურთა აეშაგების
შიდოთა დამაქცევარი.
ან სისხლის კვალი სად არი,
ან ომის ზათქი ქველისა,
ვინ ახსნას ნაღაღადარი
მამულის ციტადელისა.
როგორ მოუკლა წყურვილი
ყველა დუშმანს და გარეწარს,
ვინც მისი ავი სურვილი
ამ კედლებს შემოალეწა.

* * *

მზის დარო, მაგ თვალებს რარიგად აკვესებ,
ვერ მოვრჩი დარდსა და შენს გზაზე ხეტიალს,
ვით გითხრა, რა მტკივა, რა დარდი მაკვნესებს,
ჩემს სათქმელს ისევ ეს ლექსები გეტყვიან.
ნიავსაც ვაფრთხილებ, მაგრამ ვერ ვაჩერებ,
ამ დილით ეს გული ეჭვებით ალესა,
ნაზ მხრებზე ჩამოღვრილ მაგ თმათა ჩანჩქერებს
ფრთები რომ შეახო და მოეალერსა.
თავნება მზის სხივი მახელებს მეტადრე,
ლიცლიცით მოგყვა და გზად აღარ მოგცილდა,
ჩემი საყვედური მნათობსაც შევკადრე
ძოწისფერ ბაგეზე ურცხვად რომ გკოცნიდა.
ეს გული ეჭვების გრიგალმა არია,
ვერც ლექსით ვერ გითხარ დარდი და ვარამი,
ოჰ, შენთან სიცოცხლე წამების დარია,
უშენოდ – სამარის სიბმელე წკვარამი.

ლექსო, შენა ხარ ჩემი მაყარი

ლექსო, შენა ხარ ჩემი მაყარი,
სიმდიდრე დღემდე რაც რამ მებადა,
შენით ვარ ღმერთთან დღეს წილნაყარი
და შენ გიცანი უკვდავებადა.
ლექსო, პოეტის გულის წამალო
და სულის ხემსო, მცირევ, უკმარო,
მაინც სალბუნო, მაინც მალამო,
მაინც საშურო და სანუკვარო.
ხან გატეხილი ღამის თენებავ,
ხან ვულკანივით მკერდის დამძვრელო,
ხან გარიჟრაჟის გადაელვებავ,
ხან ჩემი გულის გადამხანძვრელო.
ლექსო, ხან ვარდის ნაზო სუნთქვაო,
ხან ბნელში სანთლის ალის შრიალო,
ხან ნაღვერდალო, მწველო, მთუთქაავო,
ხან მთების დელგმავ ქარიშხლიანო.
ხან გულის შვებავ, ხან საწუხარო,
ხან მარგალიტის ცაში მოკრეფავ,
ხან დარში მეხად დანაქუხარო,
ხან ჩემი სულის აბობოქრებავ.
ბევრჯერ დამმეხე და დამმეწყერე,
ჩემი სიცოცხლე შენით მხნეობდა,
შენ რომ არც ერთხელ არ დამეწერე,
ქვეყნად ჩემს ყოფას რა ერქმეოდა?!
არსად არასდროს თავს არ მანატრებ,
შენით ვლაღობ და შენით ვმაღლდები...
ღმერთმანი. ნურც იქ დამაღალატებ,
იმქვეყნად როცა გადავსახლდები.
მინდა იმქვეყნად გადმომაყოლო
ამქვეყნიური წვა და ქაოსი,
ის რაც აქა ვთქვი აქვე დავტოვო
საკუთარ ძეგლად სააქაოში.
ლექსო, შენა ხარ ჩემი მაყარი,
სიმდიდრე დღემდე რაც რამ მებადა,
შენით ვარ ღმერთთან დღეს წილნაყარი
და შენ გიცანი უკვდავებადა.

ლაშა ბაბილუა

დნობა

ისმენს ფანჯრების მსჯელობებს,
ნისლებში დადის, წრეა.
წერა რომ რამეს შველოდეს,
მიატოვებდა წერას.

საკუთარ თავთან ვიზიტმა
გადაუგლიჯა სუნთქვა.
ბლუზი ძალიან იზიდავს,
მაგრამ არასდროს უთქვამს.

ის ჭამდა მხოლოდ კულისებს,
და მხოლოდ ღამე ეცვა.
ახლა სარკეებს უმიზნებს,
და აღარასდროს – ზეცას.

მზე თვალია და ცა – მოწმე,
რომ თოვლი იყო, ერთ დროს.
იცის, რომ უნდა წამოწვეს
და დნობას უნდა ენდოს.

ქარტეხილების შვილობილ
მიწას ღეჭავდა, წეღან.
წერა რომ რამეს შველოდეს
მიატოვებდა წერას.

გამშრალი მიწით ისვრება,
ცხრამთა დაკითხა მერვედ.
კედლის საათის ისრები
მაინც უშლიან ნერვებს.

ღამე – ველური ინდიკა,
რეფრენად ისევ ხავსი.
როცა სიკვდილზე მიდიხარ,
სიცოცხლითა ხარ სავსე.

კოშმარებისკენ იჩქარის
და შეთხელებულ ჭადრებს
გამოუხურა ჭიშკარი –
იქნება, აღარ ჩანდნენ.

აღარც გიგანტურ შენობებს
შეჰყურებს ალმაცერად,
წერა რომ რამეს შველოდეს...

ᲛᲖᲔᲒᲐᲠᲔᲗᲐ

შავ კატებს ლანგრით მივართვი, რძეში
ამოვლებული სიზმრები, მთვრალმა.
აღარასოდეს შემოვა მზე შინ,
შინ იქნებიან ქარები, მრავლად.

თუ, ეს ქალაქი, შემიკრავს სუნთქვას,
ვერ დაგიგულებ აირწინაღად.
აუ, რამდენი ღმერთით ვარ უკან,
აუ, რამდენი ღამით წინა ვარ...

ვინ შემიცვალა ნაცნობი ზღვები,
ანდა, ეს ნავი ვინ ანანავა?
ძაღლების დაღრღნილ ძვლებითღა ვძღები,
განგაში – ჩემი იავნანაა.

საკუთარ დღეებს ვმარხავ გარშემო,
თითქმის გავავსე გარეუბნები.
დიდი ხანია, აღარ ვარსებობ,
ოღონდ, დედაჩემს არ ვეუბნებით.
საუკუნოა ცისფერი სევდა:

აღარასოდეს შემოვა მზე შინ!
თავადვე მივალ, ამაღამ, რძეში
ამოვლებული სიზმრებით მზესთან.
მეც მომბეზრდება წყლიანი მიწა
და სულს დავიწვავ!

ᲒᲐᲜᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲐ

ჩვენთან, ნავსადგურის ექო დილამდეა,
ჩვენი მოწყენა კი – ხეთქავს ქვას.
აი, პოლონეთი,
აი, ირლანდია,
აი, ამერიკა, გეთაყვა!
ჩვენი უჩვენობა, წუხელ, ბოლომდე ვთქვი,
ზღვაა – დაკბენილი იდაყვი.
აი, ირლანდია,
აი, პოლონეთი,
აი, ამერიკა, გეთაყვა!
ჩვენ მზეს ვეკითხებით:
ძმაო, რა ფერი გაქვს,
სიკვდილს ნუ იჩქარებ დღეს და ხვალ.
აი, ირლანდია,
აი, ამერიკა,
აი, პოლონეთი, გეთაყვა!
ჩვენ, ამ ჭაობიდან ვზიდეთ ჭრილობები,
ხეზე სხვანაირად ვერ ახვალ.
აი, ჩრდილოელი,
ათი ჩრდილოელი,
ასი ჩრდილოელი, გეთაყვა!
ამდენ ჩრდილოელში,
ხელი მოვიჩრდილე,
ვნახე: წყალი უნდა მენაყა.
აღარც მამაჩემი,
აღარც ჩემი შვილი,
აღარც მე დავრჩები, გეთაყვა!

ᲒᲠᲝᲕᲐ

ნისლები თმას სანამ იშრობენ,
ხავსიან კოშმარებს მოვირჩენ.
როდესაც ყვითელი სიშორე
და შემოდგომაა შორის ჩვენ –

ვკითხულობ ნევადურ ნოველებს,
არ ვწერ, რომ გავგუდო ქარიზმა.
ხომ ხედავ, არაფერს მოველი,
გაძვალტყავებული ქარისგან.

უძეგლოდ დაკარგულ ღმერთებზე
ლოცვაა ყოველი ახალი
დილა...ან სიმღერა მეთევზის,
რომელიც ლოდინმა დაღალა.

ხან ადრე ვდგები, რომ ოთახი
გავუთბო, ქუჩისკენ მიმავალ
ყინვებს და ძალიან ცოტა ხნით
ვიხსენებ კიდევაც, ვინა ვარ.

შინ უშენობაა, გარეთ კი
ათასი მე ვარ და ამითღა
ვერთობი... დანარჩენს არ გეტყვი!
ახლა შემიძლია, არ გითხრა!

თავისთვის ჟონავდა ონკანი
და რიტმი ავიღე იქედან.
თუ არშეკეთდება ხო კაი,
თუ შეკეთდება და – მივხედავ.

„დალმა“ გადასულა ეზოდან,
ცისკენ და მეცხრედ და ბოლოჯერ.

მხოლოდ შენიქარი მესმოდა,
ვერ გემალებოდი მხოლოდ შენ,

როცა შემიფარა თავისი
შავიბეწვითა და ლოკვებით.
აღარ მესიზმრება და ისე
მეუხერხულება, რომ ვყვები...

გზა გახდა ერთი და მთლიანი,
სამყოფი ყველასთვის და მეტიც.
რამდენი ჭაობი გიამბე,
რამდენი ფანჯარა დავკეტე.

ძარღვებში დასცემენ ბანაკებს,
მინდვრებში დაღლილი ყინვები.
არ მახსოვს, რა გელაპარაკე,
ვღვინდები, ვძმარდები, ვღვინდები,

ვძმარდები და ასე იქნება,
ჭურჭლიდან ვიდრე არ გადმოვალ.
მთვარეა გვიანი მიგნება,
ან მიტოვებული მადლობა.

გადამხდი იმდენი სიზმრის წინ
და ღმერთიც ვიცვალე იმდენი...
შვილი ვარ წითელი მიწისძვრის
და პირში სიჩუმეს ვიტენი.

თვალებსაც გავიხდი ბოლოსკენ,
უბრალოდ იქამდე დროა ჯერ.
ვაგროვებ, წლებია, მოლუსკის
ნიჟარებს – მათი ხმა მომარჩენს.

სხვა დროა, დღეიდან ამ დამპალ
ამინდებს ჭიქაში ვერ ჩაკლავ.
ხან დღეში ორჯერაც ღამდება,
ორივე დალახვროს ეშმაკმა!

ძარღვებში დასცემენ ბანაკებს,
მინდვრებში დაღლილი ყინვები.
არ მახსოვს, რა გელაპარაკე
და სისულელეებს გიყვები.

Left turn

დარგე სხეულში ქარიშხალი,
წყალი დაუსხი პანიკურებს.
ღილის ლოცვები ჩაიშხამე,
ტკბილი ძილისგან განიკურნე!

ჭამე სირცხვილი და ტალახი,
თოვე ახალი „აღარები“.
შემოდგომები გადალახე,
ნუღარც ფოთლები გახარებენ!

ნისლი მოიცვი განიერი
და ტელეფონსაც ნუღარ ტენი.

მხოლოდ ყვითელზე გაიარე,
მოხდეს, რაცაა მოსახდენი!

გადაშენების დარჩი პირას,
არდაბრუნება დაამტკიცე
და გატეხილი ფანჯრებიდან,
შუშა მოირგე არათითზე!

გახდი ხმაური ქალაქების,
დაგრჩეს სუყველა კარი ღია.
ლექსებს მარილი დააკელი,
თვალები ჭერით აიხვიე!

თვალე სხვაგზების გულისცემა,
ლოკე სიჩუმე, გაგიჟებით.
გადაიქეცი კულისებად,
ჩამოიხიე აფიშები!

გადაულოცე ნეკნები და
გამოისტუმრე ლილიტები!
მიტოვებული კედლებია,
სადაც გგზავნიან მივლინებით.

აჩუქე ღორებს მარგალიტი,
ვენაში შიში შეიყვანე
და დააარსე, მაგალითად –
შეუმდგარების ხეივანი.

ღილის მადლისგან განიკურნე,
ღამის ლოცვები ჩაიშხამე.
წყალი დაუსხი პანიკურებს,
დარგე სხეულში ქარიშხალი!

ქარაშოტი

შენ რომ მოგწონდა სიამაყე
ჩემი – წაიღო ქარაშოტმა.
სასაცილო და ქარაფშუტა
სიზმრები განმიიარაღე!
ნაბახუსევმა, კომიკურად,
გამითანაბრა ანგარიში.
ასე მგონია, სანგარში ვარ
და გადავრჩები, რომ გიყურებ.
დღეს კი, როდესაც ველად ყრია
წლები, რომლებმაც ჩაიარეს,
იქნებ, მოხვიდე და იარებს
ამოაცალო ყველა ტყვია.
მოაჯირებმა და ფანჯრებმა
როდემდე უნდა გამაჩერონ?! –
ვინ იცის, იქნებ, დამაჯერო,
რისიც, თვითონაც აღარ გჯერა.
წვიმა ნერვებზე თამაშობდა,
გავრბოდი მრავალწერტილიდან ...
წლებმა წაიღეს წერილი და
ის სიამაყე – ქარაშოტმა.

ᲜᲘᲜᲝ ᲥᲘᲜᲭᲚᲐᲫᲔ-ᲭᲘᲚᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

* * *

დაიღალა ღამე ბინდით...
შავი ნაბდის მოხდა უნდა...
მე სარკმელთან ჩუმად ვდნები –
გადაიძროს, რაღა უნდა...
შემოფრქვევა თეთრი სხივის
ოი, როგორ მენატრება,
მაგრამ ღამის ნაზმანები
სადღაც მაინც მენანება...
და ჰა, ველი თუ ინათებს
ცის კამარა, მშვენიერი...
იქნებ, სწორედ დღეს მიმართლებს,
დღეს ვიქნები ბედნიერი!

* * *

საღამო იყო სიჩუმით სავსე...
სიცოცხლე სადღაც ჩუმად ტიროდა...
ტიროდა ისე უხმოდ სამყარო,
ხმა სინდისსაც არ გამოსჭვიოდა...
სად მიმიყვანე, რომელ ცთომილში,
რომელ ღრუბელზე დამიდე ბინა,
რომელ სამყაროს ვანდო სურვილი,
რომ შევეხიდო ზეცად და ხიდად...
გული ყინვებში ჩავარდნილ მზეს ჰგავს,
გულს ზღაპრის ფერად სამოსში სძინავს,
როგორ მინდა, რომ გამოვაღვიძო
და გამოვადგე ცხოვრების გიდად...
მაგრამ დახურა წვიმის ხმამ გული,
სიჩუმემ ზეცა დახატა უცხოდ,
ამ დიად მხრებში ჩამალულ ამბორს
ვერ მოვუნახე თავი და ბოლო...
აღარ წამოვალ, გამიშვი, გესმის?!..
მე გამოვყვები მთიებს შორიდან,
მოვალ სიჩუმედ წვიმის მორევში
და სიყვარულის სუნთქვებს მოვიტან...
გემშვიდობები, სახელი არ გაქვს?!
მითხარი, დედამ რა დაგანათლა?!
მგონი გიცანი, სიტყვა ხარ ლოცვის,
ლოცვის სიმბოლო –„ამენ“– შენა ხარ...
მაგრამ აქ მაინც ძნელია დაღლა,
აქ ირგვლივ მხოლოდ შავი მთებია...
გემშვიდობები, მე ვერ წამოვალ,
მე ვერ წამოვალ, ვრჩები ლელიანს!

ᲛᲔ

წლების სიმრავლეში დღემუდამ დაკარგული...
დღემუდამ სხვა გრძნობის პერანგი დაქარგული...
მინდორში ნაკადული, მთის წვერზე დაზამთრული...
ცივი სისოვლისგან ყინვისფრად გათანგული...
ქალი არარა, ლურჯკაბად განძარცვული...
გოგონად მოსული, დიდ ქალად გადაცმული...
ქალი წაქცეული, ქალი ალანძული...
ხე ცნობადობის, თქვენს ბაღში გადარგული...
ყოველ განსაცდელს გმირულად გამართული...
ფიქრებში ჩაკარგული, ფიქრებში ჩამარხული...
ცოცხალი და მაინც მკვდარისფრად დანახული...
ქალი მზესავით, აწ უკვე გარდასული...
ქვას შერჩენილი, ქვაში ასახული...
ქვაზე არეკლილი, ვითარცა გაზაფხული...

* * *

მოვა ზამთარი, სიცივე ნელა
შეეპარება თბილისის ქუჩებს,
ნატვრის ხეებზე ასხმულ ოცნებებს
გარს შემოარტყამს ყინულის ღრუბელს...
ჩამოზამთრდება აქ, ჩემს ოთახშიც
და ყინვად მოვა გულთბილი ნატვრა,
მე აღარავინ შემიღებს კარებს,
და აღარავინ მეტყვის – მიყვარხარ...
და ჩამოვჯდებით მე და ზამთარი
ჩემს გაციებულ ოთახის კართან...
ლოყას მივუშვერთ ყინულის ამბორს
და ჩამოვდნებით სევდად და დარდად...
მერე გადავხვევთ ერთმანეთს ხელებს,
გარს შემოვიქსოვთ მოთეთრო კაბას...
და ასე ნეფე-პატარძალივით
ვეზიარებით ზეციურ ცარგვალს!

* * *

რაღაცა სხვას დავეძებდი...
სხვა სითბოს ვზრდიდი უბეში...
სულ წვეთ-წვეთობით გავლიე
თბილი სუნთქვა და ნუგეში...
მთვარეს ვუხმობდი მზედაცლილს
სახლებს ვუგებდი ღვინისფერს...
მინდოდა ეთქვა, რომ წავალ

სასურველად თუ მიმიღებს...
მოლურჯო სიზმრებს ვახვევდი
ღამის კოშმარის შიშის ქვეშ,
ისე ლამაზად ვგალობდი,
ისე ვიქნევდი ჩიტის ფრთებს,
ისე ველოდი ცის გახსნას,
ისე ვხატავდი ლამაზ გზებს,
ისე ვეტრფოდი დილის სხივს,
ისე მიყვარდა თბილი მზე,
ისეთ ოცნებებს ველტვოდი,
ვაგიზგიზებდი ფიქრის ცეცხლს,
ისეთ სიყვარულს ვეძებდი,
ვერასდროს რომ ვერ მივიღე...
არადა ფიქრი ყოველი,
ჩემი ყოველი მცდელობა
იყო ის ლურჯი სიზმარი,
მე რომ სასწაულ მჯეროდა...
რაზეც კი მიოცნებია
სხვას ახდენია უბრალოდ...
მე კი თმენის ქვის კვერვითა
რად გამიმეტე, უფალო?!

* * *

წვიმის წვეთები დაიძრნენ ჯარად,
ბინდი ნებდება დილის ციალებს...
ის შემოდგომა, მე რომ მიპოვა,
ქოჩორს უვარცხნის ცინცხალ იარებს...
როგორ დავღლილვარ, სარკეში ვჩანვარ –
გაფერმკრთალებულს ვგავარ სოსანას...
ისე მაკლიხართ ამ რძისფერ ნისლში,
ულმერთოდ ვკივი – ღმერთო, ოსანა...
ისევ სარკე და ისევ ხარხარი,
სიბერის ნეშტი მაწვება თრთოლვად,
სველი სამყარო, პეწდაკარგული
მხრებზე მადგება დიდრონ კოლონად...
რა სიყვითლეა, რა სილამაზე,
ეს დაღალული ვნების ხიბლია,
ნუ გამაჩუმებთ, მე მხოლოდ ვმღერი
და ვიბუზები, როგორც ნიბლია...
რაც გინდა, მთხოვეთ,
ღღეს მე ვარ ღმერთი,
ჩემი სიმძიმის მე მეშინია,
მაგრამ რა ვუყოთ, სურვილი მებრძვის
და სიყვარულიც ვერ მომიკვლია...
თუ სათითაოდ უნდა წაიღოთ,
რაც ჩემში ჩადეს გოლიათებად,
მაშინ იჩქარეთ და გამაჩერეთ,
ოღონდ არ დასხდეთ მოტირალებად...
არ დაიტიროთ, ვინც უკვე მოდის,
ან ვინც აქ არის, არ დააქციოთ...
ის ანგელოზი, ჩვენში რომ გალობს,
ცის კვარცხლბეკიდან არ გააქციოთ...
და მე აქ ვარ და ყველაზე მდაბალს
წვიმა ხელს მირტყამს მოსისხარებად...
ვიღაც მიმზერის თეთრი მზერით და
ზღაპრის ბოლოსკენ მოიპარება...

* * *

ჩემთვის თუ კიდევ აყვავილდება
და ააყვავებს ხეებს კვირტები,
აღარ გავატან მზერას სიცივეს
და კიდევ ერთხელ ავყვავილდები.
ასკინკილებით მორბის ზაფხული,
ბავშვობა მარტში ისხამს ზიზილებს,
მინდა ვიპოვო ის ცისარტყელა,
სიბერეშიც რომ სტუმრად მიმიღებს...
რა სილამაზე დუღდა ტყეებში,
ლურჯი კაბები მიწის ქვეშ თრთოდა,
იის სურნელი ახსოვდათ ფოთლებს
და მარტის ციდან სიცოცხლე თოვდა...
როგორ მიყვარდა ის აფეთქება,
თეთრი გვირილის გიჟური კოცნა,
მიყვარდა, როცა ვუძღვნიდი გვირგვინს
და ვჩურჩულებდი გრძნობებზე მორცხვად...
ღღესაც ცისკარი აყვავდა ცაზე,
მზემ იგალობა ნატვრის ხის ლოცვა,
მადლობა, ღმერთო, სიყვარულისთვის...
მადლობა, სულო, ასეთი რომ ხარ.

* * *

ეს მერამდენედ ვერ გნახე წუხელ,
გეძებდი სიზმრად, გეძებდი ცხადში,
შენ ეფემერულს მისდევდი ტალღას
და ციმციმებდი შორეულ ზღვაში...
შენ სულ შორსა ხარ, მაშ როგორ გითხრა,
რომ გავიზარდე ოდესღაც ბავშვი
და ჩავაბარე ღღევანდელობას
წვეთ-წვეთ ნალევი დაღლილი ქალი...
შენ მე მაშინებ და შიში ესე
იდუმალებით მბერავს და მსერავს,
შენ არ იყავი, პატარა გოგოს
რომ ამაცალე გვერდიდან დედა
და ჩამიტოვე სადღაც სოფელში
მიწის გორაკი და ჩუმი სევდა...
ისიც შენ იყავ, მე როცა მომკლეს,
ცივი თითებით ამართვეს სული
და მიმატოვეს ჯვარზე გაკრული,
სისხლის ცრემლებად გადმონთხეული,
ადამიანი ცოცხალი-მკვდარი,
ადამიანი მუმიის დარი
და მაინც ქალი თავისი არსით,
სულდაკარგული, ხორცით ნაგვემი,
სხვისი ცხოვრების თარგით ნაკერი
და მაინც ქალი მთელი სხეულით...
და მაინც ქალი მთელი შიგთავსით...
ოღონდ მე არა, ვიღაცა სხვაი...
სხეულით ჩემით, ჩემი გვარ-ტომით
ღღესაც არსებობს ვიღაცა ქალი...
და მე ისა ვარ, და მე ის არ ვარ,
ვგრძნობ არსებობას, ჰო, ვიღაც სხვა ვარ...
შენ კი მოგდევ და ვერ გიჭერ ქარში,
რომ შეგეკითხო: ვინა ვარ, რა ვარ?

მარი ჩაკვეტაძე

* * *

მთვარემ სირმით ამოქარგა
გაზაფხულის ქრიზოპრაზი.
ცა მკარნახობს ასე კარგად,
თეთრად მოელვარე ფრაზებს.

ტბის ზედაპირს ააჭავლებს
ქარი, თანაც გაიოცებს,—
ნეტა წყალმა ამ ჭალებში
მთვარის შუქზე რა ილოცა.

ვერ ამოთქვა ჰიპოთეზაც,
დაებერა ლაყუჩები,
იბადები როცა თევზად
და ტკივილი არ ყუჩდება...

ტბის თვალებში მოტივტივე
ამოუთქმელ სიზმრის ფერფლი,—
ახლა გაშლა მოტივია
ტურმალინისფერი ფარფლის.

ასეც ცხარეს, ისეც მწარეს..
ამ ცხოვრებას დამლაშავენ,
ერთადერთი ცაზე მთვარე
არ იქნება დამნაშავე.

* * *

ქარვის მძივად ასხია ხეებს კარალიოკი,
გზას უფარავს იარებს ხმელი ფოთლის ამალა,
შეაშინებს ბალახებს ანცი ქარის წიოკი,
ცა ცრემლიან ლურჯ თვალებს, შორ ნისლებში ჩამალავს.
ვით წეროთა გუნდები, აფრენილი ფიქრები
შემიპყრობენ მყოფადზე, სხეულს დამისუსტებენ,
კარგად მოსჩანს აქედან აშვერილი რიფები,
მე კი ოკეანეში ვერ ვიოკებ ზუსტ ნებებს.
სანამ მომიახლოვდა, ნისლი ქარგაფანტული,
სანამ ლურჯი თვალები ზეცას ცრემლით აევსო,
ხეს ჩემსავით დაურჩა გული გამოფატრული,
მოდი რამე მიშველე, მოდი უზენაესო...

* * *

აკუტაგავა საკურების სულებს აასაუბრებს,
როგორ უხდებოდნენ საყურეებად ხეებს.
და მათ საყურებლად ნიავები მოდიოდნენ
და ანიავებდნენ სურნელს.
ჯერ მზე არ ამოსულა და გული ამომიწვა
მთვარის შუქზე ნანახმა სიზმარმა...
შემკრთალი ვარსკვლავები დადუმებულან,
მარტოა მარტი – როგორც პოეტი,
ათასი სურნელის გამომგონებელი.

ფერადი მუზები,
ვერ გიზიარებენ ცხადად შესახებს.
შენი სულია ვარსკვლავის უკან ამოფარებული,
რომ ფათურობს და სიცხადის ეშინია.
გადმოფრქვეული გაზაფხული
გულებზე გვეცემა,
და არითმია ირიდებს რითმებს.
ლაბირინთებში შეგიტყუებს რიუნოსკე და თავს დაკარგავ.
ეს უსახლკარო, ეული ქარი
მაწუხებს, რადგან ვერგასაგებად
უკრავს რაღაცას ბახის ფუგისებრს.

* * *

ზოგჯერ სიკეთეს მიუძღვის ბრალი
მთვარემ დაწოლა ჩემთან ინება,
მე გადავფურცლავ მყოფადის ბრაილს,
ბაგეს ღიმილი შეეყინება.

ტალღები ბგერის ამოგოგმანდა
ლექსი ცხელებად სხეულს დაუვლის,
რა ღრმაა განცდა გამოუთქმელი
და რა მარტივი, – თქმის სასწაული.

ფოთლები ნახავს თვითფოთოლცვენას,
მიწაზე დიდი სარკის დაგებით,
დაიცვარება სილურჯის ფენა –
ცაზე ვარსკვლავთა სარკოფაგები.

* * *

ფანჯრის მინებზე შემოდგომა რომ წაიშლება,
მოვა ზამთარი და მის ადგილს დაისაკუთრებს,

იშრიამულებს ფერმწერივით და წავა შლეგად,
ვერ დაესწრება ფოთოლცვენა დაისს აწ უკვე.

ცა თეთრად როცა მოიფიქრებს ჩვენთან საუბარს,
აჯანყდებიან ეს ფიფქები დეკაბრისტებად,
და ტანჰოიზერს აღმოაჩენ თურმე სხვა უყვარს,—
და ეს განცდები ცივია და დეკემბრისაა.

ღამის რომანსზე გამოსულან მთვარის სხივები,
და მათი ნაზი ნატერფლები თოვლზე ეხატა,
ეს ღამეები ყველასაგან განმასხვავებენ,—
რომ ჩემი სული ახლა შენში შემოეხეტა.

* * *

აპრილი აპრიალდა ასე უცაბედად,
ცაზე ტოპაზები ელვარებენ,
ქარმა შეამჩნია მღელვარება
ხეზე წამოჩიტულ ნორჩ კვირტებს.
მწვანე ტბა ვარსკვლავებს დაისიზმრებს,
და მზის დაისს მოუყვება ნანახს.
ნათელი გავრცელდება,
დენდელიონები ნამს შეიშრობენ
ქარვისფერ სახეზე.
დაქანცული არსება ჩემი
ფიქრს შეაგებებს ტყემლის თოთო კვირტს,
დააკვირდება გაბადრულ მზერით.
რას დაისიზმრებს ამ ღამით ზეცა,
თუ არ დახუჭავს ციმციმა თვალებს?!..
...და მუნჯი მთვარე როგორ მიამბობს
ურჩმა ქარებმა სად გადარეკეს
წამოცდენილი შენი ფრაზები.
მე ბევრ ტკივილებს ამ გაზაფხულზე როცა გავისხლავ,
წვეთ-წვეთ წამოვა შვება სულიდან,
რომ ფოთლოვანში ნიავს გავანდო
წამოსაღები ამბავი შენთან.

ᲜᲘᲜᲝ ᲯᲔᲚᲘᲫᲔ

მწყემსი ქალი მარიშკა

(ნამდვილი ამბავი)

ჩვენთან, ჩემსა და თქვენს სამშობლოში რომ მოდიოდა, არ უტირია.

ისე დატოვა საკუთარი სხეულის ნაწილი საკუთარი სულის ნაწილთან, არ უფიქრია მათ შორის ოდესმე ფერფლისფერი სამყარო თუ ჩადგებოდა. ჯერ არდაბადებული იმედებით მოემგზავრებოდა.

საკუთარი სახლის არარსებული ხის ჭიშკარი რომ გამოიხურა, მაშინ მოიხედა მხოლოდ, ხის სახლის მოქარგული ფანჯრებიდან დედა იმზირებოდა მის მიღმა მიმავალი მზერით, გზას გაჰყურებდა. მარიშკასთვის არ შეუხედავს. თვალს არ სწყვეტდა ქვევით, ქალაქისკენ ჩამავალ ოღრო-ჩოღრო გზას...

თითქოს ქვებს თვლიდა, იმ ქვებს, საუკუნეებად რომ იქცეოდნენ ლოდინში.

შვილი გზის გასაყარზე იდგა. მარცხნივ უკრაინის თვალუწვდენელი სტეპები იწყებოდა, უკვე მზით გადახრუკული ბალახისფერი. დედამ საკუთარი დედის მზერას თვალი რომ მოსწყვიტა, შვილმა მარჯვნივ გადადგა ნაბიჯი. მოკლე შარვალი ეცვა და დიდი ფეხსაცმელი... გრძელი ხელები ჰქონდა. ფართო ხელისგულები.

რაც უფრო იზრდებოდა, მით უფრო მატულობდა მის ხელისგულებზე დამსკდარი კოჟრები. ზოგჯერ სისხლიც სდიოდა, ნაკეცებში ჩამჯდარ ჭუჭყს ჩამობანდა ხოლმე. არ მოსწონდა ბიჭს წითელი ხელისგულები, გაიქცეოდა და თივის ზვინს ჩამოუსმევდა ხელს. ალაგ-ალაგ დამსკდარ კოჟრებში ხმელი ბალახის ჩხვლეტას გრძნობდა... პირველად მაშინ ისწავლა ტკივილის მოთმენა. ვერ იტანდა სისხლიან ხელისგულებს.

ეს მაშინ იყო. ახლა გზისგასაყარის მარჯვნივ იდგა. გზისგასაყარის გზის დასაწყისში. ქალაქისკენ რომ მიდიოდა იმ გზის. ამ გზაზე დედა უნდა წასულიყო.

არ იცოდა რა ეთქვა ქალისთვის, რომლის ნერვულ უჯრედებსაც დაატარებდა საკუთარ სხეულში. არ იცოდა როგორ დამშვიდობებოდა ქალს ამ გზას რომ ჩაივლიდნენ,

საუკუნეებადქცეულ ქვებიან გზას...

ოცდაოდ წუთი იარეს ფეხით, ოცდაოდ წუთი და ოცდაოდ არარსებული საუკუნე. ბოლოს ქვიანი გზა დასრულდა... შემდეგ ქალაქის გზა იწყებოდა...

ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. მარიშკა მკაფიოდ გრძნობდა როგორ ფეთქავდა მისი შვილის გული შუასაყარში. ტკივილი აძლიერებდა გულისცემას და გზას დაეძებდა ბიჭის ნათელი თვალებისკენ ცრემლად რომ ქცეულიყო. მაგრამ ბიჭს თვალები ისე დაეხუჭა თითქოს ქუთუთოები დაეკემსათ მისთვის. მარიშკას მუდამ დამსკდარი ტუჩები ჰქონდა ქარისა და მზისგან. ახლაც მწველი სხივები დასთამაშებდნენ მტკივან ტუჩებზე. თვალები არც მაშინ გაუხელია ბიჭს დედის შეხება რომ იგრძნო...

თითქოს მისი სახის დამახსოვრებას ცდილობდა სამუდამოდ გონებაში. საკუთარ თავს აიმედებდა ქვეცნობიერად, რომ მოენატრებოდა თვალს დახუჭავდა და მის სახეს დაინახავდა.

„დაკემსილი“ თვალები დაუკოცნა მარიშკამ. დახუჭულ თვალებს მიღმა მზერა დაიმახსოვრა და ჰორიზონტს მიღმა მიმავალ გზას გაუყვა.. ხელბარგი არ ჰქონდა, მხოლოდ საკუთარი შვილის სევდა აეკიდებინა ზურგზე. უკრაინის სტეპებს ემშიდობებოდა დაკემსილთვალებიანი ბიჭის დედა

– მარიშკა, ულამაზესი სოფელია ჩვენი გომარეთ-სოფელი, ხალხი კეთილშობილი, სიკეთით სავსე, მზის სოფელია ჩვენი სოფელი, ფერმა, სადაც მარიშკას უნდა ემუშავა პატარა, მორაკრაკე მდინარის პირას იყო გაშენებული.

შრომას შეჩვეულ მარიშკას მუშაობა არ გასჭირვებია. სისხამ დილაზე დგებოდა, როცა მზის პირველი სხივი გამოჩნდებოდა სამყაროს აღმოსავლეთით, მოჭიკჭიკე ჩიტებთან ერთად ეგებებოდა ალიონს... ამ წუთებში, სადაც მდინარის ქვებს უკან მიყუჩდებოდა ხოლმე მისი ტკივილი... მთელი სხეულით გრძნობდა, შორს უკრაინის სტეპებში მისი დაკემსილთვალებიანი ბიჭიც ასევე შეჰყურებდა მზეს...

გული გულს გრძნობდა... განსაკუთრებით მაშინ, ერთი სისხლი თუ მოედინებოდა ორივე გულში. დროდადრო დედა საკუთარ გულს ხელისგულზე დაიდებდა და დიდხანს და დაჟინებით ათვალიერებდა... ეს გული სისხლის გუბედ რომ იქცა, მაშინ მიხვდნენ მოჭიკჭიკე ჩიტები შვილის გულს რომ ათვალიერებდა მარიშკა სინამდვილეში.

ძალიან უყვარდა თავისი ნაირფერი ძროხები, რიჟრაჟზე ბღავილით რომ აღვიძებდნენ არემარეს... თითქოს სიცოცხლე ახალ ძალას იძენდა ყოველ ახალ დღეს. მოვლა-პატრონობას არ აკლებდა მარიშკა ძროხებს, რომლებიც მადლიერების ნიშნად სავსე ჯიქნებით ბრუნდებოდნენ საძოვრებიდან... ხელის შეხებით გრძნობდა მარიშკა თანდათან როგორ ამდინარდა რძე სადინარებში.

ერთ დღეს, მაშინ როდესაც მარიშკას მზის საკუთარი სხივი ჩამოტყდა აღმოსავლეთის მზეს, ფერმა დაიხურა. დაკემსილთვალებიან ბიჭს ცრემლი ჩაუდგა ჩაშავებულ უპეებში. დედის წასვლის შემდეგ სტეპებს რამდენჯერმე ეცვალათ ფერი. გაოგნებული იდგა ჰორიზონტამდე მიმავალ გზაზე, ვერ გადაეწყვიტა შინ, უკრაინაში დაბრუნებულიყო ხელმოცარული თუ კვლავ ებრძოლა ჯერარდაბადებული იმედის დაბადებისთვის... თავადაც დაეხუჭა თვალები. საკუთარ თავს უმზერდა ფერფლისფერი სამყაროდან, საკუთარ დაწყვეტილ ნერვებს და გულს უკან დამალულ სევდას. შვილი ენატრებოდა ძალიან. მხოლოდ გულით არა, ნერვებით. ბოლოს დარჩენა გადაწყვიტა, შემოდგომამდე თითქოს.

კეთილ ხალხს რა გამოლევს ჩვენს გომარეთ-სოფელში... ერთ-ერთ მადლიან ოჯახს შეუფარებია, თბილი კერა შეუთავაზებიათ და საჭმელ-სასმელიც უხვად მიუწოდებიათ მისთვის.

მარიშკა მწველავად მუშაობდა... ქათქათა თბილი რძით რომ აავსებდა სათლებს და საქონელს დააბინავებდა, ოთახში შეიპარებოდა და დიდხანს იდგა სარკესთან.

არავინ იცოდა რას ფიქრობდა ამ დროს.

საკუთარ თვალებს აკვირდებოდა დიდხანს, საკუთარ თვალებში დაეძებდა შვილის სილუეტს ასე ძალიან რომ ენატრებოდა. შინაგანი ტკივილის მიუხედავად ბოლო დროს მარიშკა ძალიან დამშვენებულა, სხეულის ფორმები შევსებოდა და თვალებში უცნაური იმედი ჩასახლებოდა. ახალგაზრდა მწყემსი სტუმრობდა ოჯახს, ბოლო დროს ხშირად. მარიშკას გულს, შვილს რომ ეკუთვნოდა პატარა ნატეხი ჩამოსტეხია ახალგაზრდა მწყემსისთვის.

გამთენიისას გაუდგნენ გზას. მდუმარედ მიყვებოდნენ ცხვრის ფარას... გომარეთის ქვიან ფერდობზე რომ შეფენილიყო უკვე. ალაგ-ალაგ ბატკნების გაუბედავი ბღავილი ისმოდა ნაცრისფერ სივრცეში.

მესამე დღე იყო იმედის გაჩენიდან. მესამე დღე იყო შვილს რომ ვერ უკავშირდებოდა. მესამე დღე იყო... გული სისხლად რომ იწვეთებოდა. ომი რომ დაიწყო, კახეთის გზას ადგნენ,.კაშკაშა მზე ანათებდა, ქათქათა ხუჭუჭა ბატკნები მზის სხივებთან თამაშით ირთობდნენ თავს. მარიშკა იქვე, ხის ძირში ჩამომჯდარიყო და თვალდახუჭული ისრუტავდა მზის სითბოს. ხეს ხმელი ტოტები და მიწაში ღრმად გადგმული ფესვები ჰქონდა. ჯერ ცოცხალი.

ამბავი კეთილმა მწყემსმა მოუტანა. პირველად მაშინ ატირდა გული. შუასაყარში კედლებს ეხეთქებოდა გალიის ჩიტივით. ტკივილამდე უნდოდა შვილის ნახვა. საკუთარ ხელს უკბინა ჩუმად. თითქოს ტკივილი შეუმსუბუქდა.

ტკივილმა ტკივილი ჩაახშო.

დანიშნულების ადგილს რომ მიაღწიეს მზე ფერდობებს უკან ჩამალულიყო უკვე. ჰაერივით ისრუტავდა მარიშკა ომის ამბებს, მუდამ ეკითხებოდა კეთილ მწყემსს. მოვლას არ აკლებდა მწყემსი, მაგრამ ილეოდა მარიშკა. შვილი ენატრებოდა, შვილის ხმა ჩაესმოდა, შვილს ეძახდა.ომში წასულ დაკემსილთვალებიან ბიჭს.

გამთენიისას ჩამოვარდნილა ჭურვი. ერთ მთლიანობად ქცეულა სტეპი და სოფელი. ფართოდ გახელილი უძრავი თვალებით იმზირებოდა ოდესღაც დაკემსილთვალებიანი ბიჭი. ბავშვობაში მარიშკას ჰგავდა... დედასავით ნათელი თვალები და გრძელი ხელები ჰქონია თურმე.

დიდხანს მდგარა კართან კეთილი მწყემსი, იქამდე სანამ მარიშკას თავად არ გამოუხედავს დაგვიანებით შეშფოთებულს. კითხვა უსწავლია უცხო ქვეყანაში, ფიქრების კითხვა, ადამიანების დატანჯულ სახეებზე. შვილის სიკვდილი რომ ამოუკითხავს, საკუთარი ხელით ამოუგლეჯია საკუთარი გული. კახეთში დაუკრძალავთ. მადლიანი კაცი ყოფილა მწყემსი.

მარიშკას საფლავზე ხშირად შეამჩნევთ ერთ ცალ მოფარფატე პეპელას, ადამიანის სულს რომ ჰგავს ძალიან.

თეიგიზ პაპაშვილი

გამომიგლოვებს ზეცა თბილისის...

უხმოდ ჩამოჯდა მგზავრი დაღლილი,
მზე, იქვე ზეცის ცისფერ ტატნობთან.
იყო სიმრავლე გაცრეცილ ლილის,
შენი თვალების ფერს, რომ ნატრობდა.
შეუცნობელი ზეცა კვლავ მიხმობს,
ცრემლით მილამბავს მოგრძო ნაბიჯებს.
აქ სხვა სიმაღლეს ვეღარ დავიპყრობ,
სიზმრებში, თუ არ შემოაბიჯებ.
ღამეც შეშლილი, გადარეული
ღრუბელს უსწორებს სიზმრის ნაკეცებს
და გადაფურცვლა წლების რვეულის,
კვლავ ნახვის სურვილს გამიასკეცებს.
მაცდურად სდუმან ცაცხვის რიგები,
სულში მოცისფრო ათინათია.
მჯერა, უფალსაც შევირიგებდი,
მეც, რომ მყოლოდა ათი ნათლია.
ვეყრები ამდენ უიღბლო სახეს,
ათასი ჯურის ნაცად „შაითანს“.
სიკეთე ვერვის ვერ დავანახე,
უჩემობასაც, ვიცი აიტანთ!
და შევერევი მოლურჯო ზეცას,
ეგ თბილი მზერაც ვეღარ დამიცავს
შენსკენ საფრენ ფრთებს შემოვიკეცავ
და ჩამიხუტებს მშობელი მიწა.
ვტოვებ სამყაროს შეურიგალი,
გზას გავუყვები აღმა სვენებით.
მაშინ ჩაცხრება სულშიც გრიგალი,
როცა აქედან გამასვენებენ...
გამომიგლოვებს ზეცა თბილისის,
დავტოვებ ლექსებს შენთვის მსტოვრებად.
ერთი ბედკრული კაცი, ვინ იცის,
ვეჭვობ, რომ ვინმეს ემახსოვრება...

როგორ უაზროდ...

იცი, უშენოდ ხრიოკია სულის უდაბნო,
სულში ტკივილი ილექება ცრემლის ქანებად.
ეს დღეც უშენოდ მიილია, როგორ უბრალოდ,
დავიწყებისთვის უფსკრულში, რომ მიექანება.
ღამე უშენოდ ძლივს გავლიე ვაინაჩრობით,
ვგონებ, მგოსანმა შენთვის ყელიც ვერ მოიღერა.
შენთვის ეს ლექსი შესაძლოა დღეს იყოს ბოლო,
როგორც გედისთვის, მომაკვდავის ბოლო სიმღერა.
სული კი უკვე განცხრომისთვის ზეცას მიელტვის,
სულ არ მჭირდება ტიტულები, ყალბი დიდება.
როცა მე წავალ, სანუგეშოს არავინ გეტყვის,
შენი აქ მარტოდ დატოვებაც გამიჭირდება.
მდუმარეს უტყვი, მოლივლივე ლურჯი ცა მიმზერს
და მეწამული უშენობა დაღად მატყვია.
იცი, გულისთვის ამაღამაც შენ ხარ სამიზნე,
ლექსი კი გულში ჩარჩენილი ბოლო ბრმა ტყვია...
როგორ უაზროდ დაიშრიტა სულის უდაბნო,
გულში ვარამი ილექება სისხლის ქანებად.
ეს დღეც უშენოდ მიილია, როგორ უბრალოდ,
დავიწყებისთვის უფსკრულში, რომ მიექანება...

და დამრჩა დღემდე...

ჯვართან ღრუბლების კვლავ ქაქანია,
გამოვცდი არმაზს, მცხეთას, „ნარეკვავს“,
მთვარემ ვარსკვლავნი აქ რა ხანია,
ცად საბალახოდ უკვე გარეკა.
მგონია ურიცხვ ვარსკვლავთ კრებული,
შენს საამებლად შენთვის აენთო.
გვქონდა ალერსი მონატრებული
და სიყვარულიც გვქონდა საერთო.
გრძნობა დღეს გულში ვერ დავატიე,
განვუდექ ღამეს, მოვხუჭე თვალი.
რა გულსაკლავად მღერის მატიე,
ვნანობ, რომ ჩემი არ რჩება კვალი.
სიკეთის თესლი გზა-გზა ვარიგე,
წინ მხვდება მხოლოდ უიმედობა.
მე უფალი მყავს მხოლოდ გამრიგე,
გულის კუნჭულში ვიცი მენდობა.
დღეს მენატრება აგვისტოს ხვატი,
ხან კაირო და ხანაც დაკარი
და დამრჩა შენი ძვირფასი ხატი,
უძილო ღამის ნაქანდაკარი.
რად მომანატრე აპრილის ზეცა,
სული ჯვარცმისთვის რად გაიმეტე?!
დღეს უშენობა მიერეკება,
ჩემს გადარჩენილი ბოლო იმედებს...

დავანებული უკვე სიოც მღლის...

დეკემბრის ღამე მიხდის პარაკლისს,
უშენობა მკლავს ეგზომ ძალიან.
ვერ ვეგუები კოცნის დანაკლისს,
გულმა უშენოდ წლები გალია.
მდუმარე არის ჩემს წინ სამყარო,
საწუთროს გზებზეც შემომაღამდა.
არ მსურს მაგ მზერას კიდევ გამყარო,
და მიმითვალოს „ძილმა საღათას“.
დავანებული უკვე სიოც მღლის,
მწუხრი უნდობლად მიჭერს არტახებს.
ცხოვრება თუა ტკბობა სიცოცხლით,
მაშ მძიმე წარსულს რად მიპარტახებს.
გადითქარუნეს ბედის რაშებმა,
ასე როდემდის ვდიო კუმ ურდოს.
დღეს ბედისწერაც მეთამაშება,
შენს თავს ვავედრებ, ისევ კუმურდოს.
არ ვიცი, კიდევ რით განუგეშო,
ეს დღე და ღამე მე ვით გავყარო.
ვარ დაჩოქილი უფალთან ფეხთით,
თავზე მემხობა მთელი სამყარო.
და ეხეთქება სული დაღლილი,
ჩუმი გრძნობების დამცხრალ კანიონს.
უშენოდ მიწევს უნდა გავიგნო,
გზა სამერმისო და სახვალიო.
შენც დაბრუნდები თეთრ გერბერებად,
გაზაფხულებად ანდა იებად.
აღარ დაგითვლი ნაზამთრალ დღეებს,
მაინც იცი, რომ გეპატიება.
ის წლები წარსულს ლექსად შეახმა
და მონატრების ვერთვი იმ ღვარებს.
კვლავ შემიყვარო გინდა ხელახლა
ან კი როდისღა გადამიყვარე.
მივდივარ შენი დარდი მიმყვება
და გულის კარი გადანარაზი.
ვერეს ხეობა გიკოცნის კალთას,
მე კი მაცილებს ხევი ვარაზის...

ვერა, ჩავლილ წლებს ვერ გავატანე...

ისევ თოვს ჩემთან და თოვლი ფარავს,
შენს ფრესკებს, ჩემი სულის ნატყვიარს.
და ქანცგალეულ ჩემს ყრმობას მარად
ეგ ნატერფალი დღემდე ატყვია.
ჟამმა გარიყა, გაინაპირა,
ლაღი ანცობა, ჩემი სიმარდე.
სულში შემოხველ სუნთქვად, აპრილად,
გიჟი ვიქნები, რომ არ მიყვარდე.
სასწაულია, შევძელი დღესაც
იდუმალ წლებთან სულის ლაციცი,
გამსგავსე მაშინ მთვარესაც, მზესაც,
დღეს მცირედია, თუმცა რაც იცი.
გიჟი ვიქნები ამ გადარეულ
სტრიქონს არ დაჰყვეს ძველი სიშლეგე.
ავიტან მასაც ღამით მთვარეულს,
სალი კლდის ფიქალს ურცხვად მიშენდნენ.
შენთვის ვებრძოდი ურიცხვ სატანებს,
თუმც არ ვყოფილვარ ბრგე და ახმახი.
ვერა, ჩავლილ წლებს ვერ გავატანე,
შენი ბავშვური ეგ მონაჩმახი.
დღეს კი კვლავ სევდამ დამიმარტოვა,
სისხლს უშენობის ხიბლი ახუნებს.
მალე დეკემბრის სუსხი და თოვა
კარებს შენსავით გაიჯახუნებს...

დრო დამიდგა ჭირთა თმენის...

ახლა ლექსი თუ გიშველის, ამ გულს დანამწყემსები,
თუ ვიცოცხლებთ, ისევ შენით, მე და ჩემი ლექსები.
უშენობის ეხ, რამდენი გადის წელი, გადის თვე,
ამ ღამესაც მერამდენედ ტკბილ სიზმრებთან გაგითევ.
ახლა ღამის წუხილს ვატან ძველ შფოთსა და ფორიაქს,
შენს ნახვისას რომ მიპყრობდა ვნების ეიფორია.
იქნებ დარდის გარდასახვის დადგა უამინდობა,
არც სურვილი შეგრჩა ნახვის, ან კი როდის გინდოდა.
შენი ცივი სიმარტოვე თან მდევს მრუმე ლანდივით,
ძველ სიყვარულს ვერ ვიბრუნებ, ვეღარც ბუმერანგივით.
დღემდე მწარედ მდევნის ბედი, მიფენს ტანჯვის საფანელს,
დრო დამიდგა ჭირთა თმენის, სულიც ვერ მივაფარე.
ალბათ მალე ჩუმი ვნების სუნთქვა შემიკიჟინებს,
ტანზე მორცხვად შემაშრება შენი ვნების სიგიჟე.
ამ ქვეყნიდან გავიყოლებ ათას დარდს და საფიქრალს,
წუთისოფლის ქარბორბალა წლებსაც თეთრად დაფიფქავს.
მერე დინჯად გავუყვები ჩემს დათოვლილ ბილიკებს
და საწუთროც, დარცხვენილი, ვეღარ გამაქილიკებს.
მარტოობის ეხ, რამდენი გავა წელი, გავა თვე,
რამდენ ღამეს კიდევ თეთრად შენზედ ფიქრში გავათევ...

ლამის ეს ღამეც...

გაყუჩდა ღამე, მიილია ყრუ დღის ზმანება,
ფიქრებში ნათრევს აქ მომინდა დღეს დავანება.
წლების ფილაქანს ეხეთქება ტკივილის ლოდი,
უკვე წლებია, ვეღარ უძლებს საშინელ ლოდინს.
მწარედ გიხსენებ შენს ცრემლიან, დაღალულ ღაწვზე,
ლამის ეს ღამეც გაცრეცილი უშენოდ დაწვეს.
შენთან მოვედი ნამთვრალევი, თვალებს ძლივს ვახელ,
რომ ვეამბორო შენს სპეტაკ და უმწიკვლო სახელს.

სტრიქონში ცოცხლობ, ვით ამ გულში ჩემი ნიბლია,
რაც წლები გადის უშენობა არ შემიძლია.
ჩემი მფარველი მუზა ხარ და ჩემი თილისმა,
მე უშენობამ შემაყვარა ასე ღვინის სმა.
მჯერა ეს ლექსი არ გახდება ლოდი საყორე,
ცივი დეკემბრის სიმარტოვეს არ გამაყოლებ.
დაულაშქრავი დამრჩა ბაგის ალპური ზონა,
სულში ნევადა ჩამიქცია და არიზონა.
ნუ ეხეთქები დამზრალ სულის მცოცავ აისბერგს,
სიზმრის ტბორებში სილუეტი გზას ვერ გაიგნებს.
ღამე უშენოდ ეფერება სოფლის ორღობეს,
აქ რა ხანია ერთი-ორზე ჩემთვის მოღობეს.
მომენატრე და... შენს ვნებიან დაღალულ ღაწვზე,
ლამის ეს ღამეც გაცრეცილი უშენოდ დაწვეს...

აღარ დამიტოვე სხვა გზა...

როგორ ამერია თავგზა,
სტრიქონს შევალიე წლები,
დღემდე დამატარებ გზა-გზა,
ტრფობის ნაღვერდალზე ვდნები.
ისევ უშენობას ვჩივი,
გულიც მარტოობას ჩემობს,
ბედი ამიმხედრდა იცი?
შარბათს ვერ გავუგე გემო.
ახლა მინავლული წლების,
ტკივილს ვიხსენებ და ვგოდებ,
ისევ უშენობა ზაფრავს,
სულის ძგიდესა და კბოდეს.
უძოს ეპარება ბინდი,
ღამე ყორნისფერი მოდის,
ისევ მარტოობით ვუძლებ,
ლოდინს, უსაშველო ლოდინს.
როგორ ამირიე თავგზა,
ტანზე შემომაცვდა წლები,
აღარ დამიტოვე სხვა გზა,
ლექსად სანთელივით ვდნები...

ვიდრე მეც წავალ...

შენ მწარედ დუმხარ, მე კი უშენოდ
გამიწყრა ძელქვა, არ ჰყვავის ნუში
და ამ საღამოს, გადარეული
სტრიქონს ვიხუტებ სათუთად გულში.
არა, არ შეგვრჩა დედის რძესავით,
ზღვა სიყვარული ზღვარს გადასული.
შენი თვალები ცეცხლის მკვესავი,
გულს მიმძიმებენ უკვე წარსულით.
ვიდრე მეც წავალ, ისევ ღვთის ნებით,
ვიცი დარჩენაც არრას მომიტანს.
დაიწერება ერთი რიგითი,
ლექსად დაღვრილი სულის ქრონიკა.
ჯერ კი ფერფლიდან აღდგა სამთავრო,
ვეღარ დამთრგუნავ, მძიმე სასჯელო!
ძველ მივიწყებულ ფრესკას ვამთავრებ,
ერთი შეშლილი მიქელანჯელო...

და გულს მიბორგებ...

გადითარეშა შენსავით შლეგმა
და უსაშველო ცივმა ქარებმა.
მარტოდ შემოვრჩი სტრიქონის დელგმას
და თვალზე რული არ მეკარება.
ღამით მესტუმრნენ მუზის ღმერთები,
ლექსიც სისხლივით გადმომედინა.
თუ სტრიქონებში გაგაღმერთებდი
დღემდე, ვერასგზით წარმომედგინა.
ეს ლექსი დღესაც ქილიკს ვერ ასცდა,
მით გულს მიბორგებ ამ გულის შიგნით.
ვერა, ვერ მთრგუნავს სიკვდილის განცდა
და უსასრულო მნახველის რიგი.
დღემდე ცხოვრება არ მქონდა მყუდრო,
იყო ბრძოლები, დელგმა, ქაოსი.
დრო-ჟამი მნაცრავს უფრო და უფრო,
ვით მდუმარება სასაფლაოსი.
არ მომასვენა ფიქრმა ნაშალმა,
ჟამი მაცდური სავალს მიქონის.
ლოდინმა გახრა ლაგამ-ავშარა
და გამომტყუა კიდეც სტრიქონი.
ფერფლიდან აღსდგა სულში სეული,
კართაგენი და ძველი მედინა.
ეს ლექსი ჩემგან ანასეული,
ვიდრე სტრიქონზე ჩამომეძინა...

მტოვებენ წლები...

ამ ღამეს დღესაც ლექსთან გავათევ,
თუ დამყვა სული ნადელგამარი.
გადაწოლილა უძოსთან ღამე,
ვით ხეობაზე შავი ქამარი.
ამდენ სიზმარ-ცხადს ვეღარ ვერევი
და მარტოობის სევდა მაცოფებს
რომ წვიმის მსგავსად მეც შევერევი,
ჩემი ქალაქის მღვრიე ღვარცოფებს.
გამოვიარე ჩემი გოლგოთა,
მე კი მგონია, ისევ თოთო ვარ.
მზერას ვირიდებ მერე როგორთა,
წლების ქარბუქში რახან მოთოვა.
ღამე ძლივს იკვლევს გზასა და სამანს,
შენსავით ცივი მთვარეც როგორ თრთის.
ვგონებ დასრულდა აქ ჩემი დრამაც,
როგორც სასრული დიდი გოლგოთის.
გამოვიარე ჟამი უნდილი,
ათასი ჯვარცმა, მძიმე გოლგოთა.
მაგ თმის სურნელს და ვარდის სუნს დილის,
მზერა მოვწყვიტე, მერე როგორთა.
წლების ქარბუქმაც გადაიარა,
მტოვებენ წლები შინდის მწიფობის.
სულზე დამაჩნდი დაღად, იარად,
დღემდე ვერ შევძელ, გითხრა: მშვიდობით!

მანანა თარაშვილი

ზამთრის დილა ალაზანზე

ზამთრის მუსიკა გამეფებულა,
დაკოცნილია სითეთრით მიწა,
ზეცამ აუშვა სინათლის ქულა
და გათენებას ნიშანი მისცა.
მზე მესიჯებად სხივებს აგზავნის,
რომ დაათბუნოს ყველა ღიობი,
სიო ამაოდ ცდილობს დავარცხნოს,
ქოჩორნაფხანი კავკასიონი.
ტირიფი ტოკავს წყლის პირს ეული
და სიბრალულით უმზერს ალაზანს,
წარსულის სისხლით ბებერ სხეულში
ძლივს მოაგორებს სველ ძვლებს დანაშალს.
ტყეში მეტყევე უხმობს ვიღაცას,
ცხვარ-საქონელი ბღავის ბაგაში,
ჭირხლის საბანქვეშ, რა ქნას მიწამაც,
ვეღარ სთავაზობს გულ-მკერდს გადაშლილს.
ყინვა გარემოს თათებით ფხაჭნის,
ყველაზე მეტად ნიბლიებს უჭირთ,
სიცივე სულმდგმულთ ძალ-ღონეს აცლის
და ალაზანიც კავკავებს სუსხით.

ნიკორა

იყო, არა იყო რა,
ბედისწერის ნიკორა
მერქინება ყოველდღე
და სავალ გზებს მიტორავს.
არც ბავშვობა მაცალა,
ცრემლისაგან დამცალა,
ვერც ვიცხოვრე სურვილით,
დავიბორკე დუმილით;
დრო-ჟამს წამნი ვაწიწკნე
ხელოვნების ტრფიალით,
სანატრელი მიხადეს
ზე-სიტყვების ციალი;
პოეზიის მეჯლისზე
ბევრჯერ დამაგვიანდა,
სიტყვა საქმემ ამართვა,
გავყევ ყოფით ლიანდაგს;
მუზას რაღას უშველი
უწრფელესი ბოდიშით,
ხშირად აცრემლებულა
ჩემი მოცლის ლოდინში;
თავი ვერ დავიყუდნე,
მსაჯეს, როგორც გომბიო,
ერთად გადამირიეს
ფეტვი, ბარდა, ლობიო;
სიყვარული მიკორტნეს,
როგორც ვაჟას არწივი,
მაგრამ გადავარჩინე
უფლისაგან აცრილი;
ვისაც არ დაეზარა,
გულზე გადამიარა,
მაინც ვერ მაბოროტეს,
შევკარ ყველა იარა;
უთმენელი ვითმინე,
გულმტირალმა ვიცინე,
ვემედგარე განსაცდელთ,
არ ვეპუე განაჩენთ,
მხოლოდ უფლის შეწევნით
ნება-ნება მივგორავ,
იყო, არა იყო რა,
გეყო, ჩემო ნიკორა!!!

ფოთოლცვენა

ფოთოლცვენაა, ცვლილება ხეში,
სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ყოფნის,
ფოთოლცვენაა, ვით საწნახელში
ფეხქვეშ სრესავენ იმედებს ფოთლის.
ვუმზერ სარკმლიდან და ვფიქრობ ისევ,
შემოდგომის მზე ირგებს ლაბადას,
ქარი ზეიმობს და თავბრუს იხვევს,
შიშველ ხეებთან ცეკვავს „ლამბადას“.
ბზარი გაუჩნდა ჰაერის სითბოს,
გაუთითოვდა მნათობს სხივები
და შემცივნულმა კავკასიონმა
ამოახველა ნისლის ფთილები.
რა უცნაურად დაჰბედეს ფოთოლთ,
უნდა იხადონ ზამთრის ვალები,
ვინ ეკითხებათ, არ მოსწონთ-მოსწონთ,
ჟამი დაუდგათ გარდაცვალების.

ფოთოლცვენაა...

სპექტაკლი საკისთვის

სპექტაკლი დაიწყო,
როლები გაიყო,
მუსიკას უკვეთავს ვიღაცა მესამე;

ვთამაშობთ იდილიას,
ჩვენს გულში ჭიდილია,
ჩემი სიძულვილით თანდათან გგესლავენ;

„ნიჭიერ მსახიობს“
როლი არ გამოგდის,
სიყალბე არ უხდება ერთგულებას;
მესამე ხალისობს,
რაღაცას ჩალიჩობს,
მე მხოლოდ ერთი გზა მეგულება;

სპექტაკლი მდორეა,
ფინალი სწორეა –
მე უნდა გავიდე კულისებში...

მწიფობის სეზონი მობრძანდება

ნიავმა ფოთლები ააშარიშურა,
სიცოცხლემ ჩამჩურჩულა ყურში,
სიცივე სიმწვანის მიღმა გაიტრუნა,
თითქოსდა არც ყოფილა გუშინ.

სურნელი, სურნელი ფერად ყვავილების,
ჟამობა ტრფიალის ვარდთა,
სოსნები, შროშნები, პრანჭია კესანები,
მინდვრების საზღვრებსაც გასცდა.

ზაფხულს ეგებება ანცი გაზაფხული,
ვეღარ უმკლავდება ლოდინს,
ზეცას ახმიანებს ელვით დაზაფრული,
შხაპუნა წვიმებით ლოღნის.

რაც კი გაიკვირტა, რამაც იყვავილა,
ხონჩით მიაგება დობილს,
მწიფობის სეზონმაც ძღვენი ითავისა,
მხურვალე ამბორით მოდის.

გადამიფუვდა...

მექინქლავება თითქოს ფორტუნა,
ძნელად იმეტებს ჩემთვის სიამეს,
გავკვალავ ბილიკს, კვლავ ინამქრება,
ოცნებაც ღრუბლებს მიღმა ციალებს.

უკვე გაზრდილიც ვერ შეველიე,
ტანს მიკანკალებს ბარტყის ბუმბული,
თავს არ მანებებს ფიქრების ჯარი,
ავბედისწერით ამოგუნგლული.

არც ვიშიშე და არც მიმხდალია,
მერეხს ვედექი თავგამეტებით,
გადამიფუვდა ტკივილის ცომი,
ამ სამყაროში ვეღარ ვეტევი...

ავღანეთში წასულ მეუღლეს

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო,
წლების მერეც შენს სიყვარულს ვჩემობ,
ამღერებულ ნიავს ვატან ამბორს,
წლების მერეც მე იგივეს ვამბობ:
არ ხუნდება ჭეშმარიტი გრძნობა,
წლების მერე მეტი გზნება მოვა,
წლების მერე დაღვინებულ მაჭარს
სისხლისაკენ სულ სხვა ეშხი „ქაჩავს“.
ავღანეთის ტრამალებში წასულს
დაგადევნებ აწმყოსა და წარსულს,
გიგემია ბევრი ბრძოლა ცხელი,
აფხაზეთის და ცხინვალის დღენი.
შენი მკერდით ეაბჯარე მამულს,
ვინ დაგითვლის განცდილსა და ნახულს,
საქართველოს ჯარისკაცო, მუდამ
შენი ქვეყნის ძლიერება გსურდა.
ღმერთს მადლობა, გული ქებას მერჩის,
სანატრელიც რაღა არის მეტი,
მამრნაკლები მსოფლიო რომ „გიჟობს“,
კაცურ-კაცის ცოლობაა ჯილდო.

ასიყვარულეთ

ასიყვარულეთ სიყვარული, გემუდარებით,
მთელი არსებით, გულით, საქმით, თუნდაც თვალებით,
აფენთხეთ გული, რომ დასცვივდეს სითბოს ღადარი,
უგულო ხალხში უგულობა, ნეტავ, რად არის;

ასიყვარულეთ სიყვარული, რას ემართლებით,
კვლავ ეყავარჯნეთ აზრით, რწმენით და შემართებით,
სულ ნუ მოაშთობთ, ამოსუნთქვის მიეცით შანსი,
რომ იშრიალოს გალაღებით სიცოცხლის ვალსი.

ნუთუ ბოლომდე დაგიჩლუნგდათ გრძნობის საცეცი,
აღარ შემოგრჩათ სიყვარულის თუნდაც ნამცეცი,
ვეღარ იხსენებთ, რა დიდია სულის ზეიმი,
ან ვის უნახავს კაცთმოდგმიდან ურვის ხეირი.

ასიყვარულეთ სიყვარულის ციცინათელა,
რომ კვლავ დაბრუნდეს თქვენს გულებში მისი ნათება,
გადაირეცხეთ სიავისა მთქმელი და მქმნელი,
ღვარძლის ღვარცოფით გაბიდნული გონება თქვენი.

გავგულმხიანდეთ, შემოვძახოთ, მადლი უფალსა,
კვლავაც ერთობით მოვაშოროთ მუმლი მუხასა,
თორემ დაგვტოვებს უფუნქციო სიტყვა – მშვენება
და მასთან ერთად გვიწერია გადაშენება.

ასიყვარულეთ სიყვარული,
გ ე მ უ დ ა რ ე ბ ი თ!!!

მაია დიაკონიძე

ზმანება

(ხალხურ მოტივებზე)

მთებს შემოუცვამთ ნაბდები,
თავს ადგათ თოვლის ვარაყი...
ერთმანეთს გადასძახიან:
„გადმო, დავლიოთ არაყი;
გავთბეთ, სისხლი რომ აჩქროლდეს,
მედგრად დავუხვდეთ ყინვასა,
პირზე ღიმილით ვუსმინოთ
მაგის კვნესას და გმინვასა!“
ქარს მოაქვს ღიღინ-ღიღინით,
არყით პირსავსე ხელადა,
მთათ მაიმარჯვეს ყანწები
სასმელის შესასმელადა.
„ალავერდს“ არის ყველასთან
მთების თამადა, – მყინვარი,
გოჩასა ჰგავის, ხევისბერს, –
მარადჟამს გაუცინარი.
ალალად ლოცავს მთა-გორებს,
ბარში, – გაფენილ ხავერდებს
და საქართველოს მომავალს,
სამყაროს შემქმნელს ავედრებს!

სიჩუმე!

ერთხელ სიჩუმე მოვიდა ტყეში,
შეწყდა – „გუ, გუ, გუ“, მერცხლების „ტია“
და ქარსაც გიჟმაჟს, ხანდახან შეშლილს,
შიშისგან კრინტიც ვერ გაუღია.
არ გაინძრესო ერთი ფოთოლიც,
პირქუშად მდგარმა სიჩუმემ ბრძანა,
ცამდე აწვდილი იდგა გოდოლი,
სიჩუმის, შიშის დამდგარა ხანა.
უეცრად სადღაც იმ ტყესთან ახლოს,
გაიწკრიალა პატარა ზარმა,
თეთრი ბეკეკა მიადგა ახოს,
ამ ზარმა დუმილს გამოჰკრა სარმა.
სიჩუმის წესრიგს მოეღო ბოლო,
ატყდა სტვენა და ქარის რიალი,
ნუ დავიძინებთ ბოლომდე ოღონდ,
სადღაც ისმოდეს ზარის წკრიალი.

ხმა დიდგორიდან!

ეს გაბმული ხმა ზარებისა, საიდან არის?
ზარების ხმა ხომ სიმბოლოა უფლის შველისო...
ალბათ მოგველის დაჯახება ხმალის და ფარის
და... აუწყებენ დავით მეფეს: „ომი გველისო!“

დროშას შეუშვერს ჭყონდიდელი, გიჟმაჟ ქარს, – ოჩანს,
კარგის მაცნეა ხმა ზეციდან არწივის ყეფის;
წმინდა გიორგის თეთრი რაშიც იმედად მოჩანს,
ეშმაკსაც კი სძლევს დღეს ლაშქარი ერთგული მეფის!

„უფლის იმედად ვიბრძოლოთო“, – დავითმა ბრძანა,
სხვა დროსაც ბევრი გვინახავსო დღეები ცხელი...
დღეს გამოჩნდება, როგორ გვიყვარს ჩვენი ქვეყანა,
მტრის სასაფლაოდ ვაქციოთო დიდგორის ველი!

რა იცის ქარმა?!

ქარი მოვა და მწველ ფაქიზ გრძნობებს
წაიღებს, დაყრის ვით ყვითელ ფოთლებს,
რა იცის ქარმა, რომ ჩვენს ნაზ ტოტებს,
უსახურებს და სულ შიშვლებს ტოვებს.

მოვა და ტანზე მოგვაყრის მიწას,
წრფელი ცრემლებით აგვივსებს თვალებს,
რა იცის ქარმა, რომ ნახავს სიზმარს,
მოვა და იქნებ, ჩვენ აღარც დავხვდეთ!

შენ, კახეთო!

წვიმდა, წვიმდა, უცნაურად წვიმდა,
დასდიოდა ცრემლი მხოლოდ ვაზებს
და კახეთის ამ საოცარ მიწას
მზე აფენდა ციდან ფიანდაზებს.
ღობე, ღობე, გავსებული ეზო
ყვავილებით, ქვევრებით და ჭურით,
შენ კახეთო, თეთრ ღრუბელთა მწყემსო,
სიტკბოებით გამომივსე გული.
დაფენილი რუხნისლები ცაზე,
მოვედი და მყისვე შევიყვარე,
გვერდზე გადექ, საქართველოს მტერო,
მზე დაადგა ხორბლის ნაფერ ყანებს.

ჩემო კახეთო!

ქამარ-ხანჯალით შეგმოსეს ვერცხლის,
და მზის გვირგვინი გიმშვენებს თავსაც,
ჩემო კახეთო, გიტევდა ბევრი,
გაუტეხელო ციხეო, დგახარ!
დგახარ და ერის ბურჯადა გსახავთ,
მამაპაპურო ჩვენო ვენახო,
არ მოგეშალოს შრომა და გარჯა,
ვაზთან ღიღინი, არ მოგეშალოს!

ესეც პოეზიაა!

გარეთ ქარი რომ თამაშობს,
ბავშვებს ჩაეზიარა,
ატრიალებს ბურთს და ანცობს,
ესეც პოეზიაა.
ფურისულა გაშლის ფურცლებს,
ზედ პეპელამ იარა,
სკაში დათვი თათებს ურევს,
ესეც პოეზიაა.
ველარ იტევს ყვავილს ველი,
წინ გაგვიშლის ფიანდაზს,
ყანას მკიან პაპას ცელით,
ესეც პოეზიაა.
ვაჟი ქალს აპურებს რწმენით,
ცხვარი მისდევს იალაღს,
რასაც ვერ გამოთქვამ ენით,
ესეც პოეზიაა.

გიორგი პაპუაშვილი

დავიბადე 1995 წლის 8 მარტს. დავამთავრე ქ. დეოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე ქართულ უნივერსიტეტში. დამთავრებული მაქვს ასევე მედიასკოლაც ტელეკომპანია ფორმულას ბაზაზე, სადაც ასევე გავიარე სტაჟირება-პრაქტიკაც. მაქვს გავლილი სამსახიობო კურსიც ბრიტანეთის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში, რადაში. მცირე ხანს მოხალისედ ვიმუშავე საფრანგეთში. ამჟამად ვწერ სტატიებს ფრანგულ-ქართული ონლაინ გამოცემა „შენი ამბებისთვის“.

შობის ღამე ნიუ-ორკში

ნიუ-იორკი. ამბობენ, აქაური შობა ზღაპარს ჰგავსო. აქ შობას არც ზღვის პლაჟზე ატარებენ, როგორც კალიფორნიაში, მაგრამ ყინვა ძვლებამდე ნამდვილად არ ატანს, როგორც ალიასკაზე. შობის ღამეს, როგორი ამინდიც არ უნდა იყოს, ყველა სახლშია, რათა სამსახურით დაქანცულებმა ამ ჯადოსნურ ღამეს ერთმანეთით იხარონ.

ერთ-ერთ ოჯახში რადიო დაბალ ხმაზეა ჩართული, დიქტორი ამინდის პროგნოზს გადმოსცემს. „დღეს ნიუ-იორკში ჩვეულებრივზე ცივი საშობაო ღამე გველის, ამიტომ თუ გარეთ გასვლას დააპირებთ, თბილი ქურთუკის ჩაცმა არ დაგავიწყდეთ“ და ამ ცივ ღამეს, როცა ყველა ბავშვი ოჯახში უნდა იყოს, პატარა ბიჭუნა მაღაზიიდან ბოლო ცენტებით ნაყიდი სნიკერსით ხელში გარეთ გამოდის და გზას უმისამართოთ მიუყვება. ცუდად არ აცვია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ უსახლკარო არ უნდა იყოს, მაგრამ რატომ არის მარტო ამ ჯადოსნურ ღამეს?

ფიქრებში გართული ბიჭი ერთ ჩიხთან ჩერდება, შოკოლადს ხსნის და უცებ ფეხთან კრუტუნის ხმა მოესმება, რასაც მალევე კატის კნავილი მოჰყვება. „შემეშვი ფისუნია, ხომ ხედავ ჩემი თავი გამჭირვებია, თან მგონი კატები შოკოლადს არ ჭამთ“. მაგრამ კატა ბიჭის ფეხებს თავს არ ანებებს, თან დროდადრო თვალებში უყურებს. ბიჭი ერთს გაუღიმებს ფისოს და მთელ შოკოლადს ძირს უგდებს. კატამ ერთბაშად გადასანსლა შოკოლადი და სკუპ-სკუპით ჩიხში გაუჩინარდა. ბიჭმა უკმაყოფილოდ გააყოლა თვალი. „ნუთუ პატარა მადლობაც არ დავიმსახურე“. თავის ნათქვამზე თვითონვე გაეცინა. „ის ხომ კატაა“. ბიჭმა ხეტიალი განაგრძო და სუსტად განათებულ ქუჩაზე გავიდა. კორპუსის პირველი სართულიდან გაჩახჩახებული სინათლე გამოდის. ბიჭი ფანჯრისკენ იყურება. ის იქ ბედნიერებას ხედავს. ხედავს, როგორ მოაქვს ოჯახის დიასახლისს საშობაო პუდინგი მაგიდასთან. მისი ხნის გოგონა ბედნიერი და გახარებული უკრავს ტაშს. ერთ დროს მისი ცხოვრებაც ასეთი იყო, მაგრამ ახლა ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს არც არასდროს ყოფილა.

რადიოში გამოცხადებული ამინდის პროგნოზი ხში-

რად არც მართლდება ხოლმე, მაგრამ დღეს მართლაც ძალიან ცივი ღამეა. ქუჩაში უკვე აღარავინაა. ბიჭს ფეხები ეკვეთება, გზას ვეღარ აგრძელებს, მაგრამ უკვე ფიქრობს, რომ აზრიც არ აქვს სიარულის გაგრძელებას, მან ხომ ისიც არ იცის, სად მიდის. უცებ ჩერდება, იქვე ჯდება და თავს მუხლებში რგავს. ყინვა ძლიერდება, თოვლის ქარბუქი იწყება, ბიჭი უკვე სხეულს ვეღარც გრძნობს, ერთს ამოილუღლუღებს. „დედა, მამა, გთხოვთ, თქვენთან წამიყვანეთ“ და უცებ „ბიჭუნა, შობას არავინ უნდა იყოს მარტო“. ბიჭი თავს წევს, გარშემო იყურება, მაგრამ ადამიანის კვალიც არ ჩანს. მის წინ მხოლოდ კატა დგას. ბიჭი ფიქრობს, რომ უკვე მოლანდებები დაეწყო, ან ცოცხალიც აღარაა. კატა აგრძელებს: „ჰო, რატომ ასეთი თვალებით. არ გახსოვს, რამდენიმე საათის წინ შენი ერთადერთი ნუგბარით რომ გამიმასპინძლდი? ხოდა, აი, აქ ვარ. აქ ვარ რომ, გადაგარჩინო“ და მთელი ხმით იწყებს კნავილს. მთლად გათიშულ ბიჭუნას ეს ხმა დიდად არ სიამოვნებს და უცებ, რას ხედავს, იქაურობა უამრავი კატებით ივსება. ოღონდ კატები ხელცარიელები როდი მოდიან. ზოგს ტკბილეული, ზოგსაც სხვადასხვა საჭმელი მოაქვს. ბიჭი ფიქრობს, რომ სამოთხეშია, მაგრამ იქ ზის, სადაც ცოტა ხნის გათოშილი ჩამოჯდა. „აი, ასე ახლა მარტო არ ხარ. ვფიქრობ, ჩვენი ჯადოსნური ბეწვი მოსწრება იქნებოდა ასეთ ყინვაში. ისე, სულ მიკვირს ამ მწერლების, ხშირად ცბიერ, მჩხავანა და ბოროტ არსებებად რატომ გამოვყავართ. ჰო, რას მიყურებ, კითხვა მიყვარს“. კატები მოტანილ ძღვენს ბიჭუნასთან ალაგებენ და ყველა გარშემო ეხვევა. ბიჭი სიცივეს ვეღარ გრძნობს, მაგრამ თვალებს ნელა ხუჭავს და ძილი ცნობიერებას ართმევს. ის თვალს ნელა ახელს და რას ხედავს, უზარმაზარ საერთო პალატაში წევს, თავზე ექთანი დასტრიალებს და გონზე მოსულ ბიჭს უღიმის. მასთან მალე ექიმიც მიდის. „სასწაულმა გადაგარჩინა, ასეთ ყინვას ზრდასრული მაწანწალებიც ვერ უძლებენ. პოლიციამ რომ გიპოვა, ვერც იფიქრეს, რომ ცოცხალი იქნებოდი“. ბიჭუნა ერთს ამოილუღლუღებს „იცით, მე“... „ნუ ღელავ, შენი ნათესავები უკვე გზაში არიან, გაუხარდათ როცა შენზე შევატყობინეთ“. „არა, ოღონდ ისინი არა. მათგან ჩემი ნებით წამოვედი, ვძულვარ, ჯოჯოხეთი იყო მათთან ცხოვრება“. „ჰო, თავიდან შენს დეიდას და ბიძას შევატყობინეთ, მაგრამ გვიპასუხეს, რომ თუ მათთან ცხოვრება არ გსურს, რა გაეწყობა, ვალდებულებას იხსნიან შენს მოვლაზე. ესენი, ვიზეც ახლა გეუბნებოდი, შენი ოკლაჰომელი ნათესავები არიან. კარგი, ახლა დაისვენე, ექთანი მალე საჭმელს მოგიტანს“. ბიჭი ყოყმანობდა, მაგრამ ექიმს მაინც ჰკითხა: „როცა მიპოვეს, იქვე კატებიც ხო არ შეუმჩნევიათ სადმე“? „კატები? კატების რა გითხრა, მაგრამ კანფეტის ნაფრცქვენები ეყარა, როგორც ჩანს მშიერი არ ყოფილხარ. კარგი, ახლა სხვებსაც მივხედო. ჰო, მართლა შობას გილოცავ!“

ბიჭი სულელურად და უზომოდ გახარებული იცინოდა. მაინც არ სჯეროდა, რომ ეს პატარა ამბავი მართლა მის თავს მოხდა, არა შეუძლებელი იყო. კატებს მადლიერების გრძნობა არ აქვთ და, მითუმეტეს, ადამიანის ენაზე საუბარი არ შეუძლიათ, მაგრამ კანფეტის ნაფრცქვენები იქ საიდან გაჩნდა? ნუთუ...

ბევრი იტყვის, რომ ჩვენს თავს ზღაპრული სასწაულები არ ხდება, მაგრამ შობა ის დღესასწაულია, როცა ასეთი ბავშვური ზღაპრებისაც უნდა ვიწამოთ. შობას გილოცავთ!

ლალი მეხრიშვილი

დაიბადა 1979 წლის 13 აგვისტოს, დაამთავრა თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. 2001 წლიდან მუშობას იწყებს დედოფლისწყაროს ადგილობრივი გაზეთი „შირაქის“ კორესპონდენტად, 2003 წლიდან რაიონული გაზეთის პარალელურად კახეთის რეგიონალურ გაზეთ „სპექტრის“ ჟურნალისტად ითავსებს მუშაობას, 2004 წლიდან „კვირის პალიტრის“ რედაქციის თანამშრომელი ხდება. ხშირად აქვეყნებდა მწვავე და კრიტიკულ სტატიებს, წერდა იმაზე, რაც ხალხს აწუხებდა და პრობლემას უქმნიდა. მისი სტატიებით, უთვალავი პრობლემატური საკითხი მოგვარებულა სამინისტროების ჩარევის შედეგად.

2012 წელს „ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგად იგი დასახელდა საქართველოს ბეჭდურ მედიაში საუკეთესო სტატიის ავტორად, 2014 წელს ჟურნალისტობის პარალელურად დააარსა არასამთავრობო ორგანიზაცია „დედოფლისწყაროს ქალები“.

2018 წელს ტოვებს ყველა გაზეთს, მათ შორის მშობლიურ გაზეთ „შირაქს“ და იტალიაში მიდის სამუშაოდ,

იტალიაში დაუკავშირდა ქართულ იტალიურ დიასპორას ქალაქ ბარიში და თანამშრომლობა დაიწყო ქართულ იტალიურ ჟურნალთან „აისი“, სადაც მისი რამდენიმე სტატია დაიბეჭდა.

2019 წლის დეკემბერში იგი კვლავ საქართველოში ბრუნდება. 2020 წლის თებერვლიდან დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტია, ხოლო 2021 წლიდან კულტურის ცენტრის პიარ-მენეჯერია. ამავე დროს სოციალურ სივრცეში დაარსა ბლოგი „დედოფლისწყაროს კოლორიტები“, სადაც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ღვაწლმოსილ ადამიანებზე ვიდეოინტერვიუებს აქვეყნებს. არის 200-ამდე ვიდეოპორტრეტის ავტორი, ჩატარებული აქვს რამდენიმე საავტორო კულტურული ღონისძიება.

ამჯერად, ლალი მეხრიშვილს სხვა მხრიდან გაგაცნობთ მისივე ლექსების მეშვეობით.

ოზაანს

ხოხბის ყელივით ყელს იღერებს შენი სამება,
და ამაღლება ვეფხის კლანჭებს მხრებზე იხოკავს,
მზის სხივებს ოქროს სამკაულად ირტყავს ვენახი
და ოქრაანის აშოლტილი ველები გმოსავს.
შენი გედიქი, მრავალ ჭირით გულდატეული,
სალი კლდეები ყელზე გადგას სამკაულებად,
ისე გაჩრილა სოფლის ტბაში ჩემი ბავშვობა
და ის ყიჟინა სიმფონიად გულს მაქარგია.
ჩაძირული ხარ მთაგორიან ლამაზ ტყეებში,
ვინ არის შენი სევდიანი ფიქრის დამტევი,
ათას მტერს გული შეაგელვე ხმალივით დადექ,
შენ, ჩემო დიდო ჭირნახულო, გულის მარილო!
საოცრება ხარ და რად მიკვირს ნიკალას ფუნჯის,
შენი შემყურე გადარიე, ის ხომ ბავშვია,
გაადიდგულე, მერე თბილისს დაასამარე,
შენმა მშვენებამ არ დაუშრო ფუნჯის არშია.
შენ, უსენათის ნანგრევები ქვებად რომ შეგრჩა,
წმინდა სამება გადგას როგორც მეფის გვირგვინი,
მოქარგულ ქუჩებს, შენს ძველ სახლებს ისევ ატყვია,
ჩემი ბავშვური მზერა, ჩუმი ნაფეხურები.
ამდევნებია, მხრებზე შოლტებს მარტყავს ბავშვობა,
უკან მომბღავის შენზე ფიქრი დაიმშვენ თვალებს,
გულის მაქმანად მასვენიხარ თვალებხატულა,
ჩემო სოფელო, ოზაანო, როგორ მაკლიხარ!
დაიტევს ღამე უსასრულო ფიქრს და ხვაშიადს
და სიამაყე შემამაგრებს შენგან შეზრდილი,
მე იტალიის სამხრეთის ქვებს ზღვადშეხიზნული,
შენ უფრო დიდი მეჩვენები, მედიდგულები.
მოზიდულია ყველა ფიქრი თოფის ჩახმახით
და გავარდება, დაიჭექებს, რა შეაჩერებს,
ამოიშრიტა გულის წვენი იმ მონატრებით,
რასაც ხატულა ოზაანის ნიავი დაჰკრავს.
წავალ სიზმრებში, ნაქოხრებთან დავიჩოქები
და მინდა ქორად გადავევლო შენს ჭალის ტყეებს,
სიო მედება და ცხვირს მიწვავს შენი სურნელი,
მაყვლები თვალებს ჩამიკრავენ და ნანგრევებთან
თავს მაწონებს ნაქოხრების ასკილი, კომში...
მოითქვირება თეთრი საბნის ცხვრის ფარა გრძელი,
გედიქის წყაროს ჩხრიალს მოსდევს მეცხვარის სტვენა,
ეს ისტორია ნაცნობია თითქოს ჩემს სისხლში
და ჩემი დიდი ქიტა პაპა სიზმრებად მოდის.
გაჟღენთილი ვარ, ოზაანის სურნელი აქ მდევს
და მის მიწაზე აყლორტილი კისკისი მესმის,
ჩამოიწვეთა გულზე წამლად ქურხულიანი
და კაბის ძველი ნაფლერთებით ზედ გეფარები.
ისევ ავდექი და ეს დილაც გადაიზმორა,
ვიცი, გალობენ ახლა ტყეში შავი შაშვები.
ბულბული ისევ იმ სიმღერას მღერის ჭალაში,
რასაც მღეროდა ოზაანურ ბავშვობის წლებში.
მადლობა უფალს, დავიბადე მე ამ სოფელში
და გამომზარდა ვაკის წვიმის ნაჟურმა წყარომ,
მომნატრებიხარ და ეს ფიქრი ნისლად გაშლილი,
სოფლის ხევებში ილექება და დანანაობს.
ჩემო მაქმანო,
ჩემო დიდო ნავთსაყუდელო,
ჩემო პურო და ჩემო ღვინოვ,
ჩემი ფიქრის დიდო მცხობელო,
ჩემო გულო, გმირო სოფელო, ოზაანო, მეასმაგები!

მეორედმოსვლის ზღვართან ახლოს...

მეორედმოსვლის ზღვართან ახლოს,
მე გრანდიოზულად შევცდი,
ამოვიკარი ფეხზე ჩუსტები და
ომში გავიწვიე საკუთარი თავი.
ოხ, ეს სიგიჟე ალეწილი დაყიალობს ცაში
და ვერ ვპატიობ თავს ამ შეშლას,
სად დავტოვე ჯადოსნური
ორი წყვილი ბავშვის თვალები?!

ო, ღმერთო ჩემო, სუნთქვა მათი რომ აღარ მესმის,
მე აქ უმათოდ ან როგორ ვარ, ან რას ვიკერავ,
დაკონკილ გულს ხელით დავატარებ და
არტერია რა ხანია ვეღარ იხსნის სულში არტახებს.

გაგუდულია დროებითად ჩემი სხეული,
მხოლოდ ფურცლებად დანანაობს ძველი კადრები,
ქარი კი წეწავს ფანჯარასთან ფიქრის ბუერებს
და ჩემს ფანჯარას აწყდებიან ხმელი ტოტები.

მე ალბათ ისევ დავბრუნდები, ჩემს მწვანე ბაღში,
მოვეფერები ჩემს ყვავილებს უკვე გადამქრალს,
ჩვენ შევიყრებით,
მაგრამ ვიცი, ვერ დავიბრუნებ,
იმ წუთებს, რაც თავს მოვაკელი უსიყვარულოდ.

ვალსი

მე ყოველ დილით გავდივარ ზღვაზე,
სილას დახვეტავს ჩემი ფეხები.
მერე ზღვის პეშვით შემოვიშოლტავ კოჭებს და
ტალღებს ვალსს ვეცეკვები.

ვდგავარ კისრამდე ჩაფლული წყალში და
წყლის ტორტმანი ზემ-ზემოთ მაგდებს.
ტანზე მაცვია სველი წყლისფერი კაბა და
ცის და მიწის კიდეს გავცქერი.
მე ყოველდღლით გავდივარ ზღვაზე,
სილას დახვეტავს ჩემი ფეხები,
მაგრამ უსულოდ ვგდივარ ზღვის ქიმთან,
როცა მე არ მყავს გვერდში ოჯახი.

ეს ზღვა მე ვარ

ეს ზღვა მე ვარ, მე მაცვია ტანზე...
ჩემსავით ასკდება ნაპირებს...
ეს ზღვა მთვრალია, სიყვარულით მთვრალი
და ჩემსავით იკლავს ვნებებს...
ეს ზღვა მე მგავს,
ბორგავს და ასკდება ნაპირებს ჩემი სხეულივით...
როგორ მესმის მისი,
რამდენად ჩემია, ის მე ვარ,
ჩემსავით ემოციურია,
გიჟია და ჩემსავით ნაპირებს ასკდება და
ნაპირებს იქით გადადის...
როგორ მესმის მისი...
საწოლის თავთან ყავის ლამბაქზე მდგარ ჭიქას
ნალექი შეშრობია პირზე,
ორი დღეა არ ვიღებ,
ვცდილობ, დიდხანს იდგეს აქ ეს ფინჯანი და ლამბაქი,
რადგან ის ჩვენი საძინებლის თავთან დადგმულ
ყავის ფინჯანს მაგონებს,
ძირამდე რომ ამოვაშრობდით პირგამშრალნი...
მინდა, დიდხანს ვუყურო ამ ლამბაქს,
მერე რა, თუ უწესრიგოდ დგას!
სამაგიეროდ ჩვენს სახლს მახსენებს,
სახლს,
მუდამ სიცოცხლის მჩქეფარებით რომ სუნთქავდა...
უდროობის დროს რომ მოვიტოვდით ერთმანეთისთვის,
ბავშვების ცხოვრებით გადაღლილები,
რა ტკბილი იყო ის ცოტა დრო.
ეს თაროებიც,
რომ აიყრება და აილინთება ერთმანეთში ჩემი კაბები,
ხელს არ ვახლებ,
არა იმიტომ, რომ დრო არ მაქვს,
ან მეზარება მისი დალაგება, –
არა, – ის ჩემი მოუცლელობით და
გადარბენით ცხოვრების რიტმში მყოფ,
არეულ ჩემი სახლის თაროებს მახსენებს
მინდა ვუყურო ამ არეულ თაროებს,
რადგან ის ჩვენს სახლში
ბედნიერებით სავსე ცხოვრებას მახსენებს...
ბევრს ვფიქრობ ამაზე და
მიუხედავად უამრავი წყენებისა, ტკენებისა,
იმ სიყვარულს ვერც დრო,
ვერც მანძილი,
ვერც წლები ვერანაირად წაშლის,
რადგან მე ისევ ისე ვგრძნობ შენს სუნთქვას,
შენს მოწყურებულ თვალების მზერას,
როგორც ბოლო წუთებში,
როცა ერთმანეთს დავშორდით.

თენგიზ მორჩიაული

დღეს ვიხსენებთ XX საუკუნის 80-იან წლებში გარდაცვალებულ შესანიშნავ სიღნაღელ პოეტს თენგიზ მორჩიაულს. მისი სახელი უცნობია ფართო მკითხველისათვის, მაგრამ მისი ლექსები იმსახურებენ, რომ ამ პოეტის სახელი და შემოქმედება დავიწყებას არ მიეცეს.

თენგიზ კრაწაშვილი (მორჩიაული) სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიაანში 1939 წელს დაიბადა. სწავლობდა ნუკრიაანის საშუალო სკოლაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ (1966 წ.), მუშაობდა სიღნაღში. გარდაიცვალა 1985 წლის მაისში, რაზეც წერს კიდეც თავის წინასწარმეტყველურ ლექსში, რომელსაც დასაწყისში გთავაზობთ. პოეტის სამუდამო განსასვენებელი მშობლიურ სოფელშია.

მისი ფსევდონიმი – მორჩიაული, შეურჩევია გამოჩენილ მწერალს გიორგი ნატროშვილს, რადგან კრაწაშვილების მათ განშტოებას თურმე „მორჩიაანთ“ უწოდებენ.

პოეტის დასახასიათებლად გავიხსენებთ მისი სტუდენტობის მეგობრის – მწერალ მირონ ხერგიანის,

სიტყვებს: „ტანად მორჩილი და სუსტი (გავიხსენოთ მისი ფსევდონიმი – მორჩიაული) საოცრად აენთებოდა ხოლმე, პოეზიაზე რომ ჩამოვარდებოდა საუბარი. იგი თვალდახელშუა იცვლებოდა, მაღლდებოდა, ახოვანდებოდა, უკან გადავარცხნილი ხშირი თმა აექოჩრებოდა, აეჯაგრებოდა, ფაფარივით ყალყზე დაუდგებოდა, კისრის ძარღვები დაებერებოდა, ხმა დაუბოხდებოდა, ოცნების ფრთებით ტოროლასავით ცის ლაჟვარდში აიჭრებოდა და“...

თენგიზმა სიცოცხლეში მხოლოდ ნარკვევების ორი კრებულის გამოცემა მოასწრო. მისი ლექსები მომცრო კრებული კი 1997 წელს გამოიცა პოეტის მეგობრების და მოწადინებით და იმ პერიოდში სიღნაღის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის ბატონ ვაჟა ცაბუტაშვილის მატერიალური მხარდაჭერით. თუმცა მისი შემოქმედება დღემდე სრულყოფილად არ გამოცემულა და არც შესწავლილა.

ქვემოთ გთავაზობთ პოეტის რამოდენიმე ლექსს.

ვიცი იქნება სწორედ მაისი

ეპიტაფია

ვიცი იქნება სწორედ მაისი,
სწორედ მაისი, და არა სხვა თვე,
როცა სიკვდილი აღარ დაიცდის,
დაგიგებს მახეს და აგიცხადებს.
ვიცი, ცა შავად მოიღუშება,
მოეფარება მზე ღრუბლებს შიშით
და შენი სიყრმის თეთრი ნუშები
აღივსებიან ვაით და ვიშით.
ვიცი, უგულოდ ასწევენ კუბოს
და წაგიღებენ ტირილით სადღაც,
დაგისველებენ ცრემლებით უბეს,
შეგაგებებენ საფლავთან სხვა დღეს.
ბორცვად გაქცევენ... და დაგამშვენებს
მკერდზე ყვავილი დაყრილი უხვად...
მოგისხდებიან შემდეგ გარშემო
და შესანდობარს ასწევენ უხმოდ!

თიბათვე

სველ ბალახებში სრიალებს ცელი
და დგას სურნელი მოთიბულ თივის...
სველ ბალახებში სრიალებს ცელი,
სამყურა პირქვე წვება და ტირის.
ტირის და მისი უმანკო ცრემლი
ეფშვნება შიშველ, დაკუნთულ ტერფებს...
სველ ბალახებში სრიალებს ცელი
და ქუხს სიმღერა მინდვრიდან ტყემდე.
მზე მჯიღად ადგას ამ მთას მინისლულს
და სტყორცნის სხივებს, – ვერცხლისფერ თევზებს,
თოვლივით თრთის და ცეკვავს ივნისი
ზაფხულის ცხელ და კანდამსკდარ მხრებზე.

ფოთოლცვენა

ხევს ცისფერ კვამლით აევსო თვალი
და ქარაფები ცრემლით მონისლა,
ლეგა ღრუბლებმა წამოყვეს თავი
და შეუტიეს ნათელ ჰორიზონტს.
მათ თეთრი მთები მითელ-მოთელეს,
მერე იერიშს მზესთან მივიდნენ...
ჭადრის ბრიალა ბრტყელი ფოთლები
მთვარეებივით ენთო ბილიკზე.

შემოდგომა

ოქროს შემოდგომა იტირებს ჩუმად,
აცივდება და მთებზე ჩამოთოვს...
ოქროს შემოდგომა იტირებს ჩუმად,
აღარ ამოვა თეთრი მთვარე მღვრიე ჩალიდან.
თვალს გავაყოლებ მაყრიონთა გაფრენილ ცხენებს,
იქუხებს თოფი სოფლის ბოლოდან...
და დედაჩემი ჩუმი ოხვრით მოიწმენდს ცრემლებს:
– ეჰ, ნეტავ ერთი პატარძალი მეცა მყოლოდა.

მეტყევის ქოხთან

მთის ასწვრივ, ზემოთ, მეტყევის ქოხთან
ღრუბელი თრთოდა, როგორც ბარათი...
მუხლებდამეხილ მუხების ოხვრას
იმეორებდა ფშავის არაგვი.
თუთუნისფერი ფოთლების წყება
მოეხვეტა და მიჰქონდა ქარებს,
როგორც მეგობრის პატარა წყენა,
ცის კაბადონზე ბჟუტავდა მთვარე.

ალაზანთან

დიდხანს ვუმზერდი ვერხვების შრიალს
და მოდუდუნე მდორე ალაზანს...
ტანკენარ წნორებს თმა ჩამოშლოდა,
წყალში მუხლებზე იდგნენ ლამაზად.
ცა იბლანდება მუხის ტოტებში,
მწვანე წიფლები აკმევს სიგრილეს,
წიფლნარში ბოლავს ლურჯი კოტეჯი,
თითქოს მზემ სადღაც გადაიფრინა.
გადაიფრინა და ჩაიმუხლა,
იქვე, მთის ძირში დასცა გრილონი...
ლაღი ფერები დაღვარა უხვად,
ფუნჯით მოხატა სანაპირონი.

სასაფლაოზე ყვაოდა ვარდი

სასაფლაოზე ყვაოდა ვარდი
და სევდიანად კვნესოდა სიმი...
სასაფლაოზე ყვაოდა ვარდი,
ცას ამ ვარდივით ეკიდა სხივი
და შრიალებდა მუხა და რცხილა,
წინაპრის სუნთქვა – ამ ქვეყნად მოსვლის,
ტოტებზე წვიმის წვეთები ბრწყინავს,
თუ ეს ობოლი ცრემლია მგოსნის?!
ლეგა ღრუბლები კლდეებს ეკვრიან,
ხევებში სადღაც ჭოტი კიოდა...
და შუქჩამქრალი მზის ელეგია
უკვე დაკარგულ დღეს მისტიროდა.

ᲞᲐᲞᲐ

მე ერთი პაპა მყავდა, რჩეული გვარ-ტომითა,
უყვარდა გაზაფხული, ყვავილთა ფანტელები,
სულ იმას იძახდა, სულ იმას ამბობდა:
– ვაი, რა ცოტანი ვართ დღეს ქართველები!
შრომობდა, იღწვოდა, სწყუროდა, შიოდა,
ბევრჯერ მისი ოფლით მორწყულა ველები...
შინ იყო, გარეთ იყო, სულ იმას ჩიოდა:
– ვაი, რა ცოტანი ვართ დღეს ქართველები!
ჰყავდა ცხრა შვილი, ოჯახის ფუფუნება,
მაღალნი, თამამნი, ლამაზნი, ჯანმრთელები
და მაინც წუხდა და სულ იმას ბუხუნებდა:
– ვაი, რა ცოტანი ვართ დღეს ქართველები!
კვდებოდა, ეცლებოდა სული – ზღვის ტალღა,
მკერდს ეწყო გაყინული ვეება ხელები...
კვდებოდა ბერიკაცი და მაინც იძახდა:
– ვაი, რა ცოტანი ვართ დღეს ქართველები!
ვდგავარ მის საფლავთან, დარდს გულის კარს ვუღებ,
მწვავს ფიქრი მამულის სუნთქვით ნაფერები...
და მეც პაპასავით მტკივა და მაწუხებს,
რომ დღეს ცოტანი ვართ, მართლაც, ქართველები!
თუმცა ცოტანი ვართ, ნურვის ეგონება,
უკვალოდ ჩაიფერფლა ბებერი პაპის ძვლები,
კვლავ სულში მიკიჟინებს წინაპრის შეგონება:
ვამრავლოთ, ვამრავლოთ, ვამრავლოთ ქართველები!

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

პაატა სულთანიშვილი 1953 წლის 28 იანვარს დაიბადა რაჭაში, ონის რაიონის სოფ. გლოლაში. მშობლიურმა ულამაზესმა მხარემ უდუდესი გავლენა იქონია მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში, რაც გამოისახა მის მტკიცე ხასიათში, ქვეყნის სიყვარულში, მეგობრების ერთგულებაში, სისპეტაკესა და გულწრფელობაში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, პაატა სულთანიშვილმა პირნათლად მოიხადა ქვეყნის წინაშე სამხედრო ვალდებულება, სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ პაატა სულთანიშვილმა სწავლა, ცხოვრება და მოღვაწეობა განაგრძო თბილისში, თუმცა მშობლიურ რაჭასთან კავშირი არასდროს გაუწყვეტია. სულ ამბობდა, რომ მშობლიური კუთხის სიყვარული წინაპრებმა ასწავლეს, რაც მის ლექსებში მოჭარბებულად იკითხება კიდეც. ის თავის ლექსებში ერთნაირად ეფერება თბილისსა და რაჭას და ამბობს:

„ორი კუთხე მაქვს რაჭა და ვერა
მე მათ გარეშე ვერ გავძლებ ვერა!“

პაატა სულთანიშვილი იყო პოეტი და საზოგადო მოღვაწე, შესანიშნავი მეუღლე და მამა, კაცთმოყვარე და სიმართლის მოყვარული, თავისი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი, პაატა სულთანიშვილი დაჯილდოებული იყო ადამიანებთან ურთიერთობის განსაკუთრებული ნიჭითა და უნარით, რამაც განაპირობა ის, რომ ცხოვრების მანძილზე ყველა ასაკის თაობაში ახლო მეგობარი ჰყავდა.

პაატა სულთანიშვილი გარდაიცვალა 2016 წლის 18 ოქტომბერს.

გთავაზობთ რამდენიმე ლექსს პაატა სულთანიშვილის პოეზიიდან.

ᲐᲠᲬᲘᲕᲔᲑᲡ ᲕᲔᲠᲕᲘᲜ ᲒᲐᲒᲕᲬᲘᲠᲐᲕᲡ

რომ ვუბრუნდები ჩემს რაჭას,
ტყეც კი მიცინის მშობელი,
მთიდან ხარ-ჯიხვი დამხარის
წმინდა მიწაზე შობილი.
მივალ, მიტკბება ეს ზეცაც,
დარად იქცევა ავდარი,
ბოროტი ეშმა ფრთებს კეცავს,
მატულობს სულის ნადავლი.
მაგრამ აქა-იქ ბაღნარში
გამოერევა შამბნარიც,
ზოგჯერ ღრუბელი ჯანღს აშლის,
მწუხრისგან ოხრავს მთა-ბარი...
და სწორედ ამ დროს სჭირდება
თანდგომა ფუძის ანგელოზს,
მოყვასმა მოყვასს სულისთქმა
წამლად რომ წამოაშველოს.
კაცი ხომ ჭირში იცნობა
და მითუმეტეს ქართველი.
ხშირ-ხშირად ამას ვამბობ და
გულს მივსებს გრძნობა ნათელი,
არწივებს ვერვინ გაგვწირავს,
მედგრად გვიდგანან მართვენი.

მამადავითზე ჭაღარა მთვარე

კოპწიად ნაგებ თეთრ შუშაბანდებს
წარსულის ჩუმი სევდა ატყვია.
ფიქრი, მომავლის რწმენას რომ ბადებს,
წამლად ედება ამ გულს ნატყვიარს.
მამადავითზე ჭაღარა მთვარე
წმინდა საფლავებს დაპნათის კრთომით.
ნელა იმსხვრევა მნათის სიმკრთალე
და არემარე ივსება თოვლით.
ღამის ჩრდილებმა ნაძვნარი მყუდრო
უჟმურ სიზმრებად გადაიარეს.
შუქი, რომელსაც ცა ადგილს უთმობს,
ხსნად ესახებათ ადამიანებს.

ღამის სურათი გლოლაში

ღრუბლებმა გადაიარეს,
გამოჩნდა მტკნარი მიდამო,
ღევებად გადმოხრილიყვნენ
ღრენი და კლდენი პიტალო.
ვიდექი აღტაცებული
ტყესღა გავცქერდი მარტოკა,
ქარმა ვეება ხეები
შრიალ-შრიალით ატოკა.
გლოლას ეძინა, მთვარე კი
შუქს ფენდა არემარესა,
ჭანჭახიც ნანას უმღერდა
ამ ულამაზეს მხარესა.

კვლავ წამოვდგები

ვარ წაჩოქილი როგორც ხარი...
მებრძვის აფთარი,
და თითქოს სულში უმკაცრესი
მიტევს ზამთარი:
მაინც თანდათან კვირტებსა შლის
ჩემი ოცნება,
გული მედგრად დგას, არ შინდება
არა ღონდება...
მივყვები ქუჩებს, აყვავებულ ნუშსა
და ატამს,
სიკეთის თვალი მზის სხივივით
გულ-მკერდში ატანს...
წყაროს წყალივით მოჩუხჩუხებს
იმედი ხვალის,
და ვგრძნობ სიამეს, სიანკარეს,
უზომო ხალისს,
კვლავ წამოვდგები რკინის მკერდით
და გავწევ ჭაპანს,
როგორც სჩვეოდათ ჩვენს წინაპართ,
ჩვენს მამა-პაპას.

რაჭავ, არწივთა საბუდარი ხარ

რაჭავ, არწივთა საბუდარი ხარ,
ამაღლებული მზიურ ფერებად.
მაგრამ ვაი, რომ მშობელს ხანდახან
ღვიძლი შვილი ვერ მოგეფერება.
დაგეშრიტება თვალნი ნათელი,
მთებს ძაძისფერი ნისლი დაქარგავს,
რატომ მოგტაცა ქარმა მართვენი
დიდ ქალაქებში გადასაკარგად?!
„რა უბედური სენი შეჰყრიათ“, –
მოხუცთ აწუხებთ შვილებზე სევდა,
მათ მოლოდინში თვლემენ თვალღია
გამოყრუებულ ეზოს ჭიშკრებთან...
და სულში მაინც უღვივებთ იმედს
შორს მთები თეთრად მოქათქათენი,
რომ ბედი ერთხელ კვლავ გაუღიმებთ
და მონახავენ ბუდეს მართვენი.

ᲒᲘᲒᲘ ᲮᲝᲠᲜᲐᲣᲚᲘ

სვანი

ვუძღვნი ჩემი განუყრელი სვანი მეგობრის უჩა ცინდელიანის ხსოვნას

ბექმურზა, დათვისაგან სასიკვდილოდ დაბეგვილი, ტანგაუხდელად იწვა ხის ტახტზე. თვალდახუჭული, არც კვნესოდა, არც გმინავდა, უხმოდ იტანდა ჩალეწილი მკერდისაგან გამოწვეულ ჯოჯოხეთურ ტკივილს. აბურბურებული ტკივილი გულის გამაწვრილებლად იკვროდა და სულის ქცევას უშლიდა. საწოლთან ჩიკა სკამზე ეჯდა თავისი მეუღლე, დადი, რომელიც ამაოდ ელოდა პასუხს უკვე მერამდენედ დასმულ შეკითხვაზე – ხომ არაფერი გინდაო? არაქათიც გამოცლილი ჰქონდა ბექმურზას, წინა დღიდან მოყოლებული, მთელი ღამე ჯოხზე დაკიდებული, მოჩაჩუნობდა, ძლივს ჩამოაღწია სოფლამდე. მაშინღა

შენიშნეს ბიძაშვილებმა. მიეგებნენ, მხარში შეუსხდნენ, სახლში შემოიყვანეს და ტახტზე დააწვინეს. არც იმათ პასუხობდა შეკითხვებზე, მხოლოდ ეს უთხრა – დათვმა დამბეგვაო. მერე მიასწავლა მან, სად იყო დათვი ჩამოთრეული და გამოშიგნული, წაეღოთ მარხილი და ჩამოეტანათ.

ძლიერი კაცი იყო ბექმურზა, გასაოცარი მშრომელი, გათენებიდან დაღამებამდე დაუსვენებლად შეეძლო მუშაობა და დაღლას მაინც არ ახსენებდა. ეს რომ არა, იქვე მოკვდებოდა, სადაც დათვმა დაბეგვა. გამოცდილი მონადირე იყო ბექმურზა, უშიშარი, აზრიანი, მონადირული ადათ-წესების დამცველი. სხვები რაკი ამ წესებს არაფრად დაგიდევდნენ, მათთან ერთად ნადირობას არ თანხმდებოდა, მარტოდ ერჩივნა. სხვადაც ვერ იტანდა, აღიზიანებდა, ნადირობის მსურველი კაცი ათი დღით ადრე ცოლთან წოლას რომ ვერა თმობდა, ტანს არ იბანდა და ტანსაცმელს არ იცვლიდა. პაპიროსს ეწეოდა და საშუალებას აძლევდა მთის ნიავს, დეპეშასავით სწრაფად მიეტანა ნადირისათვის საფრთხის ამბავი. საჯიხვეებში ასული, არასოდეს ბრუნდებოდა ხელცარიელი, არც სადათვეებში დარჩებოდა ისე, რომ საზამთროდ არ ჩაემარილებინა დათვის მსუქანი ხორცი. იცოდა, როგორი საშიშია საჯიხვეებიც და სადათვეებიც, მაგრამ ბოლოს მაინც მოტყუვდა, მონადირულმა ჟინმა შეაცდინა, ენანებოდა მძიმედ დაჭრილი დათვის დაკარგვა, ფრთხილად მივყვებიო, გადაწყვიტა, მაგრამ დათვმა მაინც აჯობა თავისი ვერაგობით: თავის კვალზე ჩაუსაფრდა, შორიდან შემოტრიალებული, როგორც სჩვევია, ერთი ნახტომით დაიჭირა ისე, რომ ბექმურზამ თოფის ხმარება ვეღარ მოასწრო, უფრო სწორად, გრძელი ბერდენკა ვეღარ გაიმართა მათ შუა. ძლიერი ტორები აქვს დათვს, ერთი დარტყმით ხერხემალს უმტვრევს ხარს. თუნდაც ხარივით კაცისათვის მკერდის ჩალეწვა არ გაუჭირდებოდა.

ბექმურზას ბოლო სურვილი იყო, როგორმე ცოცხალი დახვედროდა თავის საამაყო შვილს, შერგილს, რომელიც, სადაც არის, უნდა მოსულიყო სკოლიდან. განსაკუთრებით უყვარდა და ეამაყებოდა ბექმურზას, რაკიღა ყველაფრით მამას ემსგავსა: შრომაში დაუღალაობით, სწავლის დაუოკებელი ჟინითაც და დედ-მამის ერთგულებითაც. დილით სკოლისკენ გარბოდა სიხარულით, გაკვეთილების შემდეგ კი შინისკენ მორბოდა გაკვეთილების მოსამზადებლად და მუდმივად საქმეში გართული მამის მისახმარებლად. სიამაყით ამბობდა ხოლმე ბექმურზა – ახლა მშვიდად შემიძლია მოვკვდე, ოჯახში ჩემი შემცვლელი უკვე იმედიანადა დგასო. წვიმიან ან უქმე დღეებში, ანაც დღის ბოლოს, გადმოიღებდა ბექმურზა დავით გურამიშვილის „დავითიანს“ და უკითხავდა სმენადქცეულ შერგილს. ისწავლა კითხვა და ეხლა ის უკითხავდა მამას „ქართლის ჭირსა“ და „ქაცვია მწყემსს“. თითქმის ზეპირად იცოდნენ უკვე, მაგრამ არა ბეზრდებოდათ ბრძნული შეგონებების კითხვა. მეტი წიგნი არცა ჰქონდათ. უცებ კარი შემოჯახუნდა და გაოფლიანებული შემოვარდა შერგილი.

– ნელა, ბიჭო, ნუ ჩამოიღე კარი! – ჩვეულებრივ მიაძახა დედიმ. შერგილს უნდოდა, ჩვეულებრივ, ქურთუკგაუხდელად და ქუდმოუხდელად მისჯდომოდა საწერ მაგიდას, მაგრამ მოულოდნელად ტახტზე მწოლიარე რომ დაინახა მამა, შეცბა, ხმა ვერ ამოიღო.

– ჰო, შერგილ, შენ გელოდებოდი, მოდი ჩემთან. შერგილმა ჩანთა, ქურთუკი საწოლზე მიყარა და მამას შემცბარი გაუჩერდა ტახტთან.

– ჰა, შერგილ, ხო მიიღე ხუთიანები დღესაც?! ეგრე, ჩემო შვილო, ეგრე გააგრძელე სწავლა. ამაში შენ არავისი თქმა არა გჭირდება. შენ სწავლის გემო უკვე იცი. აქამდე არ დავფიქრებულვარ, ეხლა მომივიდა თავში: ეს დიდი ბრძენკაცი დავით გურამიშვილი მთლად მართალი არ არი, როცა ამბობს, სწავლის ძირი მწარე არისო. შენთვის რატოა მწარე. შენისთანებისთვის სწავლა სიხარულია. შენთვის სწავლის ძირიც ტკბილი არის და კენწეროში კიდე ორმაგად გატკბილდების. სწავლის ძირი მწარე იმათთვის არი, ვისაც სწავლა არ უყვარს, წიგნს ძალად აკითხებენ, შენ, შერგილ, ჩემი თხოვნა გახსოვდეს – სწავლა უნდა გააგრძელო, ნასწავლი კაცი უნდა გამოხვიდე. ჩვენს ძველებს სჯეროდათ, რომ ადამიანები სამ ჯიშზე გამოდიან: ვირის, ძაღლის და ღორის. ჩვენი შტო ვირის ჯიშზე ვართ გამოსულები – ძლიერები ვარ და ჯიუტები. როგორც ვირს შეუძლია აკიდებული მძიმე ბარგის ბოლომდე მიტანა, ჩვენც არჩეულ საქმეს ერთგულად ვაკეთებთ და ბოლომდე მიგვყავს. მე ძალიან გახარებული ვარ, შენ რო თავის საქმედ სწავლა აირჩიე. ვიცი, არ მოეშვები და ბოლომდე მიჰყვები, სტუდენტობამდე და პროფესორობამდე.

შენ რომ ჩვენ ჯიშზე ხარ გამოსული, ამაში ისაც მარწმუნებს, ბუნებითი „იარაღი“ ზუსტად ჩვენნაირი გაქვს, გამორჩეულად დიდი. ამას შეიძლებოდა მექალთანეობაც კი მოჰყოლოდა, მაგრამ არა! შენში ყველაფერს სწავლის სიყვარული გადასძლევს. განსაკუთრებით, ქალაქში რომ მოხვდები, მაშინ უნდა იყო ფრთხილად, შეგიჩნდებიან მეგობრები, ამხანაგები, დავლიოთო, გოგოებში გავიაროთო. უნდა ყველა მოიშორო თავიდან, თორემ დაგღუპავენ. ყველანაირი ასეთი სისულელე პაპიროზის წევიდან იწყება, პაპიროზი არ მოსწიო.

იცი, რა მინდა გითხრა? ჩვენი ნადირთა მწყემსი დალი ხო იტყუებს მონადირეებს ქარაფებში, ხარ-ჯიხვს აადევნებს და კლდეზე გადასჩეხავს, ეგრევეა ქალაქიც, ლამაზ ქალსა ჰგავს, ქალაქის მფარველი ანგელოზი ავხორცი დიაცია, მაცდური, შემპარავი, ქართლის დედა თბილისს რო გადმოჰყურებს, მთლად საქართველოს დედაა. ის სინდის-ნამუსისა და კაცთმოყვარეობის სიმბოლოა. ქალაქთან იმას საერთო არა აქვს. ქალაქს თუ არ ჩაეთრეინები და ჭკუას მოიხმარ, გამარჯვებული გამოხვალ ცხოვრებაში, თუ ჩაეთრეინები, დაიღუპები.

ერთი უნდა გთხოვო კიდე, სოფელი არ დაივიწყო, ცოლ-შვილი აქ უნდა ჩამოიყვანო ზაფხულობით. ამაზე კარგ ადგილას სად წაიყვან, დედას უნდა მიხედო, დას პელიდოს, უმცროს ძმას.

კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, უცებ თავი გვერდზე გადმოუვარდა და მოკვდა.

ზავთიანია სიკვდილი, თითქოს უჩინარია, ხალხი ლაღობს, იცინის, მხიარულობს და ამ დროს შევა რომელიმე ოჯახში და მწუხარება დაისადგურებს; ქალები ატირდებიან, აწიოკდებიან, კაცები აჩურჩულდებიან...

ადვილი წარმოსადგენია, რა დაემართებოდა გალაღებულ, მერცხალივით ცაში მონავარდე 11 წლის ბიჭს, რომელსაც მამის გარეშე ერთი დღე არ დაეღამებინა.

გული ისე მოეთუთქა, ისე ჩაუკვდა, როგორც მარტში კუდშემოქნეული ზამთარი მოულოდნელი ყინვით მოთუთქავს ხოლმე ახლად გაჩირთულ ტყესა და ხეხილს, ახლად გამოჟოჟინებულ ნახ ფოთლებს ისე გააშავებს, თითქოს ცეცხლის ალს მოუტუსიაო. დადუმებული, ენაჩავარდნილი შერგილი იჯდა და უაზროდ იცქირებოდა, არ იცოდა, რა გაეკეთებინა, რატომ გაეკეთებინა. რამდენიმე დღე ადროვა დადიმ, მერე ახლოს მიუჯდა და გონს მოყვანა დაუწყო:

– შვილო, შერგილ, მძიმე დანაკლისი გვარგუნა ბედმა, მაგრამ, რას ვიზამთ, უნდა გავუძლოთ, უნდა გადავიტანოთ, ცხოვრება უნდა გავაგრძელოთ. ეს არის ცხოვრების წესი. გახსოვს, რას გეუბნებოდა მამაშენი? მიხარია, ჩემ ადგილზე რო გტოვებ. ოჯახს შენ უნდა მიხედო, მაგრამ იმანაც ის დაგიბარა და მეც იმას გეტყვი, პირველ რიგში სწავლას უნდა მიხედო. ასე რომ ჩამოვყაროთ ყველამ ხელები, მაშ მე ძროხები აღარ უნდა მოვწველო? რძე არ უნდა შევდღვიბო? გადადი შენ კლასელებთან, ჰკითხე, გაკვეთილები რა აქვთ... გახსოვდეს, მამაშენის სული ეხლა ციდან დაგყურებს და ეცადე, ისე მოიქცე, იმის სულს ასიამოვნო.

დადის სიტყვებმა თითქოს გამოაფხიზლა შერგილი, განაახლა სწავლა, მაგრამ ეს უკვე სხვა შერგილი იყო – დინჯი, პირქუში, დაფიქრებული, საქმიანი.

***

მეორე წელს დაამთავრა შერგილმა ნაკრის ოთხწლედი და დედამ ჭუბერის საშუალო სკოლაში გადაიყვანა სწავლის გასაგრძელებლად, ბინაც იქვე შეურჩია ბიძაშვილებთან. შერგილი პირველ დღეს დარჩა მათთან. ბიძაშვილები მართლაც თან ჰყვებოდნენ, მაგრამ შერგილს არ შეეძლო უსაქმურად ჯდომა. გაკვეთილების მომზადების შემდეგ ჩვევა ჰქონდა, ან მამას უნდა მიხმარებოდა საქმეში, ან დედას. მეორე დღეს გაკვეთილების შემდეგ არჩვივით გადაირბინა ქედი, შინ მიუჯდა თავის საყვარელ მაგიდას და საღამოს ძროხები მოურეკა დედას. ამის შემდეგ ყოველთვის ასე გადარბოდა და გადმორბოდა წყალგამყოფ ქედზე. დაღლას არა გრძნობდა, პირიქით, სიამოვნებას ჰგვრიდა მუხლის მოსამაგრებელი ვარჯიში. სწავლასაც თანდათან უფრო სერიოზულად ეკიდებოდა და ისე მძაფრად ეწაფებოდა, როგორც არჩვი ეწაფება ნაჩვევ მჟავე წყალს. ცოდნის წყურვილმა შერგილი სკოლის ბიბლიოთეკაშიც შეიყვანა და ერთმანეთის მიყოლებით კითხულობდა წიგნებს. წლიდან წლამდე გრძნობდა, როგორ ემატებოდა ჯანი და თავში ცოდნა. ასე გალია სკოლის წლები და მეთერთმეტე კლასში ერთხმად გადაუწყვიტეს – ოქროს მედალი ალალი და უსაყვედურაოა. მიაღებინეს კიდეც. შერგილმა ოქროს მედალი თბილისში წაიღო და საბუთები უნივერსიტეტში შეიტანა ფილოლოგიის ფაკულტეტზე. იქ პატარა გასაუბრება და დაიწყო ნაოცნებარი ლექციები. ბედნიერი იყო შერგილი, რაკი გაეხსნა ცოდნის შეძენის უმაღლესი სამყაროს კარი. შესცქეროდა ჭაღარა პროფესორებს და თავი ზღაპარში ეგონა. ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფში იყო და ძირითად საგანს პროფესორი ილია აბულაძე უკითხავდა. პირველ საათზე თეორიას კითხულობდა, მეორეზე კი გახსნიდა თავის დიდ პორტფელს, ჰაგიოგრაფიული ძეგლების სქელ ტომეულს რიგრიგობით აკითხებდა სტუდენტებს და უხსნიდა სიტყვების მნიშვნელობასა და შინაარსს.

ადამიანების სიცოცხლეში სამიოდე პერიოდია ზეაღმატებული სიხარულისა. მათ შორის ერთ-ერთი სტუდენტად გახდომაა. გასტუდენტება ყველაზე მეტად გამორჩეულია. ახალგაზრდები, რომლებიც სწავლის ჟინით არიან შეპყრობილნი, სკოლაში ისე რომ დაიარებიან, როგორც ღრმად მორწმუნენი ეკლესიაში, რა თქმა უნდა, ისე ოცნებობენ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვაზე, როგორც მიუღწეველ და აუხდენელ მიზანზე. ოცნების ახდენას საეჭვოდ ხდის სიდუხჭირე და „უპატრონობა“. და, რაც უფრო დიდია შიში მიზნის ვერმიღწევისა, ახალგაზრდები მით უფრო შეუპოვრები ხდებიან. შერგილის მსგავსი სწავლამოწყურებული გოგო-ბიჭები კანტიკუნტად ჩნდებიან საქართველოს კუთხეებში. განგების ძალით ქართული მიწიდან ამოიზრდებიან ქართული ჯიშ-ჯილაგის „სახარენი“, რომლებსაც ასევე განგების ძალით ჩაედგმის ეროვნული სული. ასეთებს დაბრკოლებას ვერავინ შეუქმნის და არც არავინ დაჩაგრავს. აი, ასეთი გამარჯვებული ახალგაზრდები იყვნენ შერგილის ჯგუფში, ჯერ რომ არც კი ეჯერებოდათ თავისი სტუდენტობა. ლექციებს შუა შესვენებები მოზღვავებული გრძნობების სიცილ-კისკისში გადმოღვრის საშუალება იყო. შეჰხაროდნენ ერთმანეთს, კისკისებდნენ ყველაფერზე, იცინოდნენ, თუ სასაცილოს ვინმე რამეს იტყოდა, იმაზე ხომ წიოდნენ და კიოდნენ. სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებს – კახელებს, რაჭველებს, მეგრელებს, ხევსურებს და მათზე შექმნილ ანეკდოტებს აყვედრიდნენ. განსაკუთრებით მიზანში ჰყავდათ ამოღებული შერგილი და სვანურ ანეკდოტებს უყვებოდნენ, ანეკდოტებს, რომლებიც შერგილს არასოდეს მოესმინა და თავადაც გულიანად ხარხარებდა.

უნივერსიტეტის პირველკურსელებს ახარებდათ პირველ რიგში ის, რომ პირველი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები იყვნენ. უნივერსიტეტში ისე შედიოდნენ, როგორც მორწმუნენი შედიან ტაძარში, ისე შესცქეროდნენ დიდპორტფელიან, შლაპიან, თეთრ თმაწვერიან პროფესორებს აუდიტორიაში, როგორც წმინდანებს. აჟრიამულებულნი, უცებ გაისუსებოდნენ და გაისუსნენ კიდეც, როცა კარში მათი ყველაზე საყვარელი ლექტორი, ილია აბულაძე გამოჩნდა.

სკოლიდან გამოყოლილი ჩვევის თანახმად, მერხებზე ჩამომსხდარნი, ფეხზე წამოდგომით შეხვდნენ. დასხედითო კი არა, დაბრძანდითო, უთხრა ბატონმა ილიამ, თავისი დიდი პორტფელიდან წიგნი ამოიღო, პირველი მერხის პირველ გოგოს წინ დაუდო და – მაყვალა, არა, თქვენი სახელი? ხომ არ მეშლება? – არა, ბატონო ილია. – აბა გადაშალე წიგნი და „შუშანიკის წამება“ წავიკითხოთ.

გაგრძელებებით აკითხებდა ბატონი ილია სტუდენტებს და თან ყოველი სიტყვისა და წინადადების განმარტებას აძლევდა. ტექსტი ნუსხა-ხუცურით იყო დაბეჭდილი. ერთი კვირის წინ ნუსხა-ხუცური ანბანი ჩამოუწერა დაფაზე, მერე თითო გვერდი ანაბეჭდებიც დაურიგა და საშინაო დავალებად მისცა ანბანის შესწავლა, ტექსტის კითხვა. აღფრთოვანებული იყო ბატონი ილია სტუდენტების სიბეჯითით. ჯერი შერგილზე მიდგა. მას იმ ადგილის წაკითხვა მოუწია, სადაც მოთხრობილია ვარსქენის მიერ ნაცემი შუშანიკის შესახებ: „მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თვალთა

შენთა შთაცვეულ არს და სალბუნი და წამალი დაგადვა, რაითა ჰე ღამე თუ განიკურნო“. ბატონმა ილიამ „ჰე ღამე“ განმარტა: რათა ამაღამ განიკურნოო. შერგილი შეწრიალდა, რაღაცა აწუხებდა, შეატყო ბატონმა ილიამ:

– რაო, სვანო? რაღაცის თქმა გინდა.

– ბატონო ილია, დიდ ბოდიშს გიხდით, მაგრამ ეხლა მომივიდა აზრად: რანაირად შეიძლებოდა ბრძენ კაცს სასიკვდილოდ ნაცემი შუშანიკისათვის ეთქვა: „რათა ამაღამ განიკურნოო“. ერთ ღამეში როგორ განიკურნებოდა?

– აბა თქვენ რას ფიქრობთ?

– იმას, ბატონო ილია, რომ... – ჰე ღამე, ღამეს არ უნდა ნიშნავდეს.

– ბავშვებო! მოწმენი ვხდებით ახალი სვანური ანეკდოტის დაბადებისა? – შესძახა თბილისელმა გოგომ – ლუიზამ. შერგილმა წყენით გადახედა:

– არა მჯერა და რა ვქნა, არა ვთქვა?

– მოიცათ, მოიცათ, ახალგაზრდებო! – შეუძახა აკისკისებულ გოგო-ბიჭებს ბატონმა ილიამ, აქამდე არ დავფიქრებულვარ, არც სხვები, აქ მართლაც რაღაც შეუსაბამობაა, მაგრამ ასე ზეპირად ამას ვერ გადავწყვეტთ, მეცნიერულად უნდა დასაბუთება. აი, ახლა რას გეტყვი, შერგილ: უნდა გადაიკითხო სხვა ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები და ამოიწერო წინადადებები. სადაც „ჰე ღამე“ შეგხვდება, უნდა დაუკვირდე, რა შინაარსით არის ნახმარი.

ახლა ასე მოვიქცეთ, ჩემო შერგილ, აიღე სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული ჰაგიოგრაფიული ტექსტების დიდი კრებული, თქვენს სტუდენტთა ბიბლიოთეკაში არის, წაიკითხე ტექსტები და, სადაც შეგვხდება „ჰე ღამე“, წინადადებიანად ამოიწერე. დავაკვირდეთ, რა მნიშვნელობით არის ნახმარი.

ესდა უნდოდა შერგილს? ისედაც გვიანობამდე იჯდა ხოლმე სამკითხველოში და ახლა სულ ბოლომდე, 22 საათამდე არ ეშვებოდა, სანამ ქალბატონი მარგო არ გასძახებდა: შერგილ, მორჩი მუშაობას, ჩამაბარე წიგნებიო. ასე იმუშავა შერგილმა ილია აბულაძის მეორე ლექციამდე და, როცა მასალა უჩვენა, შერგილის სიმართლეში დარწმუნებულმა ბატონმა ილიამ აღტაცებით შესძახა: ყოჩაღ, სვანო, ამდენ მეცნიერს გვაჯობე, ახლა ამ მასალიდან გამოკვლევა უნდა ჩამოვაყალიბოთო. და ასე ბატონმა ილიამ ისეთი საკურსო დააწერინა შერგილს, რომ თითქმის მთელი უნივერსიტეტი ალაპარაკდა: პირველკურსელმა სვანმა პროფესორების მიერ დაშვებული შეცდომა გამოიკვლიაო. ზოგიერთი პატივმოყვარე დიდი მეცნიერი ასეთ ამბავს იწყებდა: „თავხედ“ სტუდენტს ამოიჩემებდა, შეიძულებდა, მოიშორებდა, ბატონმა ილიამ კი, როგორც კეთილსინდისიერ დიდ მეცნიერებს სჩვევიათ, შერგილის წვრთნა სათავისოდ დაიწყო, კიდევ და კიდევ აძლევდა გამოსაძიებელ საკითხებს და შერგილიც შესანიშნავად ართმევდა თავს. მისმა ავტორიტეტმა თანაკურსელებშიც იმატა. ისინი მას ისე კი აღარ შესციცინებდნენ, როგორც საანეკდოტო სვანს, არამედ, როგორც ჭკუა-გონებით გამორჩეულ მომავალ პროფესორს, შესვენების დროს გასაქანს არ აძლევდნენ, ეღიჯღიჯებოდნენ, შერგილს კი კისერი უკანა მერხისკენ სტყდებოდა, სადაც მერხში თავჩარგული მზექალა იჯდა. ერთხელაც ვეღარ მოითმინა, ჯიქურ მივიდა, გვერდით მიუჯდა და შეუმღერა: „წავიდეთ მთაში, ქალაუ, მზექალავ...“

– „უჩვენოდ ყოფნას ღრუბლებიც დარდობენ“ – მოულოდნელად ხმა შეუწყო მზექალამ.

– ვაჰ, შენ გენაცვალე! – შესძახა შერგილმა, – აკი ხევსურებმა სიმღერა არ იციანო.

– მე ახმეტელი ხევსური ვარ, მაა... მახათელაშვილის გუნდში ვმღეროდი, უბრალო ვინმე არ გეგონო.

– მაინც რას კითხულობ ეგეთ საინტერესოს, რომ მუდმივად ესე ჩასცქერი რაღაცას. შეიძლება, ჩვენც წაგვაკითხო?

– არ შეიძლება, საიდუმლოა.

– არ შეიძლება, მე გამანდო ეგ საიდუმლო?

მზექალამ შემოხედა, თვალებში მიაჩერდა და დინჯად უთხრა:

– შენ გენდობი. წიგნს შემოხვეული გაზეთი შემოაცალა და დაანახა „გველის პერანგი! – გრიგოლ რობაქიძე. მერე ათხოვა კიდეც ორი დღით და აქედან უცებ ჩაეყარა საფუძველი შერგილისა და მზექალას მეგობრობასა და სიყვარულსაც. იმ დღიდან მოყოლებული, მზექალა და შერგილი მუდმივად ერთად ისხდნენ, ერთად დადიოდნენ, არა მალავდნენ და არც არავის უკვირდა, რომ ისინი შეყვარებულები იყვნენ და გადაწყვეტილი ჰქონდათ, ქორწილი ხუთი წლის შემდეგ, უმაღლესის დამთავრებისთანავე გადაეხადათ. სტუდენტობის წლები უცებ გადის და ამ შემთხვევაშიც უცებ გაიარა. ბატონმა ილიამ დამთავრებისთანავე თავისთან წაიყვანა შერგილი ხელნაწერთა ინსტიტუტში და მზექალა ქისტაურის ადგილიც იქვე მოინიშნა.

ქორწილი ახმეტაში გადაიხადეს მზექალას მშობლებმა. მისი მამა ახმეტის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე იყო და ქორწილი მართლაც დიდებული ჰქონდათ. სვანეთიდან ჩამოსულმა ვაჟის მაყრებმა სვანური ომახიანი სიმღერებით ასწიეს ჭერი. ქალის მაყრები კახური სიმღერებითა და ფანდურით არ უდებდნენ ტოლს. თბილისიდანაც ბევრი ჰყავდათ დაპატიჟებული, ბატონი ილიას მეთაურობითა და სტუდენტობის ამხანაგებით. შერგილს უნდოდა და მზექალაც თანახმა იყო, საქორწინო მოგზაურობით სვანეთში წასულიყვნენ, მაგრამ არა ქნეს მზექალას მშობლებმა, ნათესავებმა: როგორო, აუცილებლად მოსკოვში უნდა წახვიდეთო. მაშინ ერთადერთი და საამაყო წასასვლელი მოსკოვი იყო. ბილეთებიც წინასწარ ჰქონდათ შეკვეთილი თვითმფრინავზე. დიდი ამალა გამოჰყვა თან ნეფე-პატარძალს, შამპანურებით გააცილეს და გააფრინეს.

ჩაფრინდნენ მოსკოვში, წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულნი, სასტუმროების ძებნას ნუ დაიწყებთ, სულ ერთია, ნომრებს ვერ იშოვით და, რომც იყოს კიდეც, თქვენ არ შეგიშვებენო. კერძო ნომრებიც ჰქონდათ, გადაწყვიტეს, აეროპორტიდანვე დაერეკათ იმ ნომრებზე. პირველივე ნომერზე უპასუხა ქალმა. ვინა ხართო, ჰკითხა, ქართველები ვართო, უპასუხეს. მაშინ ეხლავე დასხედით ტაქსიზე და სასწრაფოდ მოდითო. ვინც მყავდნენ, აი ეს წუთია გავისტუმრე და ბარემ თქვენ ჩაგასახლებთო. შერგილი და მზექალა გახარებულები გამოცვივდნენ, აიყვანეს ტაქსი და სადღაც კუნცევოში გაემგზავრნენ მიცემულ მისამართზე. ბინა ერთოთახიანი აღმოჩნდა, ქალიც – ძალზე სიმპათიური. უთხრა: მე მხოლოდ ქართველებს ვაყენებ ბინაში, აი, ნახეთ, როგორი დაკრიალებული ჩამაბარეს,

მაცივარში რამდენი რამე დატოვეს. რუსებსა და ზოგიერთ სხვა ხალხსაც ბინაში არ ვუშვებ, საღორეს დაამსგავსებენ, მაცივრის მეტს არაფერს ასუფთავებენო. დაემშვიდობა და წავიდა. შერგილი და მზექალა ძლივს მარტო დარჩნენ, დაღლილები იყვნენ და იმ დღეს ქალაქში გასვლას არ ფიქრობდნენ. და ეს სწორი გადაწყვეტილებაც იყო.

***

მესამე დღეს გააღეს კარი და გამოვიდნენ ქალაქში. პირდაპირ კრემლის დასათვალიერებლად წავიდნენ. ჭკვიანი ხალხისგან ჰქონდათ ნათქვამი, მოსკოვში კრემლის მეტი სანახავი არც არაფერიაო. არც მაღაზიებში აპირებდნენ სიარულს. წითელ მოედანთან ცენტრალური დიდი მაღაზიაა, იქ შედით, იქ იტრიალეთ, იქ უფრო რამეს იყიდით, სხვაგან სიარული არ დაგჭირდებათო. ის დღე კრემლის გარედან და შიგნიდან დათვალიერებას მოანდომეს, მერე, დაღლილ-დამშეულები, იქვე ცენტრალურ მოედანზე უზარმაზარ სასადილო „მასკვაში“ შევიდნენ. მზექალა გათავისუფლებულ მაგიდასთან დაჯდა, შერგილმა უთხრა, მე მოგემსახურებიო. სუფთად რუსული საჭმელები აიღეს – ბორშჩი და პელმენები. ჭამდნენ და თან ერთმანეთს ეხუმრებოდნენ.

– ქართველები ხართ? – შემოესმათ გვერდზე მაგიდიდან ქართულად, – რა კარგები ხართ, თქვენ გენაცვალეთ. ბინა იშოვეთ?

– კი, კერძო ბინაში დავბინავდით, – უპასუხა შერგილმა.

ლამაზი გოგო იყო, 3-4 წლის ბავშვი ეჯდა გვერდზე და იმას აჭმევდა.

– არა, თუ არ გექნებოდათ ბინა, ჩემთან წაგიყვანდით, უფასოდ დაგაყენებდით. საქორწინო მოგზაურობით ხომ არ ხართ ჩამოსულები?

– დიახ, დიახ, შეგვამჩნიეთ?

– კი, გეტყობათ, მომეცით ბლოკნოტი, ჩემს მისამართს ჩაგიწერთ, შემდეგში თუ ჩამოხვალთ, უსათუოდ ჩემთან მოდით.

შერგილმა უბის ჯიბიდან ამოიღო ბლოკნოტი, ჩააწერინა, ბლოკნოტი გამოართვა და ისე ჩაიდო ჯიბეში, არც ჩაუხედავს. მადლობა გადაუხადეს და ჭამას შეუდგნენ.

ასე ათვალიერებდნენ მოსკოვის ცენტრს, ასე შედიოდნენ ცენტრალურ მაღაზიაში და ისევ თავიანთ ბინაში ბრუნდებოდნენ. რადგან ყველგან ხღვა ხალხი იყო, მთელი საბჭოთა კავშირიდან აქ, ამ ერთადერთ ქალაქში ჩამოდიოდნენ სავაჭროდა და რაიმეს სანახავად. აი, ამ ბრბოში გარევა და აქეთ-იქით წყვეტება არ აინტერესებდათ, რადგან ჩაცმა-დახურვაზე ისედაც არ გიჟდებოდნენ. მზექალა თუ რამეს ყიდულობდა, თავისთვის იმდენს არაფერს, შერგილის დედისა და დისთვის იყიდა საჩუქრები და მორჩა. რაკი აღარაფერი იყო საინტერესო, რაკი სვანეთისკენ ჩქარობდა შერგილი, მოსკოვი მალევე დატოვეს. მერე ისევ თბილისი, სამსახური ხელნაწერთა ინსტიტუტში და დაიწყეს ახლებურად საინტერესო ცხოვრება.

შერგილს რაკი საკანდიდატო დისერტაციად ჩაუთვალეს სადიპლომოდ მომზადებული ნაშრომი, ბატონმა ილიამ ახლა უფრო სერიოზული საქმე ჩააბარა – ბიბლიის ხელნაწერების შესწავლა, შედარება, ძირითადი ტექსტის დადგენა და სხვა მასთან დაკავშირებული სამუშაოები. რაკი დაინახა ბატონმა ილიამ, რომ შერგილი კიდევ უფრო უმატებდა შრომას, გვიან შემოდგომაზე, ნოემბერში, გადაწყვიტა, მივლინებით გაეგზავნა მოსკოვში ლაზარევის არქივში სამუშაოდ, უთხრა: ეს არქივი თითქმის არავინ იცის, მეც ერთხელ ვიყავი მხოლოდ, მინდა, ეს საქმე შენ მოგანდო და იქაური ქართული ხელნაწერები შევისწავლოთო, ისიც დააყოლა, მოსკოვში ახლა ყინვა იქნება, მაგრამ სვანს ყინვა ვერ შეგაშინებსო.

გაუფორმეს მივლინება შერგილს და ისიც გადაფრინდა. რაკი ბატონი ილიასაგან იცოდა, ეს არქივი სადღაც ცენტრში იყო, არჩია, იქვე დაბინავებულიყო სასტუმრო „რასიაში“.

ასეც მოიქცა, გადაფრინდა მოსკოვში და თავისი სამივლინებო ბარათით პირდაპირ სასტუმრო „რასიაში“ მივიდა. რუსის ქალმა ბარათი უკან გადმოუგდო და მრისხანედ გაუმეორა, ჩვენ ეგეთი ქაღალდები არ გვჭირდებაო. აბა როგორი ქაღალდები გჭირდებათო? – კითხვა შეუბრუნა შერგილმა.

– Мужчина, убирайся! – უფრო მრისხანედ შემოუტია რუსის დიაცმა.

ბრაზისაგან აცახცახებულ შერგილს უხეშადვე უნდოდა მიემართა, რომ მკლავზე ვიღაცამ წაავლო ხელი. მოჰხედა, მილიციელი იყო, დაცვა.

– ახალგაზრდავ, დაანებეთ თავი, ხომ ხედავთ უზრდელია, – შერგილი გვერდზე გაიყვანა და უთხრა: ნომერს სასტუმროებში ტყუილად ეძებთ, ერთადერთი „ვედეენხაზე“ შეიძლება ჰქონდეთ, იქ წადით.

შერგილს მეტი რა გზა ჰქონდა, მეტროში ჩავიდა და „ვედეენხაზე“ გლეხურ სასტუმროს მიაკითხა. ადგილი არ გვაქვსო, იქაც გამოუცხადა დიაცმა.

რაკი მივლინების ბარათმა არ უშველა, იმ კერძო ბინის პატრონ ქალს, მარია სერგეევნას დაურეკა, ისევ თქვენ რამე უნდა მიშველოთ, უბინაოდ ვარ დარჩენილიო.

– ორი ღამე სადმე გაათიეთ, ჩემი ბინა ზეგ დილით გათავისუფლდება და ისევ 11 საათისთვის მობრძანდითო.

შერგილმა სასტუმროს დიაცს შესჩივლა, რა ვქნა ეხლა, ორი ღამე სად გავათიოო.

– თუ ყინვა არ გაშინებთ, ერთ ნომერში მინაა ჩამსხვრეული, იქნებ იქ დაიძინოთო.

– გარეთ ყოფნას ხომ მაინც აჯობებსო, – უპასუხა შერგილმა და სთხოვა, მაჩვენეთო.

ქალი გაუძღვა, კარი გააღო, ჩამსხვრეულ ფანჯარაში ბალიში შეტენა და სხვა საწოლებიდანაც გადმოუღო ადიალები, მაგრამ იმ ღამეს კინაღამ გაიყინა. დილით ადრე გამოვიდა და ქალს დაუბარა, ჩემოდანს დავტოვებო. შერგილმა თავისი ჩემოდანი საწოლის ქვეშ შეაცურა და ქალს უთხრა, საღამოს მოვალ, ეხლა უნდა ლაზარევის არქივი მოვძებნო და მივლინება წარვადგინოო.

– წადი, წადი, გაუღიმა რუსის დიაცმა, – ვნახოთ, საღამოს როცა მოხვალ, შევეცდები, სიცივეს არ მოგაკვლევინოთ.

შერგილმა იოლად მოძებნა ლაზარევის არქივი, მოიკითხა სერგეი არუთინოვიჩიც, გაეცნო, ილია აბულაძის მოკითხვაც გადასცა და მივლინების ბარათიც წარუდგინა. ეს არქივი მე-19 საუკუნეში იყო დაარსებული მდიდარი სომეხი კაცის მიერ, ქართულ და სომხურ ხელნაწერებს

ყიდულობდა თურმე კერძო პირებისგან და მდიდარი საარქივო მასალა შეაგროვა. სერგეი არუთინოვიჩი კი ეხლა ერთ-ერთი განყოფილების უფროსი იყო. მან რომ გაიგო, თბილისიდან იყო სტუმარი, ხელები აღაპყრო და შესძახა: „ნუთუ გაახსენდათ თბილისში, რომ ამდენ ქართულ ხელნაწერს მიხედვა უნდა“. მოიკითხა ბატონი ილიაც – დიდი მეცნიერია, სომხურ-ქართულ ურთიერთობებში ბევრი აქვს გაკეთებული, ეხლა თქვენ მითხარით, ახალგაზრდავ, რით შემიძლია დაგეხმაროთ და მე ყველაფერს გავაკეთებო. შერგილმაც აუხსნა: მინდა, ქართული ხელნაწერების სია შევადგინო და ბიბლიის ხელნაწერების, ზოგიერთის მაინც, ასლები გადამიღოთო. მოხუცმა სომეხმა დიდი სიყვარულით შეიყვანა შერგილი საცავში, უჩვენებდა ხელნაწერებს და მოკლე ისტორიებსაც აცნობდა. შერგილმა მაშინვე აირჩია რამდენიმე მათგანი, დარბაზში გამოატანინა და ინტერესით შეუდგა მუშაობას. გიყვარდეს, გათბობა კი აქაც უმაღლესად იყო.

გვიანობამდე იმუშავა და გვიან მივიდა „ვედეენხაზე“. ხედავს, იმ რუსის დიაცს იქვე მაგიდასთან უზის ლამაზი შავგვრემანი კაცი და ჩაის სვამენ, ნამცხვრები აქვთ დახვავებული.

– ეჰ, ახალგაზრდავ, სამწუხაროდ, გაყინულ ოთახში მოგიწევს დაძინება, აი, ჩემი მეგობარი ქართველი ჩამოვიდა და, რას ვიზამ, ამაღამ ეს უნდა გავათბო. ისე ურცხვად, ისე ამაყად ამბობდა ამას რუსის დიაცი, მის მაგივრად შერგილს შერცხვა. ვანო კი (მართლა ვანო ერქვა თუ დაცინვით ეძახდა საყვარელი) ნაზად იღიმებოდა და ოქროს კბილს აელვებდა. მოძებნა ბლოკნოტში უცნობი ქალის მისამართი. სამწუხაროდ, ტელეფონი არ ეწერა. გადაწყვიტა, წასულიყო და მისამართით მოეძებნა. იქამდე მეტრო „ბელიაევო“ მიდიოდა, მაგრამ, სად, არ იცოდა, მეტროს გადასასვლელები რთული იყო და ძლივს იგებდა გზა-კვალს. ამოვიდა სადღაც ტრიალ მინდორში, შორს მრავალსართულიანი სახლები ჩანდა, შორიშორს მიმოფანტული. გამვლელებს, სიცივისაგან შეწუხებულნი რომ მირბი-მორბოდნენ, ეკითხებოდა მისამართს, სახლი 4 სად იქნება, ვერ მიმასწავლითო? ზოგი სულ არ პასუხობდა, ზოგი ეუბნებოდა, აი, ის სახლი უნდა იყოს, მგონიო. წავიდოდა, ივლიდა, ივლიდა, სხვა ნომერი აღმოჩნდებოდა. იქიდან ჰკითხავდა ვიღაცას, ისინი სხვა სახლისკენ გაიშვერდნენ ხელს, მგონი, ის უნდა იყოსო. არც ის აღმოჩნდებოდა. თანაც რა მანძილებია. ასე წვალებ-წვალებით როგორღაც გვიან მიაკვლია. სამსართულიანი ადრე აშენებული უბრალო სახლი აღმოჩნდა. ბოლოს ვინც ზუსტი მისამართი ასწავლა, იმან ისიც დააყოლა, მშენებელი მუშებისთვის სიჩქარ-მაჩქარად აშენებული სახლიაო. იმან გვარიც ჰკითხა, რა გვარს ეძებო და, როცა უთხრა, იმან დააყოლა: აა, კოლია ანდრეევიჩის მეუღლეა, მეორე სართულზე ცხოვრობსო. მივიდა შერგილი მეორე სართულზე. ზარი ზედ კიბის თავზე იყო. დარეკა. კარი ვიღაც თეთრთმიანმა, ჩამრგვალებულმა, მოძრავმა კაცმა გაუღო.

– ვინ გნებავთ? – შეეკითხა.

– მარიკა კოლხიდაშვილი...

– აა, მარიკა აკაკიევნა! – გასძახა კაცმა იქით, – თქვენთან არიან.

შერგილმაც მიიხედა და ის ლამაზი ახალგაზრდა ქალი დაინახა. ის კი გაუნძრევლად იდგა, მერე უცებ გაიღიმა, გამოქანდა:

– აა, სოსო, ეს შენა ხარ? – კისერზე მოეხვია, აკოცა, მერე იმ ჩამრგვალებულ კაცს მიუბრუნდა და უთხრა, ქუთაისიდან არის ჩემი ნათესავი, წამოდი, წამოდი, შევიდეთო.

შევიდნენ. კარი მოხურა და უთხრა:

– ბოდიშს გიხდით, ვერ გიცანით, ვინ ბრძანდებით? თითქოს მეცნობით და ვერ გიხსენებთ.

– მე ისა ვარ, გახსოვთ, წარსულ ზაფხულს „მასკვა“ სასადილოში რომ შევხვდით, მისამართი რომ ჩამიწერეთ.

– აა, – გაიცინა მარიკამ, – გამახსენდა, შენი სახელი შერგილი, არა? სვანი. სოსო ისე დაგიძახე, რაც პირზე მომადგა. ჩემს მეზობელს, აი, ამ ხნიერ კაცს, დავალებული აქვს ჩემი ქმრისგან, მიდარაჯოს. მაგას ვერ მივცემდი საბაბს, რომ უცხო კაცი მოვიდა ჩემთან. გაიხადეთ, გაიხადეთ, აი, აქ დაკიდეთ. ბათინკებიც გაიხადეთ და ამ ფლოსტებში წაყავით ფეხი. ჩვენთან ძალიან თბილა. მარიკა ჩურჩულით ლაპარაკობდა, იმავე ოთახში ბავშვს ეძინა და არ გავაღვიძოო. რაკი ბინა ერთოთახიანი იყო, ბავშვის საწოლი შირმით იყო გამოყოფილი.

ამ სახლში სულ ერთოთახიანი ბინები იყო თურმე მშენებელი მუშებისთვის.

– თბილა კი არა, ცხელა. ამ მოსკოვისას ვერ გაიგებს კაცი, შიგნით ცხელა, გარეთ ყინავს.

შერგილმა გაიხადა და მითითებულ დივანზე ჩამოჯდა. იქვე ჩამოჯდა მარიკაც.

– მაპატიეთ, ასე გვიან რომ გესტუმრეთ, ტელეფონიც არ მეწერა თქვენი, რომ გამეფრთხილებინეთ.

და შერგილმა მოკლედ უამბო თავისი მივლინებისა და თავს გადახდენილი ამბის შესახებ.

– არაფერია, არაფერი, – ცოტა არ იყოს, უხალისოდ წარმოთქვა მარიკამ, – ერთ ღამეს როგორმე გაგათევინებთ. მერე წამოდგა, ელექტროჩაიდანი ჩართო, მაცივრიდან ნამცხვრები გამოიღო და კედელთან მიდგმულ პატარა მაგიდასთან მიიპატიჟა. ცხელი ჩაი და რაღაც უცხო ნამცხვრები შერგილს ძალზე ესიამოვნა. მეორე ჭიქა დაუსხა. ნელ-ნელა სვამდნენ, საუბრობდნენ, დროც გადიოდა, კედელზე დაკიდებული საათი უკვე პირველს აჩვენებდა. შერგილი ამჩნევდა, რომ მარიკას ღელვა ემატებოდა, თითქოს ფერიც დაკარგული ჰქონდა. შერგილმა იფიქრა, ჩემი ეშინიაო და რაღაც გადაკრულად გამხნევება დაუწყო, საშიში კაცი არა ვარო.

– არა, მე მაგიტომ არა, შეიძლება ჩემი ქმარი მოვიდეს, დაახლოებით ამ დროს მოდის ხოლმე და არ ვიცი, რას იზამს, რას იტყვის.

– რას იტყვის, მე ხომ ნათესავი ვარ შენი. ვსხედვართ, ვსაუბრობთ, რა, არ შეიძლება?

– საქმე იმაშია, რომ ჩემს ქუთაისელ ნათესავებს ყველას იცნობს, მაგრამ მაინც მკაცრად ვყავარ გაფრთხილებული, ქართველები ყველას ბიძაშვილსა და მამიდაშვილს ეძახით, ოთახში ფეხი არავის შემოადგმევინოო.

– კი მაგრამ, ვინ არის ეგ შენი ქმარი, რა ეროვნებისაა, რუსია?

– რუსია და ჯანდაბა, ამათ ხომ ნათესაობა არ იციან, ჩვეულებრივი კაცი რომ იყოს, კიდევ როგორღაც ავიტანდი. კანონიერი ქურდია. მას შეუძლია, მეც და შენც დაგვხოცოს აი აქ, ერთ წამში და ხელსაც არავინ ახლებს,

მოჩვენებითად დაიჭერენ, გაასამართლებენ კიდეც, მერე საზღვარგარეთ გაისტუმრებენ ისევ თავისი ქურდები, რამდენიმე წლის შემდეგ ჩამოვა და ისევ ისე გააგრძელებს ამ უბნის მაყურებლის მოვალეობას, როგორც დღეს არის.

– კი მაგრამ, თუ ასე იყო საქმე, გეთქვა მაშინვე, როცა მოვედი, ეხლა სად წავიდე, მეტრო აღარ მუშაობს, ალბათ ტაქსიც არ იშოვება აქ. ამ ყინვაში ქუჩაში ნამდვილად მოვკვდები. აქ იქნება გადავრჩე. ერთი ეს იცოდე შენ, ეგრე იოლად არ მოვაკვლევინებ თავს, შეიძლება იარაღი წავართვა და მე მოვკლა, თუმცა რა, დამიჭერენ და ციხეში ქურდები მაინც მომკლავენ. ისე რომ, საშველი არ არის. ახლა მე აქედან არსად წამსვლელი არ ვარ. შენ დამშვიდდი, ხანდახან მოდისო, რომ თქვი, იქნებ სულ არ მოვიდეს.

– არა, დღეს ხუთშაბათია, ხუთშაბათობით მოდის. ჩემს ჯიბრზე მოვა.

ამ დროს ზარის ხმა გაისმა კარზე.

– ვაიმე, – შეჰკივლა ქალმა, მგონი მოვიდა, – და წამოდგა. წამოდგა შერგილიც შესახვედრად.

სანამ ამ კარს გააღებდა, გარეთა კარი უკვე გაიღო.

– კინოში ვიყავი ბოლო სეანსზე და შემაგვიანდა, – მოისმა ქალის კისკისი.

მარიკამ კარი მიხურა, ჩაკეტა და ლამის გონმიხდილი შემობრუნდა. ერთი-ორი ნაბიჯი გადმოდგა და შერგილს მიეხუტა მკერდზე.

– ოჰ, ღმერთო, რა გადავიტანე!

შერგილმაც შემოჰხვია მკლავები, დაიხარა და აკოცა.

– გული გაიმაგრე, ნუ გეშინია!

– ოჰ, ღმერთო, მეტი აღარ შემიძლია, – მივიდა და დივანზე გადაიქცა, – მოდი შერგილ, თორემ გავგიჟდები.

მივიდა შერგილიც, მიეძალა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

– რას შვრები?! – წამოიძახა ამ დროს მარიკამ და თან წამოიხედა – რა არის ეგ?

– ეს არის... ჯიში მაქვს ასეთი.

– მერე, შეიძლება?

– შეიძლება. ჩემი ცოლი ხომ ნახე შენ, არაფრით გამორჩეული არ არის.

– მაშინ ეგ საქმე დივანზე არ გამოვა, – ადიალა გაფინა იატაკზე და წამოწვა. მართლა, ვაი-ვაგლახით, მაგრამ საქმე მაინც გამოვიდა. მარიკა უხმოდ კიოდა, მერე დაფეთებული წამოვარდა, დროზე მოვწესრიგდეთო. მოწესრიგდნენ კიდევაც და ვითომ აქ არაფერიო, მაგიდას მიუსხდნენ.

– შენ რა გითხარი, შერგილ, შენ! – ჩურჩულით დაიწყო მარიკამ, – ჩემში ეს ქვენა გრძნობები მიძინებული იყო; მიძალებული ვარ წიგნებს, ჩემი შვილი, ცურვაზე დავდივარ და ასეთი რაღაცები. სექსი ჩემი ცხოვრებიდან, ჩემი ნარკომანი ქმრის გადამკიდე, თითქმის გამქრალი იყო. როგორც მითხრეს და მე ამაში დავრწმუნდი კიდეც, ჩემმა ქმარმა ვიღაც სხვა შეირთო. შეირთო თურმე თავისი განყოფილების გამგის და. ცეკაში არიან სამშენებლო განყოფილებაში. იმ განყოფილების გამგეს ცოლად ჰყავს ამ ჩვენი მეზობელი გოგოს და, ეხლა რომ მოვიდა ვითომ კინოდან. მე რომ თქვენ გეპატიჟებოდით ჩემს ბინაში, აი მაგ მეზობელი გოგოს იმედი მქონდა, იმის ბინაში დაგაყენებდით თქვენ, მაგ გოგოს ჩემთან დავაძინებდი. მარტო ცხოვრობს, ფული კი ჩვენ, მაგ გოგოსაც და მეც, აი, ამ კანონიერი ქურდებისგან იმდენი გვაქვს, არ ვიცით, სად წავიღოთ. თქვენ კაპიკს არ გადაგახდევინებდით.

მარიკამ ხელი ხელზე დაადო შერგილს და ნაზად შემოჰხედა. შერგილმა მარჯვენა იმის ხელს დაადო და მოუჭირა.

– გავშალო ადიალა? – შეეკითხა მარიკა.

– გაშალე, აბა რა! – უპასუხა შერგილმა.

მეორე ხელი უფრო მგრძნობიარე გამოდგა.

ისევ ისე სწრაფად წამოხტნენ, ფაციფუცით მოწესრიგდნენ და უწყინარი კრავებივით ჩამოსხდნენ თავ-თავის ადგილას.

– ეს ორი მოვპარეთ კოლიას, – გაიცინა შერგილმა, თან საათს შეხედა, – როგორ ზუსტად გამოვიდა. პირველი – პირველზე, მეორე – ორზე. საათების მიხედვით თუ ვიანგარიშებთ, კიდევ ოთხი ხელი დაგვრჩა.

– ღმერთო, ფეხი გაუხმეს იმ ჩემს ნარკომანს, ოღონდაც აქ უბედურება არ დატრიალდეს და მერე ალბათ აღარაფერი მომკლავს.

– რა მაკვირვებს, იცი? ამისთანა მშვენიერი გოგო რუსს როგორ გაჰყევი?

– არ ვიცი, რამ გამომაშტერა, რა მომივიდა, ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, რომ რუსს კი არა, საერთოდ სხვა ეროვნების კაცს გავყვებოდი ცოლად. ეს ოხერი ქუთაისში იყო ჩამოთრეული. ჩვენ იქ ვცხოვრობდით, ჩემი მშობლები და ჩემი ძმა ეხლაც იქ არიან. მე მე-11 კლასს ვამთავრებდი, გამალებით ვმეცადინეობდი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიურზე ვფიქრობდი ჩაბარებას და ჩემდა ჭირად ეს ოხერი გამოჩნდა – ჩემმა ძმამ მოიყვანა თავის ორ მეგობართან ერთად. მოსკოველი სტუმარიაო, გაგვაცნო, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორიო. თურმე კანონიერი ქურდი იყო და ჩემი ძმის ქუთაისელი მეგობრებიც კანონიერი ქურდები იყვნენ. ჩემი ძმა უნდა ეკურთხებინათ თურმე კანონიერ ქურდად. ჩვენ, როგორც ქართველების წესია, გადავირიეთ, ზღაპრული სუფრა გავუწყვეთ და ჩვენც იქვე სუფრასთან დაგვსხეს. „პროფესორი“ რუსი და ქართველი პოეტების ლექსებს ამბობდა ზეპირად, ყვებოდა რუსი მწერლების ქართველებთან ურთიერთობის ამბებს. მოვიხიბლე, მით უმეტეს, რომ გარეგნობა ჰქონდა მიმზიდველი, წარმოსადეგი ახალგაზრდა კაცი, ლამაზი სახის, ცხვირი ოდნავ კეხიანი, ქართულს მიმსგავსებული, ისეთი კი არა – პაჭუა, მონღოლური, ცისფერი თვალები, ამაზეც გვიამბო, ჩვენ, ნამდვილი რუსები, გადმოცემის თანახმად, სამხრეთიდან, კავკასიიდან ვართ იქ მოსულები – მესხები, მოსხები და მოსკოვი მათ დაუარსებიათო. მოკლედ, შემამჩნია, რომ მოვიხიბლე, მაგრამ მის ცოლობაზე მაინც არ ვფიქრობდი. ჩემს ძმასთან ერთად დამიმარტოხელა და ცოლობა მთხოვა, თანაც, ჩვენთან მოგაწყობ МГУ-ში, ფილოლოგიურზე, ფუფუნებაში გაცხოვრებ და საზღვარგარეთაც გატარებო. ავდექი და ჩუმად გამოვეცვი, გამოვიპარე. ჩემი მშობლები ისე განაწყენდნენ, რომ მკვდრად ჩამთვალეს. ნეტავ მართლა მაშინვე მოვმკვდარიყავი. ჩამოსვლიდან რამდენიმე დღეში სწავლის დაწყებამდე МГУ-ს სტუდბილეთი მომიტანა და წინ დამიდო, ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ხარ ჩარიცხულიო. სიხარულისგან გავგიჟდი, სულ იმის ფიქრი მტანჯავ-

და, როგორ უნდა ჩამებარებინა რუსული ლიტერატურა. ჰოდა, დავიწყე უნივერსიტეტში ლექციებზე სიარული, სანამ ბავშვი შემეძინებოდა. ეს ჩემი ქმარი კიდევ რაღაც საეჭვოდ მიდი-მოდიოდა, არა ჰგავდა პროფესორის ქცევას მისი უსაქმურობა. ჩემი ეჭვები მეზობლებს რომ გავუზიარე, მითხრეს, შენი ქმარი პროფესორი კი არა, კანონიერი ქურდია, „პროფესორი“ მისი ქურდული „კლიჩკააო“. თავზარი დამეცა, აღარც მისი უნივერსიტეტი მინდოდა და აღარც სიცოცხლე, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ეს ჩემი ტრაგედია თვითონ კოლიას ვუთხარი, მან კი მანუგეშა, არ გინდა და ნუ ისწავლი, უნივერსიტეტში ჯახირი არაფერში გჭირდება, ფულს, რამდენსაც გინდა, არ მოგაკლებ, შენ მარტო ეს ბავშვი გაზარდე და იცხოვრე შენს გემოზე, თავისუფლად, როგორც მოგესურვებაო. და იმის მერე, უკვე რამდენი წელია, ასე ვარ. ერთი ნუგეში კიდევ ის იყო ამ ხნის განმავლობაში, ეს ჩემი კოლია, „სილნო რომ კოლიტსია“, ცეკას ინსტრუქტორი გახდა. რანაირადო, ვკითხე გაკვირვებულმა. რანაირადო და შენ ვინ ggონია ჩვენი მთავრობა, ძირითადად, თავიდან ბოლომდე, სულ კანონიერი ქურდებითა და ბიუჯეტის ქურდბაცაცებით არის დაკომპლექტებულიო. ჩემი განყოფილების გამგეც კანონიერი ქურდიაო. აქაც მოიყვანა სტუმრად ისა და სხვა თავიანთი ინსტრუქტორები. გარეგნულად ყველა მიმზიდველი, კარგი მოლაპარაკენი, მაგრამ – არაფრის სპეციალისტები. მათი საქმეა ლაყბობა, რევიზიების ვითომ ჩატარება და იქიდან ფულის მოხვეტა. ერთი ეს უნდა გკითხო, შენ თუ იცი, საიდან მოდის „კანონიერი ქურდი“?

– არა, არ გამიგია არაფერი.

– არ გეცოდინება, იმიტომ, რომ არავინ არ იცის. მეც ამ ჩემი ქმრისგან მოვისმინე მერე. ეს „პროფესია“ სტალინს შემოუღია. ამხელა საკონცენტრაციო ბანაკები რომ შექმნეს, იმათ ხომ სჭირდებოდათ იქ მორჩილებაში ყოფნა. ჰოდა, აი იქ მაგარი ქურდები დააწინაურეს, დასვეს მოთავეებად და მისცეს სრული უფლება, ვინც გინდა მოეკლათ, თუ ვინმე ყვირილს დაიწყებდა, ხტუნაობას და ხელსაც არავინ ახლებდა. ხალხში, ბანაკებშიცა და გარეთაც ვრცელდებოდა ხმა, ისეთი მაგარია, მთავრობაც კი ვერა სცემს ხმას, თვით სტალინიც კი ვერ ერევაო. შემდეგში ამ ბანაკების სკოლაგავლილი აი ეს კანონიერი ქურდებიც დააწინაურეს მოსკოვის მთავრობაში ქვეყნის სამართავად. მათ არ სჭირდებოდათ არც ცოდნა, არც კანონები, არც მორალი. მათი სახელმძღვანელო დევიზი იყო „მოკალი და იბატონე“. შემდეგში ამ კანონიერი ქურდების წყალობით მთავრობაში იმრავლა ბანაკელი მეგობრების, „კაი ბიჭების“ რიცხვმა და საბჭოთა პერიოდის ბოლო ხანებისთვის ქურდულმა მმართველობამ უმაღლეს საფეხურებს მიაღწია. ისევ ამ ჩემი ქმრისგან ვიცი, მოსკოვში შენდება ეხლა მთელი უზარმაზარი კვარტალი, რომელსაც ვითომ მთავრობა აშენებს, სინამდვილეში კი ქურდი მაფიოზები აშენებენ და ფულსაც, მილიარდებს, ისე ინაწილებენ „პარტიისა და ხელისუფლების“ მოთავენი, რომ ბიუჯეტში კაპიკიც არ შედის. ეს ჩემი ქმარიც იქ არის თურმე ჩართული თავისი ახალი ცოლისძმის წყალობით. აი, ეს ხალხი მთელი ამ მშენებლობის და მათთან ერთად მთელი ქვეყნის შემოსავალს – მილიარდებს მილიონებად ინაწილებენ თავისი დაპყრობილი ხალხებისაგან მონურ მორჩილებას ითხოვენ – არ გაბედოთ და კაპიკი მოიპაროთო. თბილისში გახსნეს თურმე მაფიოზური საქმე – ხუთსართულიან სახლებს მეექვსე სართულები დაამატეს, რვასართულიანებს – მეცხრე სართულები და აი, ამ სართულებს ყიდიან. თბილისელმა „პრავდის“ კორესპონდენტმა, ვინმე გიორგი ლებანიძემ, „პრავდაში“ გამოაქუხა სტატია „სართულებით მოვაჭრენი“. მოსკოვიდან ფეხი დაუბრახუნეს: ჰაიტ, თქვენ თაღლითო ქართველებო, რასა ბედავთო, თავად კი თურმე გვერდულად აშენებენ თბილისისხელა კვარტალს, საიდანაც, როგორც უკვე ვთქვი, ბიუჯეტში კაპიკი არ შედის. აბა ეს ქვეყანაა? ეს ხალხია? აი, რა კულტურა შეიტანეს მათ თუნდაც საქართველოში, კულტურა კი არა, სრული გადაგვარება – ლოთობა, ბოზობა, ქურდობა. ამიტომ, რაც უფრო სიღრმისეულად გავეცანი ამ ხალხს, ზიზღი უფრო და უფრო გამიძლიერდა. აქედან გაქცევა მინდა. საწყალი, დაბეჩავებული ადამიანები რა დღეში ჰყავთ, როგორ ატყუებენ, როგორ ძარცვავენ, როგორ აბღავლებენ, კომუნიზმს ვაშენებთო. ბაკში შეყრილი საქონელივით ჰყავთ, თვითონ ეს ქურდები და მათი ცოლები კი, როცა და სადაც მოესურვებათ, ისე დადიან საზღვარგარეთ, იკერავენ ტანსაცმელს, ყიდულობენ, რაც უნდათ, აქაც დახურული მაღაზიები აქვთ, ცეკას ცალკე, მთავრობას – ცალკე. ეს მაღაზიები სულ საზღვარგარეთიდან მარაგდება. იმ მაღაზიის წიგნაკი მეცა მაქვს, იქიდან მომაქვს ეს ნამცხვრებიცა და კონსერვებიც თუ სხვა რამ – სულ საზღვარგარეთული.

მარიკა ადგა, მაცივრიდან გამოიღო სხვადასხვანაირი კონსერვები და წინ დაუწყო შერგილს – აი, ნახე, სულ დელიკატესებია, არც კი ვიცი, რისი კონსერვებია, მაგრამ საოცრად გემრიელია. აი, გაგიხსნი და გასინჯე, გაგიჟდები.

შერგილმა შეჭამა და ვერ გაიგო, რა იყო. კოლოფს ეწერა, ზღვის სურსათიო. შამპანურიც გამოიღო უკვე წათამამებულმა მარიკამ და ბოკალებში დაასხა. შერგილმა მარიკა დალოცა და მტკიცე მეგობრობა შეჰფიცა, მერე მოეხვია, კიდევ მთელი გრძნობით აკოცა და ჩასჩურჩულა, 3 საათია.

– დავაფინო ადიალა, – შემოსცინა მარიკამ.

ისევ ფაციფუცით წამოცვივდნენ, მარიკამ „ზედმეტები“ საჩქაროდ აალაგა მაგიდიდან, მოასუფთავა, მხოლოდ ჩაის ჭურჭელი დატოვა და კვლავ უწყინარი კრავებივით ჩამოსხდნენ.

– აი, ჩემო შერგილ, – დაიწყო მარიკამ, – როგორც ხედავ, ყელამდე ვარ, მაგრამ სულიერად ვიტანჯები. მეზობლები თითქოს ყველა კარგია, კარგად მექცევიან, ან ვინ გაბედავს ცუდად მოპყრობას, მაგრამ არა, ის ჩვენი ქართული ურთიერთობა, ხასიათი, სუფრა სულ სხვაა. მენატრება. მინდა, თბილისში ჩამოვფრინდე, ბინა შევიძინო, ფული იმდენი მაქვს, როგორც გითხარი, გინდა 5 ბინას შევიძენ. და შევიძენ უმაღლეს ბინას. პრესტიჟული უბანი ვაკეა, არა?

– კი, ვაკეა, მაღალი საზოგადოების უბანი. მაგრამ ვაკე ის ვაკე აღარ არის, რაც ადრე იყო. მართლა თბილისის ნაღები ცხოვრობდა იქ. თვით გიორგი ლეონიძესაც იქ ჰქონდა ბინა და კიდევ ბევრ სხვა ცნობილ პიროვნებას. დღეს კი იქაც აირია მონასტერი. ფული, მოგეხსენება, ყველაფრის მკადრებელი, გაუნათლებელი, უკულტურო

ხალხის ხელში მოხვდა და იმათ შეიძინეს ვაკეში ბინები. ის კულტურული საზოგადოება გადაფარეს. ეს ის საზოგადოებაა უკვე, რომელიც საოპერო ტანსაცმელს ბაზარში იცვამს, ოპერა კი, არც იცის, სად არის. პარიზი და მთელი ევროპა ფეხქვეშ აქვთ ამოდებული და არ ეოფილან საქართველოს კუთხეებში, არ უნახავთ ხევსურეთი, სვანეთი. მე, პირადად, უფასოდ რომ მომცენ ბინა ვაკეში, იქ არ ვიცხოვრებ. მე და ჩემი მეუღლე ჯერჯერობით ნაქირავებში ვართ. ჩვენ მთავრობის ბინას ბატონი ილია გვპირდება. არ ვიცი, სად მოგვცემენ. აი, შენ თუ ბინის ყიდვა გინდა, ხილიანის ქუჩაზე გირჩევდი, კარგი ადგილია, საზოგადოებაც კარგი ჩასახლდა, ამიტომ ბინებიც საკმაოდ ძვირია.

– ოო, ეს რა კარგი მითხარი, მე, რატომღაც, რაკი ფული მქონდა, ვაკეს ვუმიზნებდი; არა, არა, ეგეთ საზოგადოებაში არც მე მინდა, შენი სამსახურიც იქვე ახლოა. გათხოვებას აღარ ვაპირებ, რა თქმა უნდა და არც მეგობრად მინდა ვინმე შენს მეტი. შენ ერთი მეყოლები, ათს რომ უდრი, ისეთი და მორჩა.

– მერე შენი ქმარი გიშვებს?

– ჩემს ქმარს, როგორც უკვე გითხარი, ვიღაცა შეურთავს ამ მილიონერთა წრიდან, დიდი ბინაც შეუძენიათ ცენტრში. ველაპარაკე და ვუთხარი, მე საქართველოში დავბრუნდები, შვილი ქართულად მინდა გავზარდო-მეთქი. თანხმობა მომცა, მითხრა, მეც მაინტერესებს, ჩემი შვილი ქართველად გაიზარდოსო. ხელის შეწყობას არც იქ მოგაკლებთ და მილიონებს გადმოგირიცხავთო. ისე რომ, გზა ხსნილი მაქვს და მეც არ დავაყოვნებ, მით უმეტეს, რომ ამისთანა მეგობარი შეგიძინე. მე აქ ვეღარ გავჩერდები. ჩემს შვილსაც მომავალ ზაფხულს უკვე სკოლა უწევს. ეხლა, როგორც კი ჩახვალ თბილისში, უნდა აღმომიჩინო ბინა აი, მაგ ხილიანის ქუჩაზე. შემატყობინე და ფულს მაშინვე გადმოვრიცხავ ან მე თვითონ ჩამოვალ და ფულსაც მე ჩამოვიტან.

– ძალიან კარგი, მეც მოხარული ვარ შენი მეგობრობის. ეს შემთხვევა რომ არა, სხვა ვინმესთან კავშირს არ ვაპირებდი, გადაწყვეტილი მქონდა და ეხლაც ასე ვარ, რომ ჩემს მეუღლეს არ ვუღალატებ. მე ამას ღალატად არ ვთვლი. ეს ისეთი შემთხვევაა, რომელზეც არც ღმერთი შემრისხავს და თვით ჩემი მეუღლეც კი აუგს არ მეტყოდა. აბა რა უნდა მექნა? გავქცეულიყავი? სად? რატომ? ის უფრო დიდ სირცხვილად და ცოდვად ჩამეთვლებოდა. ჩემი მეუღლე ისეთი ვაჟკაცი ქალია, ამ საქციელს მეც ვაჟკაცობად და მადლად ჩამითვლიდა. გითხარი, რომ ხევსურია და ხევსურებს კი ნათქვამი აქვთ: „ვინც ქალშიაო, ის ხმალშიაო“. მექალთანე და ქალებში გაწუწკებული კაცი არ უნდა იყო, ეგ არის სამარცხვინო, თორემ, შემთხვევა რომ მოიტანს, იქ არც ხმალს უნდა გაექცე და არც ქალს.

– რა ლამაზად თქვი, დიდი მადლობა, დაჰკა ხელი, – ხელი გადმოუდო მაგიდაზე. შერგილმაც კვლავ ხელი ხელზე მოუჭირა და ისევ ენებიანად ჩაკოცნა.

– აბა, შესრულდა ოთხი საათი.

– ე. ი. გავშალო ადიალა? – და გაშალა.

როცა კიდევ მოწესრიგდნენ და კვლავ თავის ადგილზე დასხდნენ გუგულებივით, შერგილმა წამოიწყო:

– ნაკითხი, ჭკვიანი ქალი რომ ხარ, უკვე დავრწმუნდი. მე აღარ მეგონა, თუ ჩემი რჩეულის მეტს ვინმეს შევხვდებოდი ჩემი გუნების ქალს. მე მაინტერესებს შენი აზრი, როგორ მიგაჩნია, ცოლს ვუღალატე? გადაწყვეტილი მქონდა, ცოლის იქით აღარსად გამეხედა, მთელი ყურადღება მეცნიერული მუშაობისთვის დამეთმო. ამ დროს ჩემდა უნებურად გამომიტყვრა ასეთი შემთხვევა. ნუთუ ჩაითვლება, რომ მე ჩემს ცოლს ვუღალატე?

– რაკი მეკითხები, გეტყვი: ჩემი აზრით, ასეთი შემთხვევები და თუნდაც სხვანაირი კაცისაგან ღალატი არ არის. ამაზე თავმოყვარე ქალი ქმარს საერთოდ არაფერს არ ეტყვის, სალაპარაკოდ არ გახდის. კეთილშობილება ქალისა ის არის, ქმარს კუდში არა სდიოს, ნაბიჯები არ უზომოს და ამით თავი შეაძულოს. ასეთი ტაქტიკით ჭკვიანი ცოლი გაქცეულ ქმარსაც დაიბრუნებს. ღალატი ის არის, როცა კაცი ცოლ-შვილს მიატოვებს და ვიღაცასთან გაიქცევა, აი, თუნდაც ჩემმა მეუღლემ რაც გააკეთა. მე ჯანდაბას, ჩემს თავს არ ვჩივი, შვილი როგორ უნდა მიატოვოს ნორმალურმა ადამიანმა. არა, ასეთი საქციელი კიდევ უარესი საზიზღრობაა. შვილს მხეცი არ ტოვებს, პირუტყვი არ ტოვებს მაშინაც კი, როცა სიკვდილი ელის. ისე რომ, სინდისის ქენჯნას ტყუილად განიცდი.

– დიდი მადლობა, ცოტა დამამშვიდე. პირველად რომ დაგინახე იმ სასადილოში, მაშინვე რაღაც კეთილი სურვილები გამიჩნდა შენ მიმართ. ეხლაც ორი ვარიანტი მქონდა ბინის – ერთი იმ რუსის ქალთან, რომელთანაც დღეს უნდა მივიდე, მეორე – შენთან. და გულმა შენკენ გამომიწია, ვიფიქრე, რაღა რუსი ვასარგებლო, ქართველს ვასარგებლებ, ალბათ უჭირს და ცოტაოდენ ფულს შევეწევი-მეთქი. გქონია და კიდევ ბევრი მოგცეს ღმერთმა, რაკი უანგაროდ გვეპატიჟებოდი.

– შერგილ, შენ შეიძლება გგონია, რომ ვტრაბახობ. აბა ადექი, მოდი ჩემთან, – მარიკა ადგა და კარადა გამოაღო, მერე უკან მიფარებული კაბა თუ რაღაც მოაცილა და დასტა-დასტა აკოკოლავებული ფული გამოჩნდა, – აი, ხედავ, შერგილ, რამდენი ფული მაქვს, დიპლომატით მიზიდავს კოლია. მართლა არ ვიცი, სად წავიღო, როგორ მოვუარო. ამ ფულის შესახებ იმ ჩემი ქმრისა და ჩემს მეტმა არავინ იცის. არც არავისთვის მითქვამს და არც არავისთვის მიჩვენებია. მხოლოდ შენა ხარ, ვისაც გავანდე ეს საიდუმლო. გაგანდე იმიტომ, რომ უკვე ჩემიანად გთვლი და მჯერა, სვანი საიდუმლოს შეინახავს, არ გაგყიდის, სიტყვას არ გატეხს და, რაც მთავარია, გვერდში ამომიდგება ამ ფულის დაბინავებაში. ნაწილს თბილისში გადავრიცხავ ჩემი ბიძაშვილის სალაროს ანგარიშზე, იქვე ჩემს სახელზე გახსნილ ანგარიშზე, გადავურიცხავ ქუთაისში ჩემს მშობლებსაც, ბინის ფულს კი, როგორც კი შენ ბინას ამიჩენ და შემატყობინებ, ჩემოდნით ჩამოვიტან. ეხლა კი აი, შენ ასმანეთიანების შეკვრა.

– არა, არ მინდა, ამდენი ფული სად წავიღო. მალვით ხარჯვას ვერ დავიწყებ, ცოლს ვერ დავუმალავ, გავამხილო და რა ვთქვა, ვინ მომცა, საიდან მოვიტანეო. ტყუილებს ვერ ვიტყვი, – გულწრფელად შეშფოთდა შერგილი.

– აიღე ფული, ჩაიდე ჩანთაში, შე მართლა სვანო შენა. ერთი კიდევ აი ეს იყოს, – ერთი შეკვრა 25-მანეთიანებისა მისცა, – რომ თქვი, ბინას მპირდებიანო, იმ ბინაში შეტანა ხომ უნდა რამეს, ფული ხომ დაგჭირდება. ამჯერად ეს იყოს, სხვა კიდევ შემდეგში ვნახოთ, – ძალით მიაჩეჩა,

– ეხლა აი ამ ჩამწკრივებულ კოსტიუმებს შეხედე, სულ პარიზსა და ვენაშია შეკერილი. კოლიას ძალიანაც უხდებოდა, კარგად ჰქონდა მორგებული ტანზე. ეხლა უკვე გალეულია, ნარკოტიკები, ეტყობა, თავისას შვრება. ეს კოსტიუმები იმას აღარ მოერგება, შენ გექნება კარგად, აბა ჩაიცვი. რომელი ფერი მოგწონს?

– მერიდება, როგორ წავიღო ასეთი ძვირფასი კოსტიუმი. რუხი იყოს, – შერგილმა ჩაიცვა და ისე მოერგო, თითქოს მის ტანზე ყოფილიყოს შეკერილი.

– აჰა, მშვიდობაში! მოიგონე რამე, ან მეგობარმა მაჩუქა-თქო, ან იმ სომეხ კაცს დააბრალე, მოხუცი რომ შეგხვედრია არქივში. ეგ გეცვას. ეხლა აი, ჯემპრებიც არის აქ, პერანგები, ავარჩიოთ, სულ საზღვარგარეთულია.

გადმოარჩიეს, გადმოარჩიეს, მერე დიდი ტყავის ჩანთა მოუტანა მარიკამ, ჩააწყვეს, გაავსეს და, საქმეს რომ მორჩნენ, უკვე ხუთი საათიც სრულდებოდა. მადლობისა და მოძალებული სიყვარულის ნიშნად შერგილმა საათისკენ გააპარა თვალი.

– არა, შერგილ, გვეყოფა, რაც შეგვრჩა, შევირგოთ, უცებ არ შემოეღეტოს ის სასიკვდილე და ყველაფერი წყალში არ ჩავყაროთ. მეც არ ვიცი, ეს ოხერი, რას გავგიჟდი, რას გადავირიე, რა დამემართა, ალბათ შენზეც როგორი შთაბეჭდილება დავტოვე. ეხლა აღარ არის საჭირო, როგორც შევთანხმდით, ხვალ არა და ზეგ მე მოვალ შენთან, ბავშვს როგორც კი მივიყვან ბაღში, ტაქსით წამოვალ. ეხლა დავსხდეთ, კარგად გასაუზმებ, – და მარიკამ მაცივრიდან გამოალაგა გახსნილი კონსერვი, რაღაც უცნაური ძეხვები და ნამცხვრები, ჩაი ააღუღა, კარგად ისაუზმეს და გამოაცილა შერგილი.

ძლიერი ყინვა სიგრილესავით ესიამოვნა, უცებ გამოფხიზლდა, ძლივს შვებით ამოისუნთქა, უხაროდა, რომ ყველაფერი ასე მშვიდობიანად დამთავრდა. გასცქეროდა თოვლით დაფარულ ტრიალ მინდორს, იმ მინდვრის იქით შემოჯარულ გაჩახჩახებულ ათასართულიან სახლებს, რომლებშიც დიდი სიბნელე იყო ჩაბუდებული.

– ღმერთო, რას გადავრჩი, აქ რომ გავხვეულიყავი შარ-ხათაბალაში, სიკვდილზე მეტი იქნებოდა ჩემთვის. რას იტყოდა უღელგამომტვრეული მზექალა, რას იტყოდა ჩემი სათაყვანებელი ილია აბულაძე, რას იტყოდა ჭრელი ხალხი. ღმერთო და ჩემო სვანეთის სალოცავებო, ეს ერთი მეპატიოს, შემდეგისთვის აღარ დავივიწყებ ცხონებული მამაჩემის შეგონებას, ქალაქს უფრთხილდიო!

თინა გახელაძე

წვიმა

წვიმა... ლირიკა... შოპენი... ლისტი
და როიალის ხმა შორეული...
გონება სხარტი, გუნება ხისტი...
სხეული თითქოს ბანგმორეული.
წვიმაა? არა, სიმღერა თითქოს,
წუხს ვიოლინო, გახელდა ხემი,
გული ზეცაში აფრენას ითხოვს,
დღეს წვიმა არის მეწყვილე ჩემი.
ხეტიალში რომ გაწყდება ქანცი,
სახლში მივჯდები კუთხეში მარტო,
ვგრძნობ, მესტუმრება ვინმე ძმაკაცი,
ვეცდები, ლხინი რომ გავუმართო.
გვერდით მოვიდგამ ხელადით ღვინოს,
სახეს მფენია თითქოს ვარაყი,
ვეტყვი: „მოდი რა, წავიღიღინოთ,
ჯერ კი გადავკრათ თითო არაყი“.
წვიმის განწყობაც არსებობს თურმე,
სველი წვეთები წაშლის მოწყენას,
გაქრა, აორთქლდა ფერები მრუმე,
მორჩა! ღღეიდან ვიწყებ მოლხენას!

დედას

ამბობდი: დავკარგეო თვალისჩინი,
რა ძნელი ყოფილაო სიბრმავე,
ღამითაც გამიკრთაო უკვე ძილი,
სულ ვჩივი მერამდენედ იმავეს.
რიღასთვის ვამძიმებო დედამიწას?
მიჯობს, სხვებს დავუთმოო ადგილი,
ასე რომ გაწუხებთო ველარ ვიტან,
თქვენთვისაც არ არისო ადვილი.
ვხედავდე – წავიკითხავ რამე წიგნს და
შევკერავ თუნდაც ჩემთვის რაიმეს,
ეზოშიც ვერ გავდივარ, თუკი წვიმს და
გეძახით: „მომხედეთო, ვაიმე!“
როგორღაც გზას მივიკვლევ, დედაჩემო,
თუმცაღა გამიჭირდა უშენოდ,
შენს შემდეგ არც გათენდა დღე საჩემო,
ამდენ დარდს როგორ უნდა ვუშველო?!
მადლობთ, რომ ჩვენი ღერძი იყავ, დედავ,
სამყარო დაგვიხატე ფერებით...
დრო მოვა, უფალი რომ შეგვყრის ერთად,
ცივ გულში თბილად მოგეფერები.

* * *

სული ტირის და ჯავრობს,
ბედიწერა ტრიალებს,
გეშინოდეთ! სამსჯავრო
ორგულთ გაატიალებს.
გულში დაგუბებული
ფიქრის დიდი ტვირთია,
ირგვლივ გამეფებული
ბოროტების ზვირთია.
ნელა-ნელა აცოფებს
წყლის წვეთები ჩანჩქერებს
და მოვარდნილ ღვარცოფებს
ვერავინ შეაჩერებს,
შებოჭილი ძალები
აიხსნიან ბორკილებს,
გმირი ამორძალები
დაჩეხავენ ორპირებს.
შენ დიდება, უფალო!
ღმერთო! შენ შეგვეწიე,
მოველ შენთან უვალო,
დიდი ხანი გეძიე,
დაიფარე ქვეყანა,
აგვისრულე მიზნები,
თუ სადმე შეგვეყარა,
მტერს დავუხვდეთ ფხიზლები!
უკვე იწილ-ბიწილოს
ჩავთვლი, ვითომ არ მწყინდა,
ოღონდ ერთად ვიყვიროთ:
საქართველო გაბრწყინდა!

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲐᲕᲒᲣᲡᲢᲘᲜᲔᲡ ᲨᲔᲒᲝᲜᲔᲑᲐᲜᲘ

ნუ ტირი, ნუ იღებ მწუხარე იერს,
მე ისევ მე ვარ და შენ ისევ შენ ხარ!
იმ მხარეს ვდგევარ და შენს თვალსაწიერს
ფარდა ეფარება... ახლოსა მყევხარ.
ილოცე, იღიმე, იფიქრე ჩემზე.
თან ჩემი სახელი წარმოთქვი ისევ,
იფიქრე მადლზე და სასუფეველზე
და ნაღველს შენს გულში ნუ შემოისევ.
მივდივარ, ვადგავარ ახალგზა-ბილიკს,
ირგვლივ სიმშვიდეა, რაღაც სხვა განცდა...
აქ სილამაზეა ნათელი დილის...
ახლა ჩვენი გზები ერთმანეთს ასცდა.
როდესაც სიკვდილი შენც აგყრის ბორკილს
და როცა ქვას გასტეხს ურო ან გრდემლი,
ნუ შემიშინდები! დაგხვდები მორჩილს...
თუ მართლა გიყვარვარ – შეიშრე ცრემლი!

ᲚᲝᲛᲘᲡᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

აღმართს ავყევი სვენებით, ხვნეშით,
ლომისას გზაზე ასვლა ძნელია...
მზით განათებულ ორმოთა სვეში
შეხედეთ, თოვლი იისფერია.
...და ახლა მივხვდი, იისფერ თოვლზე
თუ რატომ წერდა გალაქტიონი,
ალბათ ზაფხულშიც, ხასხასა მოლზე
საოცრებაა აქ ალიონი!
მზე დაგვთამაშებს, თან ეკვრის ღრუბელს,
ფერი აქვს ვერცხლის, ხან კი თითბერის,
სუსხია... სველი მაქვს თვალთა უპე...
მთის წვერზე მოჩანს სენაკი ბერის.
ავიკალთავე... და საოცრება...
რა მოწყენილი ჩანს ქსნის ხეობა?
შვილი, რომელიც მიაგდო დედამ
და აირჩია ცეკვა-ღრეობა.
ტაძარს ვეახლე გულდათუთქული,
ჯაჭვი მოვიგდე კისერზე მძიმე,
მხურვალე ლოცვით ვიჯერე გული:
წმინდა გიორგი, შენ შეგვეწიე!

* * *

მოგაქვს სამყარო, მოფარფატებ, როგორც ფერია,
მოაპობ ზღვა ხალხს, განირჩევი როგორც ალმასი,
გაკვირდები და შენი მსხვრევა უფრო ძნელია,
ვიდრე დალეწვა უძველესი კერპის – არმაზის.
ვგიჟდები, როგორ იმორჩილებ ნარნარა სხეულს?
მაოცებს შენი მიხვრა-მოხვრა, თვალები მწველი;
აქვე, კუთხეში უიმედოდ ჩამომდგარს, ეულს,
მგონია, თითქოს მეფე ვარ და დედოფალს გელი...
შენ გზას აგრძელებ, არც მიცქერი, მიაპობ ტალღებს,
სუნთქვა მეკვრის და ვიხუთები, ვიხსნი საკინძეს...
ჩაიარე და შარავანდედი დაადგათ თაღებს,
შურით შევნატრი, ვინაც შვილის აკვანს დაგირწევს.

ᲮᲘᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ბაღს ჭარმაგი ჰყავს მცველად კაკალი,
ხილს დაჰფოფინებს, ღუის ნაყოფი,
ღმერთმა გვიბოძა, ბაღში რაც არის
ჩვენთვის და სტუმრისთვისაც სამყოფი.
თავს იწონებენ ვაშლი და მსხალი,
ატამს ლოყები დასწვია თითქოს,
დახუნძლულია წითელი ბალი,
მოსაკრეფია და შველას ითხოვს.
ჟოლოს გადაჰკრავს ცხელი ალმური,
ბლომად ასხია, აურაცხელი,
მგონი, ეწვია უკვე ამური,
შესწითლებია ლოყა დარცხვენილს.
სისხლისფრად მოსდის ცრემლი ბროწეულს,
ჩამოეთხაპნა კაბის კალთები,
და მთვრალ ალუბალს, ტოტებმომტვრეულს
მთლად არევია თავში დავთრები.
ლეღვი მედგრად დგას თავაწეული,
ბაღში მთავარი მწვანე ფონია
და მოსავალის აქ მოწეულის
ჰარმონიული ჟღერს სიმფონია.

ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲖᲔ

რა სიმშვიდეა, რა სიმშვიდეა...
სპეტაკი ძილით სძინავთ უცოდველთ,

აქ ჩემი სულის ბაღის კიდეა...
ვგმობ ბედისწერას, მკაცრს და ულმობელს!
საფლავზე ვასხამთ ღვინოს მდუმარედ,
მიცვალებულებს მოვუკლავთ წყურვილს,
ლოცვას აღვავლენთ გულით მხურვალედ,
სანთელს დავანთებ, ჩავუთქვამ სურვილს.
ყველა აქ მოვალთ დღესა თუ ხვალე,
გუნებას, მგონი, მიცვლის მარტივით,
დაგშორდებით და ვბრუნდებით მალე,
თითქოს გვიზიდავთ ანდამატივით.

მამუკა ოჩიაური

ეს მე ვარ

ნისლი ვარ, ფხოვის მთებს სარტყლად რომ არტყია,
ქარი ვარ, გრიგალი ჭიუხში მბორგავი
ლუხუმი – გველი რომ მოურჩენს ნატყვიარს,
ჭიუხის კიდეზე ყინულის გორგალი.
ჯურხაის ხმალი ვარ, მტრის სისხლით ნაპოხი,
ნაქსოვი პერანგი, ფოლადის რგოლებით,
მეხი ვარ, ზეციდან საავდროდ ნაქუხი,
საზღვრისკენ მზირალი უშიშას* თოლები.
ვიწრო კალაპოტში, ზვირთები ასისა*
უგულო ლოდების ცივ ტალღით ამცრელი,
ხატის კარს მისული დამლოცი თასისა,
ამ მთის და ხეობის უებრო დამცველი.
ეს მე ვარ, უბელო თეთრონის მხედარი,
გული დაუდგომელ ზღვასავით ღელავდეს
მთებში ვარ, ცას ვუმზერ ცხოვრებაც ეგ არი –
აქ ვიყო და მთებზე ბილიკებს ვზერავდე.
ფხოვის მთებს, როდესაც სიბნელე დაძალავს,
მხრებს მოეხურება ნაბადი მწყემსური,
კალამს შევაჩეჩებ საწერად ამ ძალას,
ქვეყნის სიყვარულში ნაწრთობი ხევსური.

———————————

უშიშ (უშიშა ოჩიაური) – გმირი, რომელმაც არაერთგზის თავი გამოიჩინა მეზობელ ტომებთან ბრძოლაში.*
*ასა * – მდინარე არხოტის თემში (პირიქითა ხევსურეთი)*

მსურს წაგიყვანო მთებში

ქარებს გავყვები გრილებს
უსასრულობის ცაში,
მკერდზე ჩაგიხსნი ღილებს,
ხელს შეგიცურებ თმაში.
და ათრთოლებულ ბაგეს
კვლავ კოცნით შევაჩერებ,
შენს მხრებზე დავალაგებ
თმათა დაუშრეტ ჩქერებს.
გრძნობას ცრემლებად ნადენს,
სიტყვებს ჩურჩულით ნათქვამს,
გულმა გაუძლოს რამდენს
რაუყოს დარდებს ნაფქავს.
იქნებ შენამდე სავლელს
ბილიკს გამოვყვე ბარში,
თუ კი არაფერს ვავნებ,
ფიქრის კოშკებს არ დავშლი.
არ ჩამოვნისლავ წარსულს,
არ შევეხები აროს,
ამ გულს რა უნდა, რა სურს?
სურს, მთებში წაგიყვანოს.
ქარებს გავყვები გრილებს
უსასრულობის ცაში,
მკერდზე ჩაგიხსნი ღილებს,
ხელს შეგიცურებ თმაში.

ახალი წელი მთაში

ქადისკვრებს აცხობს ბებო – ბერდედა,
კერასთან ბრუნავს პაპა ომარი,
ორივეს ერთი ბედი ებედა,
სოფელს ასოფლებს ორი მხცოვანი.

ირგვლივ სიბნელე ეკვრის ყიამეთს,
დაბერებულა ძაღლი – „ნადირა“,
რამდენი წლები გამოიარეს
არც ჭირვეულად და არც ადვილად.

კვარი ანათებს გამჭვარტლულ კედლებს,
ჯაჭვით ჰკიდია კერაზე ქვაბი,
გულში, ჯვარ-ხატებს სოფელს ავედრებს,
პაპა და ფრთხილად ოთახში დადის.

გარეთ „ნადირა“ სიბნელეს უყეფს,
შეჭირხლულ ჰაერს მკაცრ ყეფას ატანს,

ისმის კნავილი, პაპა კარს უღებს
შესციებია საბრალო კატას.

ტაბლის შუაში ხელადა ელავს,
აქვს სულ სხვა ხიბლი, აქვს სულ სხვა ფერი
და მომავლიდან ნელა მოგელავს
ხელხვავიანი ახალი წელი.

წუთი წუთს მისდევს გაბმული საბლად,
ცაზე მთვარე წევს, ვით კვერი ობლის,
მიუსხდებიან გაწყობილ ტაბლას,
ორი მოხუცი – იმედი სოფლის.

ᲜᲘᲜᲝ ᲤᲠᲣᲘᲫᲔ

ᲞᲐᲞᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ!

ჟანგმოკიდებულ ჭიშკარს
ძლივს ვაღებ პაპის სახლში,
ჯორკო ჩანს, წყალთან ჭიქაც,
ბებოს ნაფერებ ბაღში.
ბაბუა ეზოს ბოლოს
ცელს რომ უსვამდა ბალახს,
ხე ატუზულა ეკლად,
ბევრ საიდუმლოს მალავს.
ჭიშკარს შევაღებ კრძალვით,
ჭრიალით იკლებს სოფელს,
მიწაც დამსკდარა გვალვით,
არ გაუვლია ორფეხს.
მივუახლოვდი სახლსაც
ლოდინით ქანცგაწყვეტილს,
კარიც დაეშვა საღღაც,
მოჰგავდა თავაწყვეტილს.
სიძველის სუნი ასდის
კედლებს ფარდებს თუ ნივთებს,
ყველაფერს ტაბუ ადევს,
ბევრ საიდუმლოს იტევს.
სიმშვიდე დაქრის ყველგან,
თითქოს ელოდა მნახველს,
მოგონებები წრფელი
კედლებმა შემინახეს.
აღარც შუქი სჩანს სახლში,
სიბნელე როგორ მზარავს
და სიმარტოვე უვლის
ეზოს, სახლსა, თუ მარანს.
ბუხარიც გაბუტულა,
ბებო არ აკრავს მჭადებს,
აღარც ბაბუას კრულავს –
ღვინოს ბევრს არა სვამდეს.
ჩანს საწოლის ქვეშ სკივრი,
(არ გვაკარებდა ბებო)
და მონატრების სხივი
გულს ცეცხლად შემომენთო.
ალბათ, ხარობენ ჩემით,
ალბათ, მლოცავენ ციდან,
მახსოვს, დამჭკნარი ხელით,
ხილს რომ მიკრეფდა ხიდან.
მიყვარს ის პაპის სახლი,
ის მტვერიც, ნივთს რომ ადევს,
ექო მომიტანს ძახილს,
– მოვდივარ, დამიცადე.
თითქოს ზედმეტი ვიყავ,
კრძალვით დავხურე კარი,
ვხარობ ვესტუმრე ღღეს მათ
და გულში ჩავიკარი.

* * *

ცა სურვილების ისწორებს საბანს,
ღრუბლის ლაქები აზის ხალებად.
ჩიტის მოტანილ ცოდვიან ამბავს
ფიქრებში ვმარხავ უზიარებლად.

აქ სხვა ფიქრების ვეძებ კიდობანს,
ვერ დავაწყვილე ღამე-ღღე ერთად
და ერთი მტრედის ნაზიდ მშვიდობას,
უღმერთოდ ვატან გადამფრენ მერცხალს.

ცა დაფნის გვირგვინს ისე არიგებს,
ბედის საჩუქარს, ვინ რას უწუნებს,
სანამ ლომები გლეჯენ ბაგირებს,
წილად რგებიათ ბედი წრუწუნებს.

ღრმა წუთისოფლის დამაქვს სევდები,
ვითვლი საათებს დროის მსახური,
ჯოჯოხეთი მაქვს, როგორც ედემი,
ბრმა მომავლისთვის გადანახული...

ვინა ვარ

მზის სხივად დაფენილ მთებიდან მოვდივარ,
თვალს მჭრის, ხან მამშვიდებს სინათლე ნატრული,
იმ მთების შვილი და ის დიდი ლოდი ვარ,
მამულს რომ აბრწყინებს, გვირგვინად დადგმული.
წყარო ვარ ანკარა, კალაპოტს ამცდარი,
ფოთლების შრიალი, ჩურჩული მთებიდან,
ხან ატმის კვირტი ვარ, ლოყებგადამსკდარი,
ჭაობი... ვერ ვიკვლევ გზას ლიანებიდან.
ვაზი ვარ, გაზრდილი მოხუცის ხელებით,
ცრემლები, ნამად რომ ატყვია ბალახებს,
გრგვინვა ვარ, ხანდახან ცის წამოხველებით,
ელვად შევარდნილი ვანათებ სანახებს...
ღრუბლიდან ვიწურავ წვიმას, რომ ცრემლებად
მამულის შემხმარი ფესვები ვანედლო,
დავტოვებ ყველასთან სიყვარულს მძევლებად,
გრძნობები თქვენთვისაც მინდოდა გამენდო.
ნუკრი ვარ შეზრდილი მგლებთან და ლომებთან,
დავეძებ მიწა-წყალს სამშობლოს ნატრული,
გმირების დიდება მინდოდა რომ მეთქვა,
შემეგრძნო სული და მხნეობა ქართული...
ვერ მივხვდი საწადელს, გლახის და სულმდაბლის,
შური და სიხარბე რა საკადრისია,
ამქვეყნად სიკეთის კეთება ნუ დაგღლის,
ნუ ჩათვლი წარსულად გოგლას და ტიციანს.
სიტყვა ვარ, ქართული პური და ღვინო ვარ,
შოთა ვარ, ილია, გალა, თუ ფშაველი,
ხან მეომარი და ხან წმინდა ნინო ვარ,
ბოლოს კი არ ვიცი, ვინა ვარ, რა მელის.

სისხლად ვარ ნაწვეთი მე ვაზის ძარღვიდან,
რომ ბედი ქართლისა ხელახლა მეწერა,
კიდობანს შემოვრჩი იმ დიდი წარღვნიდან,
ჩემი სიცოცხლეა დღეს უფლის ხელწერა.
და მაინც ვინა ვარ, საიდან მოვდივარ?!
ჩიტი ვარ ნიბლია, სამშობლოს ვუგალობ,
წილხვედრი მთებიდან ზეცამდე მოვდივარ,
ახლოა შენთან და გავედრებ უფალო!

რომ გაპატიო

ტოტებს ამტვრევდა იმ ღამეს ქარი,
წინ მიუძღოდა ფიფქების ამქარს,
ანთებულ სანთლის მაცილებს ალი,
უჩუმრად ვტოვებ დიდებულ ტაძარს.

ვერც მელოდია მომიკლავს წყურვილს,
შტრაუსის ნოტად ქარი დამაწევს
და საბოლოოდ ჩემეულ სურვილს
ზეცის კაბადონს ფიქრით წავაწერ.

ღამეს მოჰქონდა ნისლები ცრემლად,
მთვარე ცურავდა სიზმრების ტბაში,
თითქოს სამყაროც ქცეულა გრდემლად,
კვლავ გარეულა სიყალბე ხმაში.

ვერ დამამშვიდა ღამის სიჩუმემ
და ვერც უნიჭო ქარის ხარხარმა,
ჩემს წინ ვერხვებიც ამაოდ სდუმდნენ,
შენი მოსვლით რომ ვერ გამახარა.

გულში იმედის ვაგებ კიდობანს,
იქნებ, სამყარო შიგ ჩავატიო,
ცოტა ხნით ღმერთად ყოფნაც მინდოდა,
შენი ცოდვები რომ გაპატიო.



ზურაბ მამულაშვილი

იმედი ხვალის

არ გავქცეულვარ ბრძოლის ველიდან,
რადგან მოკვდავის მეცვა ხალათი,
რწმენით მოვდივართ სკოლის მერხიდან,
არ გამივლია გულში ღალატი.

სულ ერთი მუჭა ქართული მიწა
მე მირჩევნია სხვათა ტრამალებს,
მტერი ვერასდროს ვერაფერს გვიზამს,
უფალი კალთას გადაგვაფარებს.

ვგრძნობ, წინაპრები დღესაც ისმენენ,
თუ როგორ ცხოვრობს ჩვენი გვარტომი,
თანდათან უფრო მეამაყება,
ჩემი დიდგორი, ჩემი მარტყოფი.

ჩვენ დავიბრუნებთ მზისფერ ალიონს,
უსამართლობით წართმეული ხალისს,
მოდით, ბიჭებო, ერთიც დავლიოთ
და ვადღეგრძელოთ იმედი ხვალის!

ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲡ

ვეძებ, ვეძებ, ყველგან ვეძებ
იმ ხელსაყრელ მომენტებს,
იქნებ სადმე გადავაწყდე
მონატრებულ პოეტებს.

ვეფერები ქუჩებსა და
ვეფერები მოედნებს,
მინდა გვერდით ამოვუდგე
ახალგაზრდე პოეტებს.

დღეს კი, დღეს კი,
ამ დარბაზს რომ
ჟრიამულით მოედვნენ,
რაღა მომკლავს, როცა ვხედავ
ერთად ამდენ პოეტებს.

როგორც უფალს ვევედრები,
ისე მიეთ-მოეთებს,
ჩემზე მეტი დღე მიეცი
გადარჩენილ პოეტებს.

ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲘᲐ

რაც თავი მახსოვს ქალაქში ვცხოვრობ,
ქალაქის მტვერით ვსუნთქავ და ვბრუნავ,
ქალაქის ქუჩებს ლექსებით ვუმღერ
და ამ სიმღერით ტკივილებს ვკურნავ.

განათებულა თბილისის ზეცა,
ვარსკვლავებით და მთვარის ნათელით,
ღმერთო, ცოტა ხანს მაცალე მეცა,
რომ ბოლომდე ვთქვა ჩემი სათქმელი.

მე ვარ პოეტი, სულის მოძღვარი,
სიკეთის თესვა მეც მავალია,
დღევანდელ დღემდე რომ ვარ ცოცხალი,
ღვთით ბოძებული ლექსის ბრალია.

ᲐᲥᲐᲣ ᲓᲐ ᲘᲥᲐᲣ

გაწვიმდა, სულში დაგუბდა სევდა
და თითქოს უცებ შემესხა ფრთები,
უფალო ღმერთო, დიდება შენდა,
ცოცხალი ვარ და ჯერ არა ვკვდები.
ვუძლებ ცხოვრებას,
საოცრად ფერმკრთალს,
თუმცა კი ხშირად მეძახის ვიღაც,
მიხარის, როცა ვიცი, რომ შენ ხარ
ჩემი პატრონი აქაც და იქაც.

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ

ის ხომ, ის ხომ, ის ხომ იყო,
მეც ხომ, მეც ხომ, მეც ხომ ვარ,
ნეტავ, როგორც ის ცხოვრობდა,
მეც ისევე მეცხოვრა.

არ იტყოდა სიტყვას უხამსს,
დიდი მადლი ეცხო მას,
ჩემი წასვლის შემდეგ, უფალს,
ჩემი სულიც ეცხონა.

ᲥᲐᲠᲗᲚᲘ

ზეციდან მოსულ ნათლით,
მარიამ-ნინოს მადლით,
ქრისტეს უწმიდეს კვართით,
დავით მეოთხეს ღვაწლით,
მღვდელი თევდორეს სახით,
თამარის ერზე დარდით
დიდი შოთაის კალმით,
დანთებულ თაფლის სანთლით,
რა სასწაულით, რა დღით –
გადარჩა ესე ქართლი!

ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲛᲪᲕᲔᲚᲘ

ციხე ვარ აუღებელი,
გაუტეხელი სიტყვა,
სუფთა, ვით პურის ბეღელი,
ფქვილივით მუდამ წმინდა.

მოსავლიანი მიწა ვარ,
ციდან მოსული ნამი,
მტერმაც კი ვერ შემიცვალა
თავისუფლების წამი.

გუმბათზე მდგარი ჯვარი ვარ,
სამრეკლოს ზარის ექო,
ამოღებული ხმალი ვარ,
ერთი ასს უნდა ვეყო.

ვარ უკვდავების წყალი და
იმედი ყველა კაცის,
სული ვარ დაუდგრომელი
მირონმდინარი ხატის.

უფლის ბილიკით დავდივარ,
არ შემიცვლია გზები,
ბოლოს და ბოლოს კაცი ვარ
ჩემი მამული მცველი!

ᲐᲡᲔᲔ ᲠᲝᲓᲘᲡ...

ჩამოიმწუხრა მზემ გულის ქიმზე
და თითქოს ბოლო იმედი გაქრა,
ვეღარ უძლებდა გოგონა სიზმრებს,

რადგანაც სულის სიმები დახრა.
ვეღარ უძლებდა სადარდელს გულიც,
მზე და მზის სხივი მონატრებოდა,
ვერ ისრულებდა სანატრელ სურვილს,
სევდის მორევში ისე დნებოდა.

ვერ ეტეოდა ოცნება დროში
და თითქოს ძაფი აქა წყდებოდა,
თუმცა ჯეროდა, რაღაცა დოზით,
იმედი კიდევ გადარჩებოდა.

გულმოსული თუ ჩანაფიქრს უსწრებ,
იქ არასწორი ეჭვები ჰყვავის,
გამოიფხიზლა გოგონამ უცებ,
როცა მზის სხივი დაეცა ბალიშს.

გადაითოვა ფიფქებით ველი,
თეთრი სამოსი მართლა შვენოდა,
ვით ამ გოგონას კამკამა ცრემლი,
სატრფოს მოსვლამდე არ გაშრებოდა.

რას იზამ, კიდევ მრავალჯერ მოთოვს,
კიდევაც ნახავ საოცარ სიზმარს,
ასეა, როცა ვიღაცა მოგწონს,
ასეა, როცა ვიღაცა გიყვარს.

გახსენება

ფიროსმანივით ჩავალ სარდაფში
და ერთ დოქ ღვინოს მოვთხოვ მეღვინეს,
მერე, ჩავივლი ორთაჭალაში,
მივესამლები ნაცნობ მეტივეს.
სირაჯხანაზე თიკანს ვიყიდი,
ბაზარში ცოცხალ მწვანილს ავიღებ,
სიონში მარილს ვაკურთხებინებ,
მეეტლე გაბოს ეტლით წავიღებ.
მტკვარზე ღუდუკის კვნესას მოვისმენ,
მშვიდად გავყვები გაღმა ბორანსა,
ღვინის ჯამს კრძალვით ხელს გადავუსვამ
და დავლევ ნიკოს შესანდობარსა.
გამახსენდება ძველი თბილისი
ნარუყალადან ვერის უბნამდე,
მერე, შევკრთები ვით მთვარეული,
ძებნას დავუწყებ ნიკოს სურათებს,
რომ გამოვფინო ყველა უბანში,
ყველა ქუჩაზე, ყველა სახლის წინ,
რომ გავუგრძელო ნიკოს სიცოცხლე
მარტო ჩემ წილად კიდევ ასი წლით.
დღეს ვერაფერი ვეღარ გადაშლის
იმის დახატულ ყოჩს და წეროსა.
ძმობა შევფიცე ფიროსმანაშვილს
და სიყვარული საქართველოსა.

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ

მე კახელობა მომწყურებია!

მე კახელობა მომწყურებია,
და მერე როგორ მომწყურებია,
ბებიაჩემის ქიზიყელობა
სულს შეუცნობლად მოსურვებია,
იმ ჩიხტიკოპის სურნელებაც კი
გულს ღრმად ჰქონია და ეს ლექსებიც
მიწის ყივილის ტოლი, სწორია
და ახლა ვიგრძენ,
რაც აქამომდე ფიქრთ არ მქონია,
მე კახელობა როგორ მნდომია!
მე კახელობა როგორ მნდომია!

ᲮᲝᲠᲜᲐᲑᲣᲯᲘ – ᲮᲝᲠᲘᲝᲜ ᲑᲣᲯᲘ

მზის სადარი თამარ მეფის სახელდების
დედაბურჯი
და თავადაც მზის სადარად წოდებული – ხორნაბუჯი,
კამბეჩოვან – კამბისინეს დაბა ბუდი,
შირაქის ველს აგებული
ეს მზის ბურჯი
და ქიზიყის გულისგული –
ხორნაბუჯი!
მონღოლთ მიერ დაცემული
და ერეკლეს ძლიერებით
ხელმეორედ დაძლეული,
ამ კლდის ქიმზე
კლდის ლომივით აწეული,
მზისკენ მზერი, მზის საყრდენი,
ერის ბურჯი,
კახეთის და სრულად ქართლის დასაცავად
მთის მწვერვალზე ამართული
ეს მრისხანე ციხე – ბურჯი,
ჩემი მიწის სიამაყე, ეს ბებერი და უკვდავი
ხორნა...ბუჯი!

ქეთევან ჯერვალიძე

ქეთევან გოდერძიშვილი – ენათმეცნიერი და პოეტი

ფილოლოგიის დოქტორი ქალბატონი ქეთევან გოდერძიშვილი მართლაც ჩინებული ენათმეცნიერი-ონომასტიკოსია, მკაცრი მეცნიერული განაწესითა და სინდისით. კახეთი უნდა იცნობდეს მისგან მოწყვეტილ შვილს, ისიც ასეთ ღირებულს, რომელსაც ეკუთვნის უაღრესად მნიშვნელოვანი შრომები. ესენია: „აღმოსავლეთ საქართველოს შვიდი საზღვრისპირა რეგიონის ტოპონიმთა ლექსიკონი“, რომლის წარდგინება მოხდა ახალციხის ონომასტიკოსთა საერთაშორისო კონფერენციაზე (8-9. 12. 22) და რასაც მოჰყვა დიდი გამოხმაურებები, მაგალითად, „ეს დიდი ლექსიკონი ახალი სიტყვაა ქართულ ტოპონიმიკურ ლექსიკოგრაფიაში“(პროფესორი მ. ჯიქია). მას პროფოფესორმა იზოლდა რუსაძემ უძღვნა ვრცელი რეცენზია, რომელიც დაასრულა შემდეგი სიტყვებით: „ეს წიგნი საუკუნეებს გაუძლებს, რამეთუ გაჯერებულია ძლიერი ეროვნული მუხტით“. თავისთავად მაღალი შეფასების ტოლფასია ის, რომ ამ წიგნის რედაქტორი გახლავთ აკადემიკოსი როინ მეტრეველი. ახლახან გამოიცა „დედოფლისწყაროს ტოპონიმთა და არქიტექტონიმთა ლექსიკონი“, რომელიც ასევე სიახლეა ტოპონიმიკის ისტორიაში იმით, რომ ავტორმა შემოიტანა ახალი ტერმინი „არქიტექტონიმი“, რაც მთავარია, გამოეყო იგი ტოპონიმისგან და თავისი კუთვნილი ადგილი მიუჩინა – ეს დიდი სიახლეა ონომასტიკაში! ცალკე წიგნადაცაა გამოცემული „დედოფლისწყაროს ტოპონიმთა ლექსიკონი“, რაც მთავარია, ქ. გოდერძიშვილის მიერ პირველადაა გამოცემული „ცხინვალის რეგიონის გეოგრაფიული სახელები (ტოპონიმთა ლექსიკონი, 2015)“, რომელიც განსაკუთრებული „მამულიშვილური საქმეა“, როგორც წერს ისტორიკოსი იგორ კეკელია.

სრულიად გამორჩეულია ქეთევან გოდერძიშვილის მონოგრაფია „ქართული ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები“, 2012, „რომლის ბადალი ონომასტიკის ამ დარგში არც მოგვეპოვებაო“ – წერდა პროფესორი პ. ცხადაია. პროფესორ მარიკა ჯიქიას თქმით კი, „ამ წიგნის თითოეული პარაგრაფი ახალი ფურცელია ქართულ ონომასტიკაში“. იგი აღიარებულია სახელმძღვანელოდ.

სამეცნიერო ნაშრომის ტოლფასია 600-გვერდიანი წიგნი „მოგონებებში გაცოცხლებული ალექსანდრე ღლონტი და ომარ ღლონტი“, 2017; რამეთუ მასში გაცოცხლებულია ეპოქა სამეცნიერო მიმოხილვით.

აი, ასეთ მეცნიერად მოევლინა კახეთს და მე ვთვლი, რომ ეს იყო დაბრუნება ქეთევან გოდერძიშვილისა კახეთში, რაც ასე მოხდა: დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ხორნაბუჯის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის, მარინა პოპიაშვილისა და სკოლის დირექტორის თამარ ქურხულის ინიციატივით 1. 12. 23 დაიგეგმა ჩემი საჯარო ლექცია დედოფლისწყაროში და რადგან ქალბატონი ქეთევანი უცნობი იყო კახეთისთვის, მინდოდა ისიც წამოსულიყო. თავადაც გაეცნო იგი კახეთს, მას კი თავისი შრომები გაეცნო თავისი კუთხის ხალხისთვისაც. მართალია, ის გურჯაანიდანაა (სოფ. ბაკურციხე), მაგრამ დედად მოვლენილი ქეზიყელი ბაბოს გაზრდილია. ქალბატონმა ქეთევანმა თავისი კაპიტალური ნაშრომები დედოფლისწყაროს ბიბლიოთეკას გადასცა საჩუქრად;

დედოფლისწყაროში გვახლდა აგრეთვე ცნობილი თურქოლოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ენათმეცნიერი, მარიკა ჯიქია, რომელმაც შესანიშნავი გამოსვლით დაამშვენა შეხვედრა.

ბევრი შესანიშნავი სამეცნიერო შრომის გარდა, ქალბატონი ქეთევან გოდერძიშვილი ამავე დროს ფართო სპექტრის ჰუმანიტარია: საქართველოს ისტორიის, ბიბლიის, მითოლოგიის, ხელოვნების, მსოფლიო ლიტერატურის მცოდნე და ამავე დროს ცნობილია მუსიკალური განათლებითაც...

ქალბატონმა ქეთევანმა ლექსების წერა ამ რამდენიმე ხნის წინ უცებ დაიწყო. მას პოეტობა არც უფიქრია, უცებ დაეწერინა, რაც დაწერა, ცხადია, ეს „ერთი უცებ“ მრავალწლიან დაფიქრებას მოჰყვა. ავტორი წერს უაღრესად საინტერსო ფორმით, შეიძლება ითქვას, გოგებაშვილისებურადაც კი. მის ყოველ ლექსს წინ უძღვის რაღაც ინფორმაცია ისტორიული, ბიბლიური თუ სამეცნიერო წყაროდან. გასულ წელს მან გამოსცა მცირე მოცულობის, მაგრამ მრავლის მთქმელი ლექსების კრებული „ისტორიისა და რწმენის გამოძახილი ლექსებით“.

სწორედ ამ კრებულიდან წაუკითხა ქალბატონმა ქეთევანმა კახ მასპინძლებს დედოფლისწყაროში თავისი „ღვიძლი სიტყვით“ ნაწერი ლექსები თამარ მეფეზე, ერეკლე მეფესა და ქეთევან დედოფალზე, ბიბლიურ პერსონებზე...

ქალბატონი ქეთევან გოდერძიშვილი ეკუთვნის იმ წმინდა ქართულ საზოგადოებას, რომელიც ჩამოყალიბდა „ქეთევან დედოფლის საზოგადოების“ სახელით და რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ისტორიკოსმა და პოეტმა ქალბატონმა თამარ ფარჩუკიძემ. მისი წინადადებით, ეს დიდი ჯგუფი სახელმწიფო დონეზე იღვწის, რომ 2024 წელი წმინდა ქეთევან დედოფლის წლად გამოცხად-

დეს. ამიტომაც დაამშვენა კახეთში ეს შეხვედრა კახთა დედოფლის, ქეთევანისადმი, მიძღვნილმა მისმა ლექსმა.

საგანგებო მიწვევამ მშობლიურ კუთხეში, ქიზიყში, სადაც მისი აღმზრდელი ბაბოს ოჯახს საკუთარი ზედაშეც კი ჰქონდა, იმდენად დადებითად იმოქმედა ქეთევანზე, რომ ამ განცდამ, „მიწის ყივილმა“, როგორც თავად წერს, ორი ახალი ლექსი დააწერინა მშობლიურ კუთხისთვის: „მე კახელობა მომწყურებია“ და „ხორნაბუჯი“ – („მზის სადგომი, მზის ბურჯი“). მას მათი გამოქვეყნებული სახით ჩამოტანა სურდა დედოფლისწყაროში, მაგრამ საქმემ არ მოაცალა. ასე რომ, ეს ორი გამოუქვეყნებელი ლექსი მან დედოფლისწყაროში პირველად საჯარო ლექციის დამსწრეთ წაუკითხა. ახლა კი მთელ კახეთსაც და საქართველოსაც ლიტერატურულ ალმანახ „ხორმაბუჯის“ საშუალებით, შეუძლია, დედოფლისწყაროში პირველად წაკითხული ლექსები გამოქვეყნებულიც იხილოს.

ჯემალ მეხრიშვილი

მესიანურად თანამედროვე

წიგნიერი საზოგადოების დამცირებად მიმაჩნია, მიყოლებით ჩამოვთვალო საქართველოს ის სახელოვანი შემოქმედნი და გამორჩეული ერისკაცები, ვისი სახელობის კაბინეტებიც ამშვენებს საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სხვა სასწავლებლებსა თუ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

როგორც ერთ-ერთ რიგით ქართველ მწერალს, ჩვენი საზოგადოების წინაშე განსასჯელად გამომაქვს ასეთი წინადადება: საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში – სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად ეროვნულ მეხსიერებასაც რომ უწოდებენ! – დაარსდეს V საუკუნის II ნახევარში მოღვაწე ქართველი მწერლის, იაკობ ცურტაველის კაბინეტი!

იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ არის არა პირველი ქართული მხატვრულ-ლიტერატურული ძეგლი, არამედ ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ნაწარმოები, სადაც ავტორის მწერლური ოსტატობა აშკარად მიგვანიშნებს, რომ შეუძლებელია მას ღირსეული წინამორბედები არ ჰყოლოდა!... „შუშანიკის წამება“ თარგმნილია ლათინურ, რუსულ, ფრანგულ, უნგრულ, ინგლისურ, გერმანულ და სხვა ენებზე...

„შუშანიკის წამების“ ავტორი, იაკობ ცურტაველი (ხუცესი) გვევლინება, როგორც ჭეშმარიტი მწერალი: ბუნებრივი თხრობა, მოქმედების ძალდაუტანებელი განვითარება, შეკრული კომპოზიცია, თანამიმდევრული სიუჟეტი, პერსონაჟთა სულიერი მიმოძრაობის ღრმა ანალიზი, მხატვრული დეტალების შეუმცდარი გააზრება, დახვეწილი სტილი, ტევადი ლექსიკა, მოქმედ პირთა მეტყველებაში ავტორის ჩაურევლობა და სანიმუშო ესთეტიკურ-ლიტერატურული სახეები იაკობ ცურტაველს სიტყვის გამორჩეულ დიდოსტატთა გვერდით აყენებს!...

იაკობ ცურტაველმა თავის უკვდავ ქმნილებაში შთამომავლობას მისაბაძ მაგალითად დაუსახა თავისი გმირის, შუშანიკის სულიერება: შუშანიკი დაგვიხატა მხნე, მტკიცე პიროვნებად, ქრისტიანობის დამცველ თავგადადებულ ქალად, რომელიც უშიშრად წინაღუდგა სამშობლოს მოღალატე მეუღლის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ ზრახვებს, რითაც დაიცვა არა მხოლოდ თავისი ქალური ღირსება, არამედ სარწმუნოება და ქართლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა!...

თავდავიწყებული კითხულობ „შუშანიკის წამებას“ და სულ აღარ ცდილობ ცრემლის შემაგრებას, ვინაიდან ხვდები – მაინც ვერაფერს გახდები!.. სტრიქონებს შორის გეჩვენება: ეს ნაწარმოები თხუთმეტი საუკუნის წინათ უმთავრესად თითქოს დღევანდელი საქართველოსთვის, ჩვენზე და თითოეული ჩვენგანისთვის იწერებოდაო!...

დარწმუნებული ვარ, იაკობ ცურტაველის სახელობის კაბინეტის მიმთითებელი აკადემიური წარწერა და თვით კაბინეტის კედლები იქ მეცადინე ქართველს ბუნებრივად შეახსენებს ჩვენს ვინაობას, სამშობლოს წინაშე თავის უანგარო მოვალეობას და უფრო მეტი შემოქმედებითი შემართებით აღჭურავს!

ფრანგული პოეზია

ჟან ბატისტ რასინი (1639-1699)

„ესთერი“

(ნაწყვეტები პიესიდან)

***

ზეცის განგებით იმ ადგილის ხილვა მეღირსა,
დავანებულა სადაც მადლი ღვთიურ ნებისა...
უბიწოება სულს ანათებს, როგორც ლამპარი,
ქვეყნად გულია ერთგულების თავშესაფარი!
აქ, მიწიერი საზრუნავი ვეღარა მზღუდავს,
გმირთა სახენი გამოვძერწო კალამით უნდა...
ხალხის გულიდან კეთილ საქმეს ჟამიც ვერ ძარცვავს,
აღმოაცენებს სათნოება სიკეთის მარცვალს...
...
„ელიზ, ძვირფასო!... ეს შენა ხარ? გიპოვნე ისევ,
ო, შენი ხილვის სიხარულით გულს ისე მივსებ,
კურთხეულია სამგზის ეს დღე, ყრმობის დობილო!
ბენიამინის ტომისაგან ჩემებრ შობილო...“
და ვინც ატარე ჩემნაირად მონობა უღლით,
სულთქმით დავძლიეთ სიონისთვის ბოროტთა შუღლი...
ეს მოგონება ძვირფასია ახლაც, ვით მაშინ!
შენ კი, ესთერი უარჰყავი ამ დიდებაში?
...
„ო, ნაპირებო იორდანისა!
ზეცის სიყვარულს მუდამ ჩვეულო!
მთაო წმინდაო... და ხეობებო,
სასწაულებით გამორჩეულო!
მშობელო მხარევ წინაპრებისა,
ტკბილ სამშობლოზე ვწუხვართ შვილები,
ნუთუ ყოველთვის ასე ვიქნებით –
ჩვენი ქვეყნიდან განდევნილები?...“



ვიქტორ ჰიუგო (1802-1882)

როდესაც მძინავს...

როდესაც მძინვას, მსურს შევიგრძნო შენი აურა,
პეტრარქა ხშირად მოუხმობდა ასე ლაურას...
ბაგეს შეახო თითქოს სიზმრად ტრფობა ამურმა
და შენი სუნთქვის შემაფხიზლა
ფრთხილმა ხმაურმა!
ჩემს პირქუშ შუბლზე ბნელი ფიქრის ანაბეჭდები
შემოიჭრება სულში, მაგრამ ნუ დაეჭვდები...
როდესაც ღამეს შენი სახის ნათელი მოსდევს,
ჩემს ოცნებებსაც ვარსკვლავეთი
გაასხივოსნებს!
მწვავს ცხელი კოცნა – მოფარფატე ცეცხლის ალივით,
გულში სპეტაკი სიყვარული ღვთისაგან გვიძევს!
სიზმრად მოსული ანგელოზი თურმე ქალია...
ვეამბორები და შეხება
გამომაღვიძებს!

შემოდგომა...

(ნაწყვეტი)

განთიადს მოსწყდა სხივი,
ბურუსი წვება ცაზე...
ქრება ზაფხული... ცივი
ცის ელავს სიალმასე...
ყვითელ ფოთოლთა ფარჩა
სევდის ნისლებთან ფიქრობს,
რომ მეგობრისგან დარჩა
მიტოვებული თითქოს...

ჟერარ დე ნერვალი
(1808-1855)

ლუქსემბურგის ხეივანი

ჩამოიარა ჩემს წინ, ქალმა ლამაზმა ეშხით –
ჩიტუნა, ტანად ლერწმის,
ყვავილს არხევდა ხელში...
იქნებ ის იყო მართლა გულისწორად რომ ვნახე,
ან მომვლენოდა სანთლად წყვდიადში მისი სახე...
ტრფობა აღარ სჩანს არსად,
თუმც ირგვლივ ვხედავ წყვილებს...
იმ ქალიშვილის მსგავსად, გამექცა სიყმაწვილე...

ანრი-ფრედერიკ ამიელი
(1821-1881)

ღამე სანაპიროზე...

(ნაწყვეტი)

დაეშვა ბინდი ოკეანის სიმყუდროვეში
და ვარსკვლავების მარგალიტი ცაზე ელვარებს;
ან სველ სილაზე, ჩუმ ტალღებში რატომ მოვეშვი,
თუ ღამე ცრემლით შეეხება თვალებს მღელვარედ?
სიცივის კანკალს დაუსერავს სული, სხეული...
ვუმზერ მდუმარედ გაწოლილა თავზე ცა მკვეთრი
და ვით ტალღებზე მოთამაშე გემი ეული,
ფერხთქვეშ მეცლება დედამიწა სასოწარმკვეთი!
...
ყოველ ჟამს მოაქვს ტანჯვა-წუხილი,
დაღამებამდე მორჩი სადარდელს –
ამოუცნობი დღეთა ქუხილით
განსაცდელები გდევნის სადამდეც...
სიკეთის მადლი დროსაც გადასდე,
იღვაწე, დღეს რაც ძალები შეგწევს,
ხვალისთვის, ისევ ღმერთია შემწე!...

ჟან ამლუში
(1906-1962)

გამოთხოვება მშობლიურ მხარეს...

(ნაწყვეტი)

მშვიდობით ყველა მეგობარო, დავრჩი ამ შორეთს...
და ვინც შემომრჩით, მანძილიც კი ვერ დაგვაშორებს!
ვინაც მიყვარდა, ყველამ წასვლა რად დააპირა,
ქვიშის ტალღების უდაბნოეთს შერჩნენ ნაპირად...
როდესაც მზერა უსასრულო და უდარდელი
გადაიქროლებს ცხელი ქვიშის მზისფერ დიუნებს,
ღამის წყვდიადში ჩაკარგული დღენი რამდენი,
მოგონებებით შეინახავს ცოცხალ დღიურებს...

ფრანგულიდან თარგმანი პოეტური დუეტისა:
ვაჟა ოთარაშვილი, ეკა კვანტალიანი

ᲛᲐᲠᲘᲯᲐ ᲞᲝᲞᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გულანთებული მამულიშვილი – თენგიზ არჩვაძე

2023 წლის 31 ოქტომბერს დიდუბის ეკლესიაში ზღვა ხალხმა მოიყარა თავი თეატრისა და კინოს ვარსკვლავის – თენგიზ არჩვაძის, უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად. აქ იყვნენ მისი კოლეგები, მეგობრები, ნათესავები, მთავრობის წარმომადგენლები, მისი ნიჭის დამფასებელი მაყურებლები, რომლებმაც ტაშით გააცილეს და დიდუბის პანთეონში გადაასვენეს; სამგლოვიარო ცერემონიალს უძღვებოდა რეჟისორი დიმიტრი ღვთისიაშვილი, რომელმაც ისაუბრა მის შემოქმედებაზე.

თენგიზ არჩვაძე 1954 წლიდან კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი იყო, 1960 წლიდან იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობი, 1967-1972 წლებში კი – რუსთაველის თეატრის მსახიობი. გადაღებულია ფილმებში: „კეთილი ადამიანები“, „ერთი ცის ქვეშ“, „ხევისბერი გოჩა“, „ხევსურული ბალადა“, „ვედრება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „დათა თუთაშხია“, „შეხვედრა წარსულთან“, „შეხვედრა მთაში“, „მალე გაზაფხული მოვა“ და სხვა.

მიღებული აქვს უამრავი ჯილდო, პრემიები და პრიზები: რუსთაველის პრემია, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი, პრემია „საგურამო“, ღირსების ორდენი, არის საქართველოს დამსახურებული და სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე. ყველაზე დიდ ჯილდოდ მას ხალხის სიყვარული მიაჩნდა.

საოცრად თავმდაბალი პიროვნება გახლდათ, მან არ ისურვა მარჯანიშვილის თეატრიდან გამოსვენება, ნუ შეაწუხებთ მათ, დიდუბის ეკლესიაში დამასვენეთ, როცა აღარ ვიქნები და იქვე დიდუბის პანთეონში დამკრძალეთ მეუღლის გვერდითო.

დიმიტრი ღვთისიაშვილმა თქვა: სულ ცოტა ხნის წინ სამუდამოდ დავემშვიდობეთ თემურ ჩხეიძეს, ხოლო დღეს თენგიზ არჩვაძეს ვემშვიდობებით, რომლებიც იმიერში უსათუოდ შეხვდებიან ერთმანეთს...

სიტყვით გამოვიდნენ ერეკლე საღლიანი, ნიკოლოზ წულუკიძე, დავით დვალიშვილი, გია ჯაფარიძე და სხვები; მათ ისაუბრეს მის პიროვნულ თვისებებზე, უზადო შემოქმედებითი ნიჭის მრავალფეროვნებაზე. მარჯანიშვილის სახელმწიფო ეროვნული თეატრის მსახიობმა დავით დვალიშვილმა აღნიშნა: თენგიზ არჩვაძის მიერ განსახიერებულ როლებში მკაფიოდ იგრძნობოდა უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, თავად ამბობდა: „მთა ჩემი წარმოუდგენელი სიყვარულია, ზღვარი არა აქვს ამ სიყვარულს, უასაკო ვარ ცხენთან და მთასთან“. იგი იყო გულანთებული მამულიშვილი.

ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავი თენგიზ არჩვაძე ზღვა ყვავილებში ჩაფლული თვალცრემლიანმა კოლეგებმა ხანგრძლივი ტაშის ფონზე დიდუბის პანთეონის მიწას მიაბარეს.

ცოტა ხსნის წინ, პოეტმა თემურ ჩალაბაშვილმა თავის უახლოეს მეგობარს თენგიზ არჩვაძეს ასეთი ლექსი მიუძღვნა:

საუკუნისკენ მიდიხარ,
მინდა გიხილო ასის,
თენგიზ ბატონო, დიდი ხარ,
მე ვიცი შენი ფასი...
აუმღვრეველი გონებით,
ყველა თვისებით კაცის,
დიდი აკაკის არ იყოს, –
„ხან მიწისა ხარ, ხან ცის“.

ლიტერატურული ალმანახის მკითხველს ვთავაზობთ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გამოთქმულ სამძიმარს თენგიზ არჩვაძის ოჯახისა და ახლობლების მიმართ, რომელიც მეუღლესთან ერთად, ასევე, ესწრებოდა დიდი ხელოვანის დაკრძალვას:

„ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ გამოჩენილი ქართველი მსახიობის, ხელოვნების უბადლო ოსტატის თენგიზ არჩვაძის გარდაცვალების გამო.

თენგიზ არჩვაძე ქართული კინომატოგრაფიის ნამდვილი ვარსკვლავი იყო. იგი ხასიათდებოდა ღირსეული პიროვნული თვისებებით, რის გამოც მაყურებელი მას ყოველთვის დიდი სიყვარულითა და სითბოთი გაიხსენებს. თენგიზ არჩვაძე იმ პლეადის ერთ-ერთი გამორჩეული სახეა, რომელმაც უდიდესი კვალი დატოვა ქართულ კინომატოგრაფიაში. ვიზიარებ არჩვაძის ოჯახისა და ახლობლების მწუხარებას, თანაგრძნობას ვუცხადებ მთელ საქართველოს“.

ნანა ჯიჯინაძე

მედეა ამირანაშვილის ბოლო ბენეფისი თბილისის ოპერის თეატრში

2 დეკემბერს თბილისის ოპერის თეატრში ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ დაწყებამდე მაყურებელს აუწყეს, რომ ეს სპექტაკლი ეძღვნებოდა განუმეორებელ სოპრანოს, თბილისის ოპერის წამყვანი სოლისტის მედეა ამირანაშვილის ხსოვნას; ეს ისეთი მოულოდნელი იყო თითოეული ჩვენთაგანისთვის, რომ მთელმა ოპერაში მოსულმა მაყურებელმა წუთიერი დუმილით მიაგო პატივი მის ხსოვნას.

წამყვან პარტიებს მღეროდნენ: მარო – მედეას აღზრდილი მოსწავლე მარიკა მაჩიტაძე, მალხაზი – ბრწყინვალე ტენორი არმაზ დარაშვილი, კიაზო – ვახტანგ ჯაშიაშვილი; 3 დეკემბერს მაროს პარტია იმღერა მარიანა ბერიძემ, მალხაზი – ალექსანდრე თიბილაშვილმა, კიაზო – მამუკა ლომიძემ, რომელმაც ვირტუოზული შესრულებით და არტისტიზმით მოხიბლა მაყურებელი; 8 დეკემბერს მაროს პარტია შეასრულა ნათია ბეჟაშვილმა, მალხაზი – ზურაბ იაშვილმა; ორივე მათგანისათვის ეს დებიუტი იყო; კიაზო იმღერა დედოფლისწყაროელებისათვის ცნობილმა ბარიტონმა გიორგი წამალაშვილმა, ამჟამად ის ოპერის სცენაზე ლომისელის გვარით გამოდის. შეუდარებელი იყო კიაზოს პარტია, მისმა მომხიბლავმა გარეგნობამ და ბრწყინვალე შესრულებამ დიდი ოვაცია გამოიწვია. 9 და 10 დეკემბერს სრული ანშლაგით გაიმართა სპექტაკლი „დაისი“, რომელსაც დირიჟორობდა სახელმწიფო და ზაქარია ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი დამდგმელი დირიჟორი რევაზ ტაკიძე. ხუთივე ოპერა „დაისი“ მედეა ამირანაშვილის ხსოვნას მიეძღვნა.

4 დეკემბერს მედეას პანაშვიდი ქაშუეთის ეკლესიაში გაიმართა, ხოლო 5 დეკემბერს ქაშუეთის ეკლესიიდან ოპერის თეატრში გადმოასვენეს. სცენაზე დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე შესრულებული მთავარი პარტიები: მარო, ეთერი, მარიხი (ზ. ფალიაშვილის „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“), ლეონორა, ვიოლეტა (ვერდის „ტრუბადური“, ტრავიატა“) და სხვა.

საპატიო ყარაულში ერთმანეთს ენაცვლეებოდნენ: ზაზა აზმაიფარაშვილი, რევაზ ტაკიძე, პაატა ბურჭულაძე, გია გაგნიძე, ირაკლი მურჯიკნელი, რამაზ ჩიკვილაძე და სხვა.

სამგლოვიარო ცერემონიალზე სიტყვით გამოვიდნენ: პაატა ბურჭულაძე, რევაზ ტაკიძე, ლიანა კალმახელიძე, თემურ გუგუშვილი, ელდერ გეწაძე და სხვები, რომლებმაც ერთხმად აღნიშნეს, რომ ერთ ოჯახში ოთხი ვოკალისტი: პეტრე ამირანაშვილი (მამა), ნადეჟდა ცომაია (დედა), მარინე ფარულავა (შვილი) და სამი სახალხო არტისტი იყო. ქალბატონი მედეა მრავალი ჯილდოს მფლობელი გახლდათ; მათ შორის 1971 წელს მამა-შვილს მიენიჭა ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემია. 1997 წელს კი ის ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

2015 წლის 25 მარტს მედეა ამირანაშვილს საუკუნის ლეგენდის წოდება მიენიჭა; დაჯილდოვების ცერემონია

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა. საკონცერტო პროგრამაში მედეას მოსწავლეები მონაწილეობდნენ. ვიდეო კოლაჟში ეს ფრაგმენტიც იყო ასახული.

მედეას მიერ შესრულებულმა არიებმა დიდი შთაბეჭდილება დატოვეს ზღვა მაყურებელში. მის ბოლო ბენეფისს ესწრებოდნენ კოლეგები, მთავრობის წარმომადგენლები, მისი ნიჭის დამფასებლები.

მედეა ამირანაშვილი დიდუბის პანთეონში დედის – ნადეჟდა ცომაიას, გვერდით დაიკრძალა. მის სახელს, რომლის ვარსკვლავი კიაფობს ოპერის თეატრის წინ, დავიწყება არ უწერია.

ქალბატონი მედეა არამარტო დიდი მომღერალი იყო, არამედ უაღრესად დიდი და კეთილი ადამიანი. ხშირად მეპატიჟებოდა თავის სახლში. რესტავრირებული ოპერის გახსნაზე 2016 წლის იანვარში, პირველ დღეს და მომდევნო დღეებში „აბესალომ და ეთერის“ პრემიერაზე მომცა მოსაწვევი ბარათები. ყველა სპექტაკლს დავესწარი და ვრცელი წერილი დავწერე თბილისში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში. პირველ დღეს მთავარ პარტიებს მღეროდნენ: თემურ გუგუშვილი (აბესალომი), თამარ ივერი (ეთერი), ლადო ათანელი (მურმანი). მთელი ღამე სიხარულით არ მეძინა მედეამ რომ დამირეკა და მითხრა შენი მოსაწვევი მე მაქვსო, მეორე დღეს კი მისი ვარსკვლავი გაიხსნა.

აქვე მინდა გავიხსენო ერთი შემთხვევა: დედოფლისწყაროელი, სოფელ სამრეკლოში მცხოვრები შალვა თეთვაძის შვილს – თინიკოს, რომელიც ამერიკიდან ჩამოვიდა უნდოდა ვერდის ოპერა „ტრავიატაზე“ დასწრება, მაგრამ ყველა ბილეთი გაყიდული აღმოჩნდა. მაშინ ქალბატონმა მედეამ უყოყმანოდ მომიგვარა პრობლემა მამა-შვილის „ტრავიატაზე“ დასწრებით თავის ლოჟაში.

მედეა ამირანაშვილის ბოლო ბენეფისი რევაზ ლაღიძის ოპერა „ლელას“ არიით დასრულდა და ხანგრძლივი აპლოდისმენტების ფონზე გამოასვენეს ლეგენდარული მომღერალი, მთელ რუსთაველის პროსპექტს ეფინებოდა რევაზ ლაღიძის უკვდავი „ლელას“ ჰანგები. ზეციურ სასუფეველში ვოკალისტების კოჰორტა დახვდებოდა მედეა ამირანაშვილს, მათ შორის სულ ახლახან გარდაცვლილი მისი უახლოესი მეგობარი თენგიზ მუშკუდიანი.

ნანა ჯიჯინაძე

გამოთხოვება ვაჟა აზარაშვილთან

ელვის სისწრაფით მოედო საქართველოს ვაჟა აზარაშვილის გარდაცვალების ამბავი. 2024 წლის 7 თებერვალს 87 წლის ასაკში სასიქადულო მამულიშვილმა დატოვა წუთისოფელი და ზეციურ მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლა.

9 თებერვალს კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა ვაჟა აზარაშვილის სამოქალაქო პანაშვიდი: მთელი დღის განმავლობაში არ წყდებოდა ხალხის ნაკადი რათა პატივი მიეგოთ უსაყვარლესი კომპოზიტორის ხსოვნისთვის. საღამოს სამძიმარზე მოვიდნენ პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი და სხვები. სამგლოვიარო ცერემონიას უძღვებოდა კონსერვატორიის რექტორი

გიორგი შავერზაშვილი, რომელმაც ვრცლად ისაუბრა კონსერვატორიის პროფესორის, პედაგოგის და კომპოზიტორის შემოქმედებით მოღვაწეობაზე. სიტყვით გამოვიდნენ, კონსერვატორიის პროფესორები: ელდარ გეწაძე, თემურ გუგუშვილი, მაკა ვირსალაძე. დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარე ნანა ჭიჭინაძე. ოპერის დირექტორის მოადგილე იმერი კავსაძე. ოპერის სოლისტი ლიანა კალმახელიძე, დირიჟორი რევაზ ტაკიძე. ხანგრძლივი აპლოდისმენტების ფონზე ვაჟა აზარაშვილი გადაასვენეს ქაშუეთის ტაძარში და 10 თებერვალს დაკრძალეს მახათას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მთავრობის წარმომადგენლებმა მწუხარება გამოთქვეს ვაჟა აზარაშვილის გარდაცვალების გამო და აღნიშნეს:

ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების საპატიო თავმჯდომარე: ვაჟა აზარაშვილი, თავისი უკვდავი კომპოზიციების წყალობით ქართველი საზოგადოების არაერთმა თაობამ შეიყვარა და მას საპატიო ადგილი აქვს დამკვიდრებული ქართულ კულტურაში. სამძიმარს ვუცხადებ დიდი კომპოზიტორის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, კოლეგებს და სრულიად კულტურის სფეროს ამ დანაკარგის გამო.

ირაკლი კობახიძე – პრემიერ-მინისტრი: ბატონმა ვაჟამ თავისი ჟანრობრივად მრავალფეროვანი შემოქმედებით წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ კულტურაში. სამძიმარს ვუცხადებ ვაჟა აზარაშვილის ოჯახს, ახლობლებს, კოლეგებს და ქართველ საზოგადოებას.

ირაკლი ღარიბაშვილი – ქართული ოცნების თავმჯდომარე: ვაჟა აზარაშვილის მრავალმხრივმა შემოქმედებამ, მაღალი პროფესიონალიზმითა და განუმეორებელი ხელწერით გამორჩეულმა სიმფონიურმა, საესტრადო თუ კამერულმა მუსიკამ მსმენელთა არაერთი თობის სიყვარული დაიმსახურა და განსხვავებული ადგილი დაიკავა ქართულ მუსიკალურ საგანძურში. გულწრფელად ვუსამძიმრებ ბატონ ვაჟას ოჯახის წევრებს, ახლობლებს, მთლიანად ქართველ საზოგადოებას.

კახა კალაძე – თბილისის მერი: საქართველოს და თბილისს, ქართულ სამუსიკო ხელოვნებას ცნობილი კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, საპატიო თბილისელი ვაჟა აზარაშვილი გამოაკლდა. კაცი, რომელის შემოქმედებაში უდიდესი ადგილი უკავია თბილისის თემას, რასაც საყოველთაოდ აღიარებული, ყველასათვის საყვარელი სიმღერები მიუძღვნა, მისმა შემოქმედებამ დიდი ხანია უკვდავყო ვაჟა აზარაშვილის სახელი, კვლავაც არაერთხელ გაჟღერდება საოცარი ჰანგები თბილისზე, დინამოზე და ყველას ემახსოვრება ამ ჰანგების ავტორი ვაჟა აზარაშვილი. ვიზიარებ ვაჟა აზარაშვილის ოჯახის წევრების, მისი მეგობრების, მთელი საქართველოს მწუხარებას

კომენტარი ვთხოვე ცნობილ ადამიანებს:

თამაზ შილაკაძე – საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე: კიდევ ერთხელ გამორჩეულად საამაყო შვილი დაკარგა საქართველომ. გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი პიროვნება, მუსიკოსი, კომპოზიტორი, პედაგოგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. მის რეგალიებს ბოლომდე ვერ ჩამოვთვლი, იგი იყო საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმის წევრი. საქართველოს კულტური ფონდი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი ვაჟას გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახის წევრებს და სრულიად საქართველოს.

ბიძინა სონღულაშვილი – კახეთის ექსგუბერნატორი: ბატონ ვაჟასთან პირადი ურთიერთობა მქონდა, როგორც სამსახურეობრივი, ასევე საზოგადოებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, იყალთოს აკადემიის ტრადიციულ ღონისძიებებზე ყოველთვის გვესწრებოდა, ასევე მეფე ერეკლეს საიუბილეო საღამოზე სპეციალური სტუმრის სტატუსით გვყავდა მოწვეული და თავისი დამსახურებით დიდ ხიბლს მატებდა ამ ღონისძიებებს. ქედს ვიხრი მისი სპეტაკი სულის წინაშე.

ჯემალ კუხალაშვილი – სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი: ბატონი ვაჟა არამარტო უდიდესი ხელოვანი, არამედ გამორჩეული, უიშვიათესი ადამიანი იყო. ის ხშირად სტუმრობდა ჩემს გამოფენებს, მისი გამოჩენა დარბაზში ნამდვილი დღესასწაული იყო დიდ მხარდაჭერასთან ერთად. მე ყოველთვის ვიამაყებ იმით, რომ ის ჩემი მეგობარი იყო.

არმაზ დარაშვილი – თბილისის ოპერის წამყვანი სოლისტი, ბრწყინვალე ტენორი: სამოქალაქო პანაშვიდზე კონსერვატორიის მცირე დარბაზში თვალს ვადევნებდი ვიდეოკოლაჟს, რომელსაც ფონად გასდევდა ვაჟა აზარაშვილის უკვდავი მუსიკა. მისი შემოქმედება ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა; სიმფონიური, კამერულ-ინსტრუმენტული, მიუზიკლი და საესტრადო. მისი ნაწარმოებები არამარტო საქართველოში, არამედ ამერიკაში, იაპონიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, რუსეთში, პოლონეთში და კიდევ არაერთ ქვეყანაში ჟღერს. ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ოპერის მომღერლების სახელით ბატონი ვაჟას გარდაცვალების გამო და ვუსამძიმრებ მისი ერთადერთი შვილის, ნათია აზარაშვილის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

მაყვალა ასპანიძე – თბილისის ოპერის წამყვანი, ულამაზესი სოლისტი, სოპრანო: ხალხის უსაყვარლესი კომპოზიტორი იყო, თავად ვაჟას ყველაზე დიდ ჯილდოდ ხალხის სიყვარული მიაჩნდა. „ის აქ არის“... იგი თავისი მუსიკით ყოველთვის ჩვენთან იქნება.

ნანი საბანაძე – პოეტი, პუბლიცისტი: ვაჟა არამარტო დიდი კომპოზიტორი, არამედ პოეზიის დიდი მელომანი გახლდათ. მის მეუღლეს, მანანას, კარგად ვიცნობ. ორივე ხაშურიდან ვართ, ვაჟას არაერთი სიმღერა აქვს მეუღლის ლექსებზე დაწერილი. ბ-ნი ვაჟა თავის სეხნია – ვაჟას ლექსს „არწივი“ შთამბეჭდავად კითხულობდა. გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებ მანანა დანგაძის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

ნანი ბრეგვაძე: მადლობა, ჩემო თანაკურსელო იმ მუსიკისთვის, რომელიც დაგვიტოვეთ. მადლობა იმ ურთიერთობისთვის, ერთად მუშაობისთვის, მადლობა იმ სიმღერებისთვის, რომლებიც ჩემთვის დაწერე, რომელსაც მთელი საქართველო მღერის და დარწმუნებული ვარ ყოველთვის იმღერებს.

ნიკოლოზ რაჭველი – დირიჟორი: ბატონმა ვაჟამ უამრავი ძვირფასი, დაუვიწყარი საჩუქარი დაუტოვა ჩვენს სამშობლოს. ყველას მადლიერებას ჩემი მოკრძალებული მადლობაც მინდა შევმატო.

თამრიკო ჭოხონელიძე – მომღერალი: ვაჟა აზარაშვი-

ლი არის ქართველი ხალხის საჩუქარი, საოცარი მეგობარი, კოლეგა, ხალასი იუმორით აღსავსე, ამას კიდევ უფრო მეტად მივხვდებით მისი არაჩვეულებრივი მუსიკის წყალობით.

თამარ მოძღვრიშვილი – საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი საუკუნის ლეგენდის ნომინანტი, რძის ქალაქის მენეჯერი: ძალიან სამწუხაროა, რომ ეს უდიდესი კომპოზიტორი ჩვენთან აღარ იქნება, მაგრამ ისეთი მემკვიდრეობა დაგვიტოვა, ის სულ ცოცხალი იქნება, რადგან მის სიმღერებს კიდევ ბევრი თაობა იმღერებს.

ინგა შიოლაშვილი – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთ „შირაქის“ მთავარი რედაქტორი: დედამიწაზე ყველაზე ნიჭიერი ერი ვართ, ვაჟა აზარაშვილის მუსიკამ დროს გაუძლო, თემურ ფალავანდიშვილის ფილმში „მზე შემოდგომისა“ ჟღერს ვაჟა აზარაშვილის სენტიმენტალური ტანგო – არაჩვეულებრივი ნაწარმოები, რომელსაც ბადალი არ აქვს.

დოდო ხუნაშვილი – დედოფლისწყაროს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორი: ვაჟა აზარაშვილი ცნობილი ქართველი კომპოზიტორების: დავით თორაძის, შალვა მშველიძის, ალექსანდრე შავერზაშვილის, ალექსი მაჭავარიანის, რევაზ ლაღიძის, გოგი ცაბაძის, ოთარ თაქთაქიშვილის, სულხან ცინცაძის, შოთა მილორავას, ბიძინა კვერნაძის, ჯანსუღ კახიძის, გია ყანჩელის და სხვების შემოქმედებით გზას აგრძელებდა. ამ კომპოზიტორების კოპორტას ზეციურ სასუფეველში ბატონი ვაჟაც შეუერთდა და დაგვიტოვა საოცარი მუსიკა ყველა ჟანრში. ყველას და მათ შორის პირადად მე განსაკუთრებით მიყვარს დინამოს ჰიმნი „დინამო! დინამო!“ და „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“. დედოფლისწყაროს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის სახელით, სამძიმარს ვუცხადებ მის ოჯახს, კოლეგებს და სრულიად საქართველოს.

თამილა ნადირაშვილი – დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის დამსახურებული პედაგოგი: ვაჟა აზარაშვილის შემოქმედება ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიის შესანიშნავი ფურცელია. ბატონი ვაჟას შემოქმედებამ მნიშვნელოვანი წილი შეიტანა ქართული ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის განვითარებაში. მისი შემოქმედება ჟანრული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ბატონი ვაჟას სახით საქართველომ დიდი კომპოზიტორი და პიროვნება დაკარგა. მახსენდება 2005 წლის 27 ივლისი, როდესაც ბატონმა ვაჟამ კონცერტი გამართა დედოფლისწყაროს მუსიკალურ სკოლაში. ამ პერიოდში მე ვხელმძღვანელობდი სკოლას. ეს იყო დაუვიწყარი საღამო, როგორც ჩემთვის, ისე დამსწრე საზოგადოებისთვის. მან თავისი კრებული მაჩუქა ავტოგრაფით, რომელიც ერთ-ერთი ძვირფასი საჩუქარია ჩემთვის.

ვაჟა აზარაშვილის მუსიკალური მარგალიტები: „სენტიმენტალური ტანგო“, „ნოსტალგია“, „დინამო!“ და მრავალი სხვა შედევრი სამუდამოდ დარჩება ქართველი ხალხის გულებში.

ია ხურცილავა – ხელოვნებათმცოდნე: ბატონი ვაჟა აზარაშვილის შემოქმედებამ, ყველა თაობის უსაზღვო სიყვარული მოიპოვა, ეროვნული სულისკვეთებით გამდიდრებულმა მუსიკამ, დიდ-პატარა გააერთიანა და ყველასათვის გასაგები გახადა მისი კომპოზიციური ჩანაფიქრი. ბატონი ვაჟასგან ნაჩუქარ შემოქმედებით ფილმს და სანოტო კრებულებს, სახსოვრად ვინახავ, რომელიც ჩემი მოკრძალებული „ოქროს ფონდის“ ძვირფასი ნაწილია, მას მომავალ თაობებს გავუზიარებ, უსაზღვროა ვაჟა აზარაშვილის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება, ვუსამძიმრებ სრულიად საქართველოს.

დალი ქურდაძე – ბორჯომის სახელოვნებო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი: ბატონ ვაჟას ძალიან უყვარდა ბორჯომი და ბორჯომელები. იგი ბორჯომის საპატიო მოქალაქე იყო. წლების მანძილზე იბრძოდა ბორჯომის კომპოზიტორთა დასასვენებელი სახლის დასაბრუნებლად, რომელიც 90-იან წლებში წაართვეს კომპოზიტორთა კავშირს, მაგრამ არ დაუბრუნეს. დღეის მდგომარეობით დასასვენებელი სახლი გაძარცვულია, რის გამოც ბატონი ვაჟა გულდაწყვეტილი იყო. თითოეული ბორჯომელისთვის ბატონი ვაჟას სახელი უკვდავი იქნება.

ლიტერატურული ალმანახი „ხორნაბუჯის“ 2021 წლის მე-11 ნომერში დაბეჭდილია, ჩემი ვრცელი საიუბილეო წერილი – ვაჟა აზარაშვილის შესახებ. ,,ხორნაბუჯის“ ორი ეგზემპლარი ბატონ ვაჟას სახლში მივუტანე. ჩემს თვალწინ წაიკითხა და დასძინა, მადლობას ვუხდი დედოფლისწყაროელებს ასეთი თბილი სიტყვებისთვის, მადლობა, რედაქტორ-გამომცემელ ბატონ გიორგი ნატროშვილს, რომელიც ქართულ საქმეს აკეთებს.

დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის ვანო ნატროშვილის სახელით ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ, ჩვენი ასოციაციის საპატიო წევრის, მსოფლიოში აღიარებული ქართველი კომპოზიტორის, ვაჟა აზარაშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახის წევრებს: მეუღლეს მანანა დანგაძეს, შვილს ნათია აზარაშვილს, ახლობლებს, კოლეგებს და სრულიად საქართველოს.

ლიტერატურული ალმანახი „ხორნაბუჯი“ უერთდება ზემოთ გამოთქმულ საერთო გულისტკივილს, გენიალური კომპოზიტორის გარდაცვალებამ რომ გამოიწვია.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები

ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი 1935 წელს დაარსდა. 2003 წელს გარემოს დაცვის გლობალური ფონდისა და მსოფლიო ბანკის ფინანსური დახმარებით, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონით შეიქმნა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების თანამედროვე სისტემა, რომლის ფართობია 35252 ჰექტარი. მისი შექმნის მიზანია ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის გამორჩეული ეკოსისტემების და უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვა, ბუნებრივი პროცესების და გენეტიკური რესურსების ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნება.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შემადგენლობაშია: **ვაშლოვანის ნაკრძალი, ვაშლოვანის ეროვნული პარკი, ალაზნის ჭალის ბუნების ძეგლი (კაკლის ყურე), არწივის ხეობის ბუნების ძეგლი, ტახტი-თუფას ბუნების ძეგლი (ტალახის ვულკანი).** ვაშლოვანის დაცული ტერიტორია პირველია საქართველოში, რომელსაც 2015 წლიდან დღემდე მინიჭებული აქვს ევროსაბჭოს ევროპული დიპლომი. 2017 წლიდან კი წარმოადგენს ზურმუხტის ქსელის ტერიტორიას, რომელიც ევროპის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას ემსახურება. 2022 წლიდან UNESCO-ს „ადამიანი და ბიოსფერო"-ს საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები შევიდა ბიოსფერული რეზერვატების საერთაშორისო ნუსხაში.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები მრავალი ცხოველის საბინადრო გარემოს წარმოადგენს. დაცულ ტერიტორიაზე ძუძუმწოვრების (62 სახეობა) დასახლების სიმჭიდროვე ერთ-ერთი ყველაზე მაღალია საქართველოში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამდენი დიდი მტაცებელის (**დათვი, მგელი, აფთარი, ფოცხვერი, გარეული კატა, ლელიანის კატა, მელა, ტურა** და ა.შ.) თანაცხოვრების უნიკალურობა. დაცულ ტერიტორიაზე გავრცელებულია საქართველოს „წითელი ნუსხის" 35 სახეობის ცხოველი, მათგან ძუძუმწოვრების 10, ფრინველების 20 და რეპტილიების 4 სახეობაა. იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი ცხოველებიდან აღსანიშნავია: **ხმელთაშუაზღვის კუ, შიშველთვალა სცინკი, შავი ყარყატი, წითელი იხვი, სვავი, ფასკუნჯი-ყაჯირი, ბექობის არწივი, გველიჭამია არწივი, შავარდენი, სარსარაკი, სათვალიანი ცხვირნალა** და სხვა. დაცული ტერიტორია აღმოსავლეთ საქართველოში **გარეული ლორის** ერთერთი ძირითადი ჰაბიტატიცაა. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მთავარი მდინარეა ალაზანი, მასში თევზის დაახლოებით 20 სახეობა ბინადრობს.

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე უსახელო, პანტიშარის და ტახისწყლის მასივები ბედლენდების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. ამ ხეობებში ბევრგანაა გაშიშვლებული **პალეონტოლოგიური ნამარხი ფლორა და ფაუნა.**

საქართველოში არსად გვაქვს მცენარეული ტიპების ასეთი მრავალფეროვნება: **ნახევრად უდაბნო, სტეპი, არიდული მეჩხერი ტყე, ფოთლოვანი ტყე**. გარდა ამისა აქ გვხვდება მდ.ალაზნის **ჭალის ტყეები, კლდის ქსეროფიტები, თიხნარის მცენარეულობა**. დაცულ ტერიტორიაზე აღწერილი 700-ზე მეტი მცენარის სახეობიდან 28 კავკასიის და 5 საქართველოს ენდემია. აქ ასევე წარმოდგენილია საქართველოს „წითელ ნუსხაში" არსებული 13 სახეობის მერქნიანი მცენარე: **ქართული ნეკერჩხალი, თურანულა, კაკალი, ჭალის მუხა, საკლის ხე (საღსაღაჯი), სახოკიას ბერყენა, შავი ღვია, თეთრი ღვია** და სხვა. დაცულ ტერიტორიაზე გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში კულტივირებული ბევრი მცენარის გენეტიკური წინაპარი: **ვაზი, კაკალი, კომში, მსხალი, თუთა, ხორბალი.**

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის ოფისი, დაცული ტერიტორიების საგენტო აზერბაიჯანის რესპუბლიკის გარემოს დაცვის შესაბამის უწყებებთან ერთად 2013 წლიდან ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ახორციელებს **ქურციკის** პოპულაციის აღდგენის პროექტს, პროექტის წარმატებულ მიმდინარეობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის შირვანის ეროვნული პარკიდან ქურციკების შემოყვანიდან დღემდე ადგილზე დაბადებულია ქურციკების შვიდი ახალი თაობა. ამჟამად სამუხის ველზე 500-მდე ქურციკის ნახვაა შესაძლებელი.

მშრალი კლიმატის **ღვიიან და საკმლიხხიან** (საშუალო ასაკი 300 წელი) ნათელ ტყეებს, რომლებიც კარგად არის შენარჩუნებული და ათასობით ჰექტარს მოიცავს, ევროპაში ანალოგი არ გააჩნია. ნათელი ტყის შემადგენელი საკმლის ხეები ერთმანეთისგან 15-20 მეტრის დაშორებით იზრდებიან. ამგვარი განლაგება და თვითონ საკმლის ხის ვარჯის ვაშლის ხესთან ბუნებრივი მსგავსება ხეხილის ბაღთან ასოციაციას იწვევს და გეოგრაფიული სახელიც „ვაშლოვანი" სწორედ აქედან მოდის. საკმლის ხე საქართველოში ერთადერთი ფოთლოვანი ხეა რომელსაც საკმელი აქვს.

საქართველოში არ არსებობს სხვა მსგავსი ადგილი, სადაც ფრინველების ამგვარი მრავალფეროვნება შეინიშნებოდეს. აქ გავრცელებულია ფრინველთა 135 სახეობა.

ჩვენი უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თითოეული თქვენთაგანის მხარდაჭერა და ჩართულობა. დატკბი ულამაზესი ფოტოებით და იამაყე იმ შეგრძნებით, რომ ეს მრავალფეროვანი და მისტიური ვაშლოვანი საქართველოშია. ის შენია, მზადაა შენთან ჰარმონიული თანაარსებობისათვის და ყოველთვის სიხარულით დაგელოდება.

ყაპყაპი

ტახტი-თეფა (ტაღახის ვუღქანი)

ქარცული ზამბახი

საქმღისხიანი ნათელი ტყე

ქვიჩიონი

უსახელოს გაღასახელი

მიჯნის ყუჩე

ISSN 2346-822X
9 772346 822004 >

ქუჩხიქი